

03  
საქართველოს  
საგარეო  
საზღვაო  
საზღვაო  
საზღვაო

1239  
2005

# საქართველოს საგარეო საზღვაო საზღვაო

№4 2005

ISSN 1512-0880



## ჟურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი  
გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის  
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი  
გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და  
კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-  
კოორდინატორი

## ინფორმაცია „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია  
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;  
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

## რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
ტელ. 93-26-82



## შინაარსი

საიუბილეო წელი-----	4
გურამ თაყნიაშვილი – ჩვენი ქურნალის წელთაღრიცხვა – გვწერენ, კითხულობენ ელოლებიან -----	5
<b>საბიბლიოთეკო მენეჯმენტი</b>	
მ. აბაშიძე, თ. ჩხენკელი – ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასება -----	6
ცისანა წერეთელი – ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკა -----	11
<b>საბიბლიოთეკო მენეჯმენტი</b>	
ომარ შოთაშვილი – ბოლონის პროცესში საბიბლიოთეკო სამსახურების ინტეგრირებისათვის -----	17
ინგა ფილაური – ფონდის დაცვის სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში -----	22
ნინო ჩხენკელი – ვებ-დოკუმენტების შეფასების მეთოდები აშშ-ის ბიბლიოთეკებში -----	24
<b>იუბილე</b>	
გურამ თაყნიაშვილი – ქართლში გამოგზავნილი წიგნი -----	29
<b>ისტორიის ფურცლებიდან</b>	
ნოდარ გაბლიაშვილი – საცენზურო პოლიტიკა XIX საუკუნის საქართველოში -----	31
<b>კორესპონდენციები</b>	
კარინე მელიქიანი – გამოთხოვება ანბანის სწავლებასთან -----	37
ნ. გოგოლაძე – სტუმარი სკოლაში -----	38
ნ. მაზიაშვილი – ჩემი ბიბლიოთეკა -----	39
<b>ღირსეული მამულიშვილები</b>	
ლიანა ფერაძე – პეტრე უმიკაშვილი – მწიგნობარი -----	41
დურმიშხან ლაშხი – დავით სარაჯიშვილი და ქართველი ახალგაზრდობა -----	43
<b>ჩვენი დარგის სახელოვანი მოღვაწენი</b>	
ირინე გოგლიძე – ვლადიმერ ვლადიმერის ძე უზნაძე -----	46
ალექსანდრე ლორია – ცხოვრება ღვაწლმოსილი კაცისა -----	49
<b>ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა</b>	
მალი ლუ ყანდარელი და სხვ. – ჩინეთი ძველ ქართულ პერიოდულ გამოცემებში (1819–1905) -----	51
<b>ინფორმაცია</b>	
გურამ თაყნიაშვილი – ასოციაციის გამგეობა ანგარიშით წარსდგა -----	55
<b>ბიბლიოთეკის დასახმარებლად</b>	
ცელილებები საკლასიფიკაციო სქემაში -----	57
2006 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი -----	60
<b>ქრონიკა</b>	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები -----	65
<b>რევიუ</b>	
დავით გიგინეიშვილი – „მუსიკალური გაფხული მიუნხენში“ -----	66
<b>ნეკროლოგი</b>	
დაუვიწყარი (ქ. ფოფხაძე) -----	70
შოთა ანდრიას ძე აფაქიძე -----	71

# Библиотека Грузии, № 4-05


## Содержание

Юбилейный год -----	4
Гурам Такниашвили – Летоисчисление нашего журнала, нам пишут, читают, ждут -----	5
<b>Библиотечный менеджмент</b>	
Заза Абашидзе, Теймураз Чхенкели – Оценка организационной эффективности библиотеки -----	6
Цисана Церетели – Профессиональная этика библиотекаря -----	11
<b>Зарубежный опыт, международные связи</b>	
Омар Шоташвили – Для интегрирования библиотечной службы в Болонский процесс -----	17
Инга Пилаури – Система сохранности фондов в библиотеках США -----	22
Нино Чхенкели – Методы оценки веб-документов в библиотеках США -----	24
<b>Юбилей</b>	
Гурам Такниашвили – Книга, посланная в Картли -----	29
<b>Страницы истории</b>	
Нодар Габлишвили – Цензурная политика в Грузии в XIX веке -----	31
<b>Корреспонденция</b>	
Каринэ Меликян – Прощание с азбукой -----	37
Н. Гоголадзе – Гость в школе -----	38
Н. Мазиашвили – Моя библиотека -----	39
<b>Достойные сыновья Отечества</b>	
Лиана Перадзе – Петре Умикашвили – Библиофил -----	41
Дурмишхан Лашхи – Давид Сараджишвили и грузинская молодежь -----	43
<b>Известные деятели в библиотечной отрасли</b>	
Ирине Гоглидзе – Владимиру Узнадзе – 100 -----	46
Александр Лория – Жизнь заслуженного человека – Н. Гургенидзе – 70 -----	49
<b>Библиографический обзор</b>	
Мали Лу Кандарели и др. – Китай в старых грузинских периодических изданиях -----	51
<b>Информация</b>	
Гурам Такниашвили – Правление Ассоциации представляется с отчетом -----	55
<b>В помощь библиотекам</b>	
Изменения в классификационной схеме -----	57
Календарь знаменательных и юбилейных дат 2006 года -----	60
<b>Хроника</b>	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты -----	65
<b>Ревю</b>	
Давид Гигинеишвили – Музыкальное лето в Мюнхене -----	66
<b>Некрологи</b>	
Незабвенная К. Попхадзе -----	70
Шота Андреевич Апакидзе -----	71

# Georgian Library № 4-05

## Table of Contents:

Anniversary year....	4
Guram Takniashvili – The chronology of our journal...	5
<b>Library Management</b>	
Zaza Abashidze, Teimuraz Chkhenkeli – Assessment og organization efficiency of the library	6
Tsisana Tsereteli – Librarian,s professional ethics...	11
<b>Foreign experience. International relations</b>	
Omar Shotashvili – For the integration of the library services into bologna process...	17
Inga Philauri _ Collection preservation system in the United Stetes	22
Nino Chkhenkeli – The review methods for the Web documents in American libraries	24
<b>Jubilee</b>	
Guram Takniashvili – The book sent to Kartli...	29
<b>From the pages of history</b>	
Nodar Gablshvili _ Censorship policy in Georgia in XIX century...	31
<b>Correspondences</b>	
Karine Melikian – Farewell to the teaching of ABC	37
N. Gogoladze – Guest in a library	38
N. Maziasvili – My library	39
<b>Honorable citizens</b>	
Liana Peradze – Petre Umikashvili – The Bibliophile...	41
Durmishkhan Lashkhi – David Saradjishvili and Georgian youth	43
<b>The distinguished workers of our field</b>	
N. Gogoladze – Vladimer Uznadze – 100...	46
Alexandre Loria – a life of a worthy man – N. Gurgenidze – 70...	49
<b>Bibliographical review</b>	
Mali lu Kandareli and others – China in the old Georgian periodicals	51
<b>Information</b>	
Guram Takniashvili – Association board has presented a report	55
<b>Librarian,s aid</b>	
Changes in a classification scheme...	57
The calendar of remarkeble and jubilee dates 2006...	60
<b>Cronicle</b>	
The chronicles, events, facts of Georgian library life	65
<b>Review</b>	
David Giginishvili – Musical summer in Munich	66
<b>Obituary</b>	
Mzia Togonidze – Unforgettable (K. Popkhadze)	70
Shota Apakidze	71



## საიუბილეო წელი

5 წელი შესრულდა, რაც ჩვენმა ჟურნალმა არსებობა დაიწყო. ცხადია, ეს სულაც არ არის ბევრი, მაგრამ თუ არსებულ ვითარებას გავითვალისწინებთ, ნამდვილად გვაქვს უფლება, საზეიმო განწყობილება გვქონდეს. ჩვენ წინ რამდენიმე თაობა ვერ ეღირსა, პროფესიული ჟურნალი ჰქონოდა. იყო რამდენიმე ცდა, მაგრამ წარუმატებელი. ძირშივე ეკვეცებოდა ფრთები ყოველ წამოწყებას. დღეს კი ჩვენ უკვე 21-ე ნომერს ვუშვებთ და ვიცით, რომ ჟურნალი მტკიცე ნიადაგზე დგას.

დასაწყისში დიდ საშიშროებას ჟურნალის ქომაგები მასალების სიმწირეში ხედავდნენ. ბევრს არ სჯეროდა, რომ ჩვენს დარგში მოხერხდებოდა სრულყოფილი ჟურნალის გამოცემა, იმ პროგრამის შესრულება, რომელიც ჟურნალმა თავდაპირველადვე გამოაცხადა.

არ ახლა ეჭვი და შიში, მართალია, პირველ ხანებში რედაქციას ძალიან გაუჭირდა, მასალაც ცოცხალი იყო და თანხებიც არ შემოდიოდა საკმარისად, თავის უარყოფით გავლენას პროფესიული გამოუცდლობაც ახდენდა, მაგრამ სულ მალე დაძლეულ იქნა ყოველივე. დღითიდღე იხვეწებოდა ჟურნალი, სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდებოდა გარეგნულად, ამადლდა ხარისხი, გამრავალფეროვნდა და დღეს ჩვენი ბიბლიოთეკარები მადლიერების გრძნობით მოგვმართავენ, მხარდაჭერას გვპირდებიან, ბევრი მათგანი აქტიურად მოღვაწეობს ჩვენთან.

სხვათა შორის, საკმაოდ შთამბეჭდავია ზოგი მონაცემი, რომლითაც ჟურნალი ხასიათდება. ასე მაგალითად: სულ ჟურნალში დაახლოებით 500-მდე ავტორმა მიიღო მონაწილე-

ობა; 100-ზე მეტი რუბრიკა იქნა გამოყენებული, ჟურნალი ღროულად გამოდის და მასშტაბურად ვრცელდება, გაჩნდნენ ჩვენი ჟურნალის კოლექციონერებიც, ინფორმაციების მოხალისე მომწოდებლები. ერთი სიტყვით, ჟურნალი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. სასიხარულოა, რომ ზოგი საბიბლიოთეკო გაერთიანება აქტიურად გვეხმარება, ყოველ ნომერს ღროულად იძენს და დაუგვიანებლად გვიწვორებს ანგარიშებს, როგორც, მაგალითად თბილისის, გორის, ხაშურის, რუსთავის გაერთიანებები. სამწუხაროდ, ზოგი რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკა ვერ იჩენს სათანადო მონდომებას, რაც აძნელებს ჟურნალის გამოცემას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რედაქციას უმძიმეს პირობებში უწევს მუშაობა – არამც თუ ოფისი, თავისთვის ერთი პაგარა კუთხეც კი არ გააჩნია, თანამშრომლები ხელფასს საერთოდ არ ღებულობენ, გაძნელებულია ურთიერთობა ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან, რედაქცია ვერ არის სრულყოფილად დაკომპლექტებული. რომ ასეთი შეფერხებები არა, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა ჟურნალის პერიოდულობა გაგვეზარდა.

ხუთი წელი ერთუბიანებით!

ასეთია ჩვენი კოლეგების შეფასება. ჩვენი ჟურნალი ნამდვილად მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია საქმის სიყვარულსა და ერთგულებას, რა შეუძლია ადამიანში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას.

გვინდა საუკეთესო მომავალი ვუსურვოთ ჟურნალს. წარმატებების გზით ევლოს!

გურამ თაყნიაშვილი

ჩვენი ჟურნალის წელთაღრიცხვა –  
ბუნებრივი, კითხვობრივი, ელოგიური

ესი წლის წინათ, როდესაც ამ ჟურნალის პირველი ნომრის წარდგენას ქართული საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი დაესწრო, ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ პირველი პროფესიული საბიბლიოთეკო ჟურნალი სიცოცხლისუნარიანი გამოდგებოდა. ვერ იფიქრებდა იმიტომ, რომ იმ დროს და ახლაც საბიბლიოთეკო დარგი მძიმე ეკონომიკურ პირობებშია. ბიბლიოთეკარებმა ენთუზიზმითა და პროფესიისადმი შესაშური ერთგულებით მოიგანეს დღემდე ერის სულიერი საგანძურის ეს მნიშვნელოვანი დაწესებულებები. დღესაც სახელმწიფოს არ გააჩნია საშუალება, ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს ბიბლიოთეკებს; განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მაღალმთიან და მრავალეროვან რაიონებში. და აი, ამ პირობებში, როგორც იმედის ნაპერწკალი, გამოჩნდა პროფესიული პერიოდული ორგანო. ჟურნალის დამფუძნებლებმა – საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ საჭირო და დროულ ინიციატივასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც აიღეს თავიანთ თავზე. ახლა, ხუთი წლის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ მათ შეუძლიათ ამ პასუხისმგებლობის აღსრულება. ეს შესაძლებელი გახდა ჟურნალის ირგვლივ პროფესიონალთა შემოკრებისა და საერთოდ მისი საგამომცემლო საქმის სწორი ხელმძღვანელობის შედეგად. ჟურნალის რედაქციას შეადგენს პროფესიონალთა ვიწრო ჯგუფი, რომელსაც ცოცხალი კავშირი აქვს საქართველოს საბიბლიოთეკო დაწესებულებების დიდ ნაწილთან. საქართვე-

ლოს საბიბლიოთეკო სფეროში იღვწის ბევრი ნიჭიერი სპეციალისტი, ნამდვილი პროფესიონალი, ენთუზიასტი, რომელთა წერილები და კორექციონდენციები უკვე გამოჩნდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. ჟურნალში ქვეყნდება ამ დარგში მოღვაწე და მომუშავე ბიბლიოთეკართა, სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, პრაქტიკოსთა წერილები; ავტორთა სიმრავლე ამ ჟურნალისადმი ინტერესზე მეტყველებს; ჟურნალისადმი ინტერესი გამოამჟღავნეს პედაგოგებმა, ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა, მათ, ვისთვისაც ძვირფასია წიგნი, ბიბლიოთეკა. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შეხვდებით რიგითი მკითხველისა და მკვლევართა წერილებსაც. არასაბიბლიოთეკო სფეროდან ჟურნალისადმი ინტერესი მის შინაარსსა და მრავალმხრივობაზე მეტყველებს.

ჟურნალი ვრცელდება სხვადასხვა უწყებებსა და გიჰის ბიბლიოთეკებში, მაგრამ მისი ძირითადი მომხმარებელი მაინც საჯარო ბიბლიოთეკებია. იმ რაიონებიდან და ქალაქებიდან, რომლებიც სისტემატურად იძენენ და საქმიანობასთანამშრომლობა აკავშირებს ჟურნალის რედაქციასთან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქ. თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანება, გორის, ხაშურის, საგარეჯოს, გურჯაანის, რუსთავის, მცხეთის, ღუშეთის, ქუთაისის, წყალგუბოს, სენაკის, თელავის, თერჯოლის, ზესტაფონის, ასპინძის, ღმანისის, გარდაბნის და სხვ. რაიონების საბიბლიოთეკო გაერთიანებები. ჟურნალით ნაკლებად ინტერესდებიან, არარეგულარულად იძენენ: ყაზბეგის, თიანეთის, ახმეტის, ლაგოდეხის, ყვარ-

რლის, ადიგენის, ლენგეხის, ცაგერის და სხვ. რეგიონების ბიბლიოთეკები. სამწუხაროა, რომ თავდაპირველად ჟურნალთან კარგი დამოკიდებულების შემდეგ, ამჟამად ჟურნალს ვეღარ იძენს ზოგიერთი საბიბლიოთეკო გაერთიანება. ასევე ვერ ახერხებს ჟურნალის შეძენას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი. რედაქცია იმედოვნებს, რომ ახლო მომავალში ჟურნალი შეაღწევს საქართველოს ყველა რეგიონის მთა-

ვარ ბიბლიოთეკებში, განათლების სისტემის ბიბლიოთეკებში.

ხუთი წლის გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალი მყარ ნიადაგზე დგას; მის თითოეულ ნომერს ბიბლიოთეკები ქმნიან; რედაქციაში ღლენიადაგ მოდის მასალები, ჩვენ გვწერენ, ჟურნალის თითოეულ ნომერს არჩევენ სემინარებზე, მას ინგერესით კითხულობენ, ელოდებიან.

## ს ა ბ ი ბ ლ ი თ ე კ ო მ ე ნ ე ჯ მ ე ნ ტ ი

გ. აბაშიძე, თ. ჩხენკელი

### ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასება

#### შესავალი

გამონაკლის შემთხვევების გარდა, თითქმის არც ერთ ბიბლიოთეკას მსოფლიოში არ გააჩნია საკმარისი რესურსები. ბიბლიოთეკის შეზღუდული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობის სისტემატურ შეფასებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წინამდებარე სტატია ეყრდნობა კრებულს: Library evaluation: a case-book and can-do guide/Danny P.Wallance, Connie Van Fleet, editors. – Libraries Unlimited, Inc., 2001. – 238 p.

ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობის სისტემატური შეფასება, შეფასების ანგარიშის შედგენა და მისი გამოქვეყნება ემსახურება ერთდროულად რამდენიმე მიზანს: 1. ბიბლიოთეკა, როგორც სახელმწიფო დაწესებულება, ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე,

რომელსაც იგი ემსახურება; 2. საზოგადოების ყველა წევრი არ დადის ბიბლიოთეკაში, მაგრამ ყველას უნდა სჯეროდეს, რომ ბიბლიოთეკა მუშაობს თავისი შესაძლებლობების ზღვარზე; საზოგადოება არა მარტო უნდა ენდობოდეს ბიბლიოთეკას, არამედ აქტიურად გულშემატკივრობდეს მას; 3. შეფასების ანგარიშის პერიოდული გამოქვეყნება და გაფრცელება ხელს უწყობს ბიბლიოთეკის პოპულარიზაციასა და არასახელმწიფოებრივი დაფინანსების მოზიდვას, ფინანსური და პოლიტიკური გავლენიანი წრეების მხარდაჭერის მოპოვებას; 4. დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში შეცდომების თავიდან აცილება შეუძლებელია დროული და მრავალმხრივი შეფასებების გარეშე; 5. შეფასების ანგარიშის შედეგისას ისახება ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ოპტიმიზაციისა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდის გზები.



ჩვეულებრივად, შეფასებას უნდა ატარებდეს და შეფასების ანგარიშს ადგენდეს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ბიბლიოთეკის მეთოდურ განყოფილებასთან ერთად. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი გარეშე პირები ან ორგანიზაციები (კონგრესის პალატა, აუდიტორული ფირმა და სხ.). ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობის ანგარიში უნდა იყოს ჩართული ბიბლიოთეკის წლიურ ანგარიშში.

### შეფასების მოდელები

ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასება შეიძლება რამდენიმე მოდელის გამოყენებით:

1. მიზნის მოდელი (რამდენად აღწევს დასახულ მიზნებს ბიბლიოთეკა);
2. კრიტიკული გულშემბატკვივრების მოდელი (გამოყოფილია თუ არა ბიბლიოთეკის კრიტიკული გულშემბატკვივრების ჯგუფები და რამდენად ხდება მათი მოთხოვნილებებისა და შეხედულებების დაკმაყოფილება);
3. რესურსების მოდელი (განსაზღვრულია თუ არა ბიბლიოთეკისთვის აუცილებელი რესურსები და ხდება თუ არა მათი მოპოვება);
4. თანამშრომლების მოდელი (განსაზღვრულია თუ არა ბიბლიოთეკისთვის საჭირო სპეციალისტები და ხდება თუ არა მათი მოზიდვა საჭირო რაოდენობით);
5. ღია სისტემების მოდელი (შეუძლია თუ არა ბიბლიოთეკას საფრთხეების განჭვრეტა და მათი მოგერიება, რათა შეინარჩუნოს სტანდარტული მომსახურების დონე);
6. გადაწყვეტილებების მიღების მოდელი (რამდენად კვალიფიციური გადაწყვეტილებები მიიღება, რამდენად ჩართულია ბიბლიოთეკის თანამშრომლები გადაწყვეტილებების მიღებაში, ფასდება თუ არა ყოველი გადაწყვეტილება მიღებული შედეგებით);
7. მომხმარებელთა მომსახურების მოდელი (რამდენად დაკმაყოფილებულია მომხმარებელი ბიბლიოთეკის მომსახურებით).

### მიზნის მოდელი

მიზნის მოდელი ყველაზე გავრცელებული მოდელია ბიბლიოთეკის ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასებისას. მისი კერძო შემთხვევებია წლიური გეგმის შემუშავება (სადაც ჩამოყალიბებულია წლის მიზნები), მისი შესრულების ანგარიშის შედგენა და ორივე დოკუმენტის გამოქვეყნება. თუ ორგანიზაცია ვერ აღწევს ცხად, თანამედროვე მოთხოვნებით გამოწვეულ რაციონალურ და რეალურ მიზნებს, მაშასადამე, არსებობს პრობლემები, რომლებზეც საჭიროა ძალისხმევის კონცენტრაცია.

მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მოდელი ყველაზე გავრცელებულია, იგი იწვევს გარკვეულ სკეპტიციზმს, რომელიც გამოწვეულია მიზნის ჩამოყალიბების პროცესით, რის გამოც მიზანი შეიძლება აღმოჩნდეს არაადეკვატური საზოგადოებისთვის. ვინ შეიძლება დააყენოს მიზანი: 1. ღირექცია (ან ღირექცის ნაწილმა), 2. ხელმძღვანელობამ (დეპარტამენტებისა და სხვა ქვედანაყოფების უფროსებმა) და მაღალკვალიფიციურმა თანამშრომლებმა, სხვადასხვა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა, პარლამენტმა, მთავრობამ და ა. შ. თუ ბიბლიოთეკის მიმართ რომელიმე ზემოხსენებულ ჯგუფს აღმოაჩნდა თავისი მოთხოვნები ან შეხედულებები და ბიბლიოთეკა ვერ დააკმაყოფილებს მათ (ან არ შეეცდება დააკმაყოფილოს), მაშინ ბიბლიოთეკას შეიძლება შეექმნას საფრთხე. ზოგ შემთხვევაში ეს მოთხოვნები შეიძლება არ ეთანხმებოდეს ბიბლიოთეკის გრძელვადიან მიზნებს, ამიტომ ბიბლიოთეკა სისტემატურად უნდა ეწეოდეს თავისი ძირითადი მიზნებისა და ფუნქციების პოპულარიზაციას. ზოგ შემთხვევაში პირიქით, ეს მოთხოვნები აზუსტებენ ბიბლიოთეკის მიმდინარე მიზნებს და წლიური გეგმის ჩამოყალიბებას საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ეფექტურობის მისაღწევად იგულისხმება, რომ მიზნები (წლიური გეგმა) უნდა იყოს გამო-

არებული ბიბლიოთეკის მთელი კოლექციის მიერ და რომ ყოველმა თანამშრომელმა უნდა შეძლოს ყოველი მიზნის შესრულების შემოწმება და თავისი ამრის გამოთქმა.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ: 1. ნამდვილი მიზნის იდენტიფიცირება ზოგჯერ ძნელია; 2. ღრთთა განმავლობაში მიზნები იცვლება, ძველდება; 3. მიზნები შეიძლება იყოს წინააღმდეგობრივი დეპარტამენტებისთვის ან მთლიანად ბიბლიოთეკისთვის; 4. მიზნები შეიძლება ემსახურებოდეს საზოგადოების ერთ ჯგუფს და არ აკმაყოფილებდეს მეორეს; 5. მიზნები შეიძლება არ აკმაყოფილებდეს მკითხველთა მოთხოვნებს; 6. მიზნები შეიძლება ასახავდეს იმათ მოთხოვნებს, რომლებსაც მეტი გავლენა აქვთ ღირეექციაზე და არა მათ მოთხოვნებს, რომლებსაც უფრო ესაჭიროებათ ბიბლიოთეკა; 7. მიზნები რაციონალურად უნდა ასახავდეს დღევანდელი მსოფლიოს მდგომარეობას; 8. მიზნები შეიძლება არ იყოს ფოკუსირებული იმაზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკისთვის. მაგ., ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს შეიძლება ჰქონდეს კომპიუტერი და ინტერნეტი, მაგრამ ბიბლიოთეკა ვერ ასრულებდეს თავის სოციალურ და საზოგადოებრივ დანიშნულებას.

### კრიტიკული გულშემატკივრების მოდელი

კრიტიკულ გულშემატკივრების მოდელში ბიბლიოთეკის ეფექტურობა იზომება კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფების მოთხოვნათა და შეხედულებათა დაკმაყოფილების შეფასების გზით. კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფები შეიძლება იყოს შიდა და გარე. ყოველ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს თავისი, სხვებისგან განსხვავებული წარმოდგენები ბიბლიოთეკაზე და ეს წარმოდგენები ღრთთა განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს. კრიტიკულ გულშემატკივრებს განეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ ბიბლი-

ოთეკის გეგმებზე და ფუნქციონირებაზე. გულშემატკივართა ჯგუფები შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკულად, თუ: 1. ჯგუფში შემავალ წევრთა რაოდენობა ყველაზე დიდია; 2. ჯგუფში შემავალი წევრები საზოგადოებაში ფინანსურად ან პოლიტიკურად გავლენიანი პირები არიან; 3. ჯგუფში შედიან საზოგადოების ყველაზე მყვირალა წევრები; 4. ჯგუფში შედის საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი და პერსპექტიული ნაწილი (მაგ. ახალგაზრდობა). შიდა კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფების მაგალითებია: ღირეექცია, განყოფილების გამგეები, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სრული შემადგენლობა. გარე კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფების მაგალითებია: მკითხველები, პოტენციური მკითხველები, დამფინანსებელი ორგანიზაციები და პიროვნებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასშედა, ახალგაზრდობა, უმუშევრები, ინვალიდები, საზღვარგარეთელი მკითხველები და ა. შ.

უნდა განისაზღვროს შიდა კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფების მოთხოვნები, რამდენად არის ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებული და რამდენად შესაძლებელია ან მიზანშეწონილი მათი დაკმაყოფილება პრინციპში.

უნდა განისაზღვროს გარე კრიტიკულ გულშემატკივართა ჯგუფები, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა შეუძლიათ მოახდინონ ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებულ უნდა იქნეს მათი წარმოდგენები ბიბლიოთეკების სასარგებლოდ. შეფასებულ უნდა იქნეს ბიბლიოთეკის შესაძლებლობები გარე კრიტიკული გულშემატკივრების ჯგუფების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მოხდეს ბიბლიოთეკის გეგმების კორექტირება იმისათვის, რომ არსებული გადანაწილდეს ამ მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით. შედეგი: უფრო დიდი ფინანსური ან მაგერიალური რესურსების მოპოვების შესაძლებლობა. მაგ., მომავალი

საპარლამენტო სესიის დღის წესრიგის მიხედვით ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი და ამ ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდება პარლამენტისთვის, დამფინანსებელი ორგანიზაციების ან პიროვნებების საინფორმაციო მოთხოვნების შესწავლა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მათთვის და ა. შ.

### რესურსების მოძიება

რესურსების მოძიება განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ორგანიზაციულ ეფექტურობას ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რესურსების მოპოვების სისრულითა და დროულობით. იმისათვის, რომ ბიბლიოთეკამ შეიძინოს აუცილებელი საინფორმაციო, ტექნიკური და სხვა რესურსები, მას უნდა შეეძლოს ფინანსური რესურსების მოპოვება მთავრობისგან, საქველმოქმედო ორგანიზაციებისგან და პიროვნებებისგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რესურსების მოძიებით ეფექტურობის შეფასებისას უნდა იქნეს დათვლილი ბიბლიოთეკის ურთიერთობები მემდგომ ორგანოებთან, ფინანსურ და პოლიტიკურ წრეებთან და ამ ურთიერთობებით მიღწეული შედეგები. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა უნდა შეფასდეს, თუ რამდენად ეფექტურად არის გამოყენებული ბიბლიოთეკის შიდა ორგანიზაციული და სპეციალისტების რესურსები. ღიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბიბლიოთეკის ურთიერთობებს მომწოდებლებთან (წიგნების, პერიოდიკის, კომპიუტერების, ინტერნეტის და ა. შ.) იმისათვის, რომ დროულად შეძენილ იქნეს საჭირო ხარისხიანი მასალა.

### თანამშრომლების მოძიება

თანამშრომლების მოძიება წარმოადგენს რესურსების მოძიების განუყოფელ ნაწილს ან კერძო სახეს. თანამშრომლების მოძიების თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა ორგანიზაციულად ეფექტურია, თუ მას შეუძლია მოიზიდოს, შეარჩიოს

და შეინარჩუნოს ბიბლიოთეკისთვის საჭირო სპეციალისტები, რომელნიც ისწრაფვიან ბიბლიოთეკის მიზნების შესრულებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების მეოხებით ქვეყნის უკეთესი მომავლისაკენ. ამ მოდელისთვის დათვლილი უნდა იქნეს კადრების დენადობა და მისი მიზნები, შეფასებული უნდა იქნეს თანამშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება სამუშაოს ხასიათით, საჭიროებით, მოცულობით, საზოგადოებრივი მნიშვნელობით და ა. შ. შეფასებულ უნდა იქნეს კადრების სისტემის მოქნილობა და უნარი, მოიზიდოს სხვადასხვა დარგის გამოცდილი და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპეციალისტები, უნდა იქნეს შეფასებული, თუ რამდენად არიან კმაყოფილი თანამშრომლები შრომის არსებული ანაზღაურებით და მისი გაზრდის პერსპექტივებით.

### ღია სისტემების მოძიება

ღია სისტემების მოძიება განიხილავს ბიბლიოთეკას როგორც ცოცხალ ორგანიზმს, რომელმაც განუწყვეტლივ თვალი უნდა ადევნოს შესაძლო საფრთხეებს და იზრუნოს თავის გადარჩენაზე ცვალებად გარემოში. ბიბლიოთეკის საფრთხეებია: დაფინანსების შემცირება, შესაძენი მასალებისა და მომსახურების გაძვირება, ბიბლიოთეკის გამოყენების დაბალი მაჩვენებლები, საკანონმდებლო შემლუღებები, ინფორმაციის ახალი მაგარებლებისა და მათი გამოყენების მიუწვდომლობა და ა. შ.

შეუძლია თუ არა ბიბლიოთეკას საფრთხეების განჭვრეტა და მათი მოგერიება, რათა საბიბლიოთეკო მომსახურების დონე შეესაბამებოდეს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებსა და საზოგადოების მოთხოვნილებებს. ამისათვის შეფასებულ უნდა იქნეს ბიბლიოთეკის შესაძლებლობა:

1. ისწრაფად შეავსოს ვაკანსიები კვალიფიციური სპეციალისტებით;
2. შექმნას ბიბლიოთეკის პოზიტიური საზო-

გაღობრივი იმიჯი;

3. სწრაფად დაძლიოს კრიზისული სიტუაციები, წარმატებით განახორციელოს თავისი პროექტები და უზრუნველყოს მომსახურების ახალი სახეების პოპულარიზაცია;
4. მოიპოვოს ნდობა დამფინანსებელი და სხვა გავლენიანი ორგანიზაციებისა და პირებისა;
5. განახორციელოს მომწოდებელ ორგანიზაციებთან უშეცდომო და უნარიანი მუშაობა.

### გადაწყვეტილებების მიღების მოდელი

გადაწყვეტილებების მიღების მოდელისთვის გადაწყვეტილების მიღების მოდელისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს ბიბლიოთეკა შიდა და გარე სტაგისტიკურ და სხვა მონაცემებს, რამდენად ასახავენ ისინი რეალობას და რამდენად საიმედოა ეს მონაცემები, როგორ ხდება ამ მონაცემების დამუშავება შესაბამისი დასკვნების მისაღებად.

მეორე ფაქტორს კვალიფიციური გადაწყვეტილებების მიღებაში წარმოადგენს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში სხვადასხვა სახით. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა სხვადასხვა დონეზე უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღებაში.


მესამე ფაქტორს გადაწყვეტილებების მიღების მოდელისათვის წარმოადგენს ყოველი გადაწყვეტილების შეფასება მიღებული შედეგებით, გადაწყვეტილების ანალიზი მისი შედეგე-

ბით. ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობის მისაღწევად ყოველად დაუშვებელია მცდარი გადაწყვეტილების მიჩუმება.

### მომხმარებელთა მომსახურების მოდელი

ბიბლიოთეკა არსებობს მომხმარებლისთვის, ამიტომ ბიბლიოთეკა პერიოდულად უნდა აფასებდეს, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი თავისი მკითხველების მოთხოვნილებებს, რომელთა რამდენიმე ასპექტი არსებობს: 1. შეხებითი შეგრძნების მოთხოვნილებები: ღირბაზები, ავეჯი, გემპერაგურა, განათება, სუნი, ხმაური, ფონდები, ელექტრონული მასალები, კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები, კაბალოგები და სხვა საშუალებები, ინტერნეტი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები და ა. შ.; 2. საიმედოობა: წესდებით დადგენილი საბიბლიოთეკო მომსახურების მაღალ დონეზე შესრულების რეალური შესაძლებლობა და პირობები; 3. პასუხისმგებლობა: მკითხველთა დახმარებისა და სწრაფი მომსახურების უანგარო სურვილი; 4. დარწმუნება: ბიბლიოთეკართა ცოდნა, პროფესიონალიზმი, თავაზიანობა და მათ მიერ მკითხველთა ნდობის დამსახურება; 5. თანაგრძნობა: ინდივიდუალური ყურადღების მიქცევა ყოველი მკითხველისადმი.

შეფასებები უნდა გარდებოდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად სტაგისტიკის, კითხვარებისა და ინტერვიუების გამოყენებით. შეფასების შედეგები უნდა ჯამდებოდეს ანგარიშის სახით, ქვეყნდებოდეს და უფასოდ ურიგდებოდეს მკითხველებს.



ცისანა წერეთელი  
საქ. პარლამენტის ეროვნ. ბიბლიოთეკის ბიბლმცოდნ. და საბიბლ.  
სტანდარტების ცენტრის მთ. ბიბლიოგრაფი

## ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკა

**ე**თიკა (ethike) ლათინური სიგეცაა და ხასიათს, ჩვეულებას ნიშნავს. ეთიკა მეცნიერებაა მორალზე, როგორც სამოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთ ფორმაზე, მის არსზე, კანონებზე, ისტორიულ როლზე სამოგადოებრივ ცხოვრებაში. ეთიკა სწავლებაა რომელიმე კლასის, სამოგადოებრივი ან პროფესიული ჯგუფის მწივარი ქცევის ნორმების სისტემის შესახებ. საუკუნეების მანძილზე ფორმირდებოდა სამედიცინო და იურიდიული კოდექსები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ თავის საქმიანობაში ამ პროფესიის წარმომადგენლები. აღნიშნული კოდექსები თანამიმდევრობით და ლოგიკურადაა აგებული. გერმინი ეთიკა პირველად გამოიყენა არისტოტელემ (ძვ. წ. 384-322). მან მწივრის საკითხებს მიუძღვნა შრომა „ნიკომაქეს ეთიკა“. უფრო ადრე ეთიკის საკითხები შეისწავლა პლატონმა. ეთიკური პრობლემატიკა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. შექმნილია ეთიკური ცოდნის მთელი სისტემა, რომელიც პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ დარგებად: მწივრის ისტორია, მწივრის ფსიქოლოგია, მწივრის სოციოლოგია, მწივრის აქსიოლოგია, ეთიკის ისტორია... შესაბამისად, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ისეთი საბიბლიოთეკო სამეცნიერო მიმართულებების განვითარება, როგორცაა საბიბლიოთეკო მწივრის ისტორია, ფსიქოლოგია და სოციოლოგია, ბიბლიოთეკარის და ბიბლიოთეკის ეკოლოგიური ეთიკა, მით უმეტეს, რომ ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის პრობლემა მოიცავს სხვადასხვა თემებს: როგორცაა „ბიბლიოთეკარის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კულტურა“, „საბიბლიოთეკო ეთიკა და

ეტიკეტი“, „ბიბლიოთეკარის საინფორმაციო კულტურა“, „საბიბლიოთეკო და ბიბლიოთეკარის კომპიუტერული ეთიკა“, „საბიბლიოთეკო ფსიქოლოგია“ და ა. შ.

ბიბლიოთეკა როგორც წერილობითი ძეგლების სამოგადოებრივი საცავი, უძველეს დროში შეიქმნა, ვფიქრობთ, პრობლემა საბიბლიოთეკო და ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის შესახებ ბიბლიოთეკების დაფუძნება-შექმნის პერიოდიდან იღებს სათავეს. ეს კი საბიბლიოთეკო ეთიკის ისტორიის კვლევის ობიექტად შეიძლება მოიაზრობოდეს.

მე-19-20 საუკუნეებში საბიბლიოთეკო პროფესიის წარმოქმნამ წამოჭრა პროფესიული ეთიკის პრობლემები. თანამედროვე ბიბლმცოდნეობის სფეროში ყველა ქვეყნის საბიბლიოთეკო სპეციალისტები ცდილობენ შექმნან მეცნიერულად დასაბუთებული, პრაქტიკასთან შეთანხმებული სისტემა, რომელიც ბიბლიოთეკარის პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი იქნება და დაარეგლამენტებს ბიბლიოთეკათმცოდნეობის სფეროში ყველა მიმართულებით მომუშავე სპეციალისტების პროფესიულ საქმიანობას. ჯერ კიდევ 1903 წელს ამერიკელმა მკვლევარმა მერი პლუმერმა ჩამოაყალიბა საბიბლიოთეკო პროფესიაში პირველი ეთიკური ცნებები, მხოლოდ 1938 წელს ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის სხდომაზე დამტკიცდა ბიბლიოთეკარის ეთიკის პირველი კოდექსი. 1984 წელს კი ფინეთის საბიბლიოთეკო ორგანიზაციებმა ევროპაში პირველად შექმნეს გაერთიანებული სამუშაო ჯგუფი პროფესიული კოდექსის მოსამზადებლად. მათ შემდგომ შეუერთდნენ დანიის, ნორვეგიის, შვეციის, ინგლისის საბიბლიოთეკო ასოციაცი-

ები. ერთობლივი განხილვების შედეგად მომზადებული და მიღებული იყო ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის ერთიანი ვარიანტი. საბიბლიოთეკო პროფესიული ეთიკის კოდექსის სრულყოფის მიზნით, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკიაში, ბულგარეთში, გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში. რუსეთში ბოლო პერიოდში დაიწყო ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის, როგორც პრობლემის, შესწავლა, მაშინ, როცა ამერიკასა და ევროპაში ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის საკითხები მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მუშავდებოდა. რუსეთში საბიბლიოთეკო პროფესიის ეთიკური ასპექტები შეისწავლებოდა და მეცნიერულად მუშავდებოდა ისეთი წამყვანი მეცნიერების მიერ, როგორებიც არიან: კ. ი. აბრამოვი, ვ. ი. აიზენბერგი, ნ. ა. ვანეევი, ვ. ი. გერეშინი, ა. ვ. სოკოლოვი, ა. ი. კაპტერევი, ი. გ. მორგენშტერნი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით საზღვარგარეთის, რუსულ და ქართულ თანამედროვე და რეგროსპექტულ ბიბლიოთეკათმცოდნეობის სფეროს ლიგერატურულ მასალაში არასაკმარისადაა დამუშავებული ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის საკანონმდებლო ბაზა. შესწავლილი საკითხები არ ეხება ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურებისას სხვადასხვა უბნებზე მომუშავე სპეციალისტების შრომის თავისებურებებს. ვფიქრობთ, პრობლემური საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სრულყოფილად ვერ ასახავს ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის შესახებ მეცნიერულ კონცეფციებს და ადამიანის ზოგადი ეთიკური პრობლემებით ისაზღვრება ბიბლიოთეკის ისეთი ქვეგანყოფილების თანამშრომლებისათვის, როგორიცაა წიგნის და საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჰიგიენური დაცვა (ინტერნეტის საიტებზე ბოლო პერიოდში მოიხსენიება დეკონტამინაციის ცნების სახელწოდებით, ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის, რომ გრადიციულ წყაროებში ეს ტერმინი არ არის ასა-

ხული), სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის ეთიკური ნორმები და ა. შ. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ბიბმცოდნეობითი სფეროს სპეციალისტების საქმიანობის კლასიფიცირება შეიძლება შემდეგი მიმართულებით განვიხილოთ: ინფორმირების, ავტომატიზაციის, კატალოგიზირების, დეკონტამინაციის და ეკოლოგიური.

ბერლინში (2003 წ.) IFLA-ს 69-ე სესიაზე შემუშავებული და მომზადებულია 2003-2005 წ.წ. მსოფლიო კონგრესის პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია ბიბლიოთეკარების პროფესიული საქმიანობის სფეროები, ყურადღება გამახვილებულია ისეთ პროფესიულ საკითხებზე, როგორიცაა ბიბლიოთეკებში ნოვაციების წარმოჩენა, დანერგვა, ბიბლიოთეკარების მიერ გრადიციულ საქმიანობასთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა, საკითხში ჩაღრმავება... საბიბლიოთეკო სფეროს განვითარებისა და მკითხველთა მომსახურების მიზნით, მოცემულია ისეთი პროფესიული თვისებები, რომლებიც არ არის დასახელებული ბოლო წლებში გამოცემულ საბიბლიოთეკო სტატიებსა თუ კვლევებში: კომპიუტერული განათლება, ციფრული განათლება, საინფორმაციო-ტექნოლოგიური და ინტერაქტიული კომპიუტერობა, ინტერნეტისა და მედიაარესურსებით კომპიუტერული სარგებლობა, მრავალმხრივი კომპიუტერობა, ვერბალური განათლება. პროგრამა ითვალისწინებს უწყვეტ განათლებას. თანამედროვე მრავალცვალებად სამყაროში ცოდნის ახალი დარგების, ახალი ტექნოლოგიების განვითარება განაპირობებს ბიბლიოთეკართა საინფორმაციო განათლების უწყვეტად ამაღლებას. მაგრამ ამავე დროს ინფორმაციის მომხმარებელთათვის და ბიბლიოთეკის მკითხველთათვისაც სასურველია გლობალური პროცესების შესახებ ინფორმირებულობა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტის შექმნამდე ყურადღება არ იყო გამახვილებული ამ საკითხზე, აქცენტი მხოლოდ ბიბლიოთეკარის მო-

გად პროფესიულ კომპეტენციებზე მახვილდებოდა. ამგვარად, საბიბლიოთეკო სფეროს სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე ბიბლიოთეკართა პროფესიული ეტიკა იძენს დიფერენცირებულ ხასიათს სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-მეთოდური, საინფორმაციო ანალიზის, ინფორმაციის მოძიების, შეფასების და გამოყენების, ინფორმაციის მრავალფეროვან წყაროებში გარკვევის უნარის მიმართულებით. აღნიშნული სამუშაოს შესრულება საბიბლიოთეკო სფეროს სპეციალისტებისაგან მოითხოვს როგორც ადამიანურ ეთიკურ-ზნეობრივ თვისებებს, ასევე პროფესიულსაც. თუმცა ზღვარი აღნიშნულ თვისებებს შორის ხშირად წაშლილია და ადამიანური ეთიკურ-მორალური თვისებები პროფესიულად აღიქმება.

თანამედროვე პირობებში საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა პროფესიული თვისებები მუდმივად განიცდის სრულყოფას. სასურველია, პერმანენტულად ხდებოდეს ცოდნის რეალური აქტუალიზაცია. ამავდროულს საბიბლიოთეკო სპეციალისტების პროფესიონალიზმში არ შეიძლება განყენებულად იყოს განხილული ბიბლიოთეკარების საინფორმაციო კულტურისაგან. სასურველია, ეს პრობლემა შეისწავლებოდეს კომპლექსურად. საბიბლიოთეკო სფეროში დამკვიდრებას იწყებს ისეთი ახალი დისციპლინა, როგორცაა საინფორმაციო კულტუროლოგია, რაც გულისხმობს საზოგადოების ნებისმიერ სოციალურ-პროფესიულ ჯგუფში შემავალი თითოეული პიროვნების პროფესიული საქმიანობის წარმატებით შესრულებისათვის პროფესიული კულტურის მაღალი დონის ფლობის აუცილებლობას.

პროფესიული კულტურა მრავალწახნაგოვანი მოვლენაა და მოიცავს საინფორმაციო, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, ინტელექტუალურ კომპონენტებს და დამოკიდებულია სპეციალისტის ფუნქციონურ სპეციალიზაციაზე. საბიბლიოთეკო სფეროს სპეციალისტებისათვის მკვლევართა მიერ დიფერენცირებულია პროფესი-

ული კულტურის სამღვრები. მაგალითისათვის, ბიბლიოგრაფის საინფორმაციო კულტურის მოდელის აგების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს პროფესიოგრაფია. პროფესიოგრაფიის თეორიულ მოდელში გამოყოფენ ისეთ ძირითად შემადგენელ კომპონენტებს, როგორცაა ფსიქოლოგიური, მსოფლმხედველობრივი, ეთიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური, ეთიკური ნორმები და შეხედულებები, გრადიციები, ცოდნის ათვისების ხარისხი. კრიტიკულ-ლოგიური აზროვნება განსაზღვრავს საბიბლიოთეკო სპეციალისტების სწრაფვას მაღალი საინფორმაციო კულტურის ფორმირებისაკენ, ზრუნვას ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავებისაკენ, ღოგმებისაკენ მიდრეკილების უქონლობას, ცოდნისადმი დიდი ღვაწლი და მოკიდებულების ჩამოყალიბება-გამომუშავებას. ბიბლიოგრაფი, ბიბლიოთეკარი აანალიზებს რა საინფორმაციო ნაკადს, დოკუმენტების მიმართ გამოიმუშავებს საკუთარ დამოკიდებულებას, შეაჯერებს სხვადასხვა ალტერნატიული კონცეფციების შემცველ დოკუმენტებს თუ ინფორმაციებს, შედეგად ინფორმაციის მომხმარებლისათვის უზრუნველყოფს საინფორმაციო დოკუმენტების თავისუფალ არჩევანს. ბიბლიოგრაფი მუდმივად და მიზანმიმართულად განახორციელებს დოკუმენტურ ნაკადში თემატურ ძიებას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ი. გ. მორგენშტერნის მიერ დამუშავებულია ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია ბიბლიოგრაფის პროფესიულ კოდექსზე.

სამეცნიერო ბიბლიოთეკებში (და არა მარტო) ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა ავტომატიზაციის განყოფილებები. ახალი ცნებაა – პროფესია სისტემური ბიბლიოთეკარი. ეს არის პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის სისტემაზე. თანამედროვე საინფორმაციო სპეციალისტის პროფესიული ეთიკის სპეციფიკა, სასურველია, გამოიხატოს კომპიუტერული ეთიკის ნორმების

დაცვაში. კომპიუტერული ეთიკის ნორმები წარმოდგენილია და ცნებების სახით ფორმულირებულია ა. რინალდის მიერ. ზოგადი პროფესიული მორალი და პროფესიული ქცევის წესები ათი ცნებითაა ჩამოყალიბებული. (Начные и технич. библиотеки. 1998-N7. С. 16). ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია სისტემური ბიბლიოთეკარის ფუნქციების გაფართოება. კომპიუტერთან მომუშავე სხვა ბიბლიოთეკარებისაგან სისტემურ ბიბლიოთეკარს განასხვავებს ის პასუხისმგებლობები, რომლებიც შეიცავს შემდეგ მოდულებს: ცირკულაცია, ონლაინ-კატალოგი, დაკომპლექტება, სამეურნეო ნაწილი. ამავე დროს სისტემური ბიბლიოთეკარის სამუშაო განისაზღვრება როგორც ბიბლიოთეკის სხვა განყოფილებებთან, ასევე მთლიანად ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.

კოლექსი ეთიკური ნორმების ერთობლიობაა, რომელიც ფორმულირებულია ბიბლიოთეკარების პროფესიული გაერთიანების მიერ და მოწოდებულია არეგულიროს მათი საქმიანობა. კოლექსი უნდა იყოს მოკლე, მარტივი, გასაგები, თანამიმდევრული და ლოგიკური, მიზანმიმართული, მისაღები საბიბლიოთეკო პრპექტიკაში, რეალურად და პრაქტიკულად განხორციელებადი, სრულად და მრავლად მოიცვას საბიბლიოთეკო შრომის ყველა ასპექტს. ე. ი. სასურველი იქნება, შეიქმნას ერთიანი კოლექსი ყველა სახის ბიბლიოთეკებისა და ყველა სპეციალიზაციის მქონე ბიბლიოთეკარებისათვის. თანამედროვე ეტაპზე მოიპოვება ბიბლიოთეკარის ეთიკური კოლექსი, რომელიც შემდეგი სახითაა ფორმულირებული:

- კოლექსი მოწოდებულია უზრუნველყოს მომსახურების მაღალი ხარისხი და კომფორტულობა, მომსახურების მისაწვდომობა და მრავალფეროვნება ყველა მსურველთათვის, როგორც დაწესებულების შესაძლებლობების გამოყენების საშუალებით, ასევე სხვა საბიბლიოთეკო რესურსების მოზიდვით.

- ინფორმაციის მისაწვდომობა განიხილოს ხელშეუვალ უფლებად ნებისმიერი ადამიანისა, რომელიც მიმართავს ბიბლიოთეკას.
- შეეწინააღმდეგოს საბიბლიოთეკო მასალების მისაწვდომობის შეზღუდვას და არ დაუშვას მათი თვითნებურად ამოღება, უარი (ცენზურა) მოთხოვნილ ღოკუმენტზე.
- ბიბლიოთეკარი არაა პასუხისმგებელი ბიბლიოთეკაში მიღებული ღოკუმენტის ან ინფორმაციის გამოყენების შედეგად მიღებულ შედეგებზე.
- ბიბლიოთეკარი თავის ურთიერთობებს აგებს პიროვნებისადმი პატივისცემის და მისი საინფორმაციო მოთხოვნილებების საფუძველზე.
- იცავს მომხმარებლის საინფორმაციო საქმიანობის შესახებ მონაცემთა კონფიდენციალობას (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), აღიარებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე საავტორო უფლებებს და თავს არიდებს ბიბლიოთეკის ფონდებისათვის კონგრატაქტული ლიგერატურის შექმნას.
- ისწრაფის პროფესიული სრულყოფის, პროფესიული განათლებისა და კომპეტენტურობის დონის ამაღლებისათვის.
- პატივს სცემს კოლეგების ცოდნას და ხალისით გადასცემს თავის ცოდნას.
- პატივისცემით ეპყრობა ყველა კოლეგას, იცავს მათ უფლებებს და ხელს უწყობს პროფესიის ავტორიტეტის დაცვას.
- ზრუნავს პროფესიის მაღალ სამოგადოებრივ სტატუსზე, ბიბლიოთეკის სოციალურ როლზე, განამტკიცებს მის რეპუტაციას.

აღნიშნულ კოლექსთან ერთად, მოიპოვება ბიბლიოგრაფის პროფესიული კოლექსი, სადაც ბიბლიოგრაფიული შრომის ეთიკური ნორმები ასახული. ბიბლიოგრაფისათვის სპეციფიკურია შემდეგი სახის მოთხოვნები:



● მკითხველთა გაურკვეველი, რთული ან ცლომილებითი ცნობების შემცველი მოთხოვნების დაქინებული ძიება.

● იმ ინფორმაციის სავსეობა, რომელიც უნდა მიეწოდოს მკითხველებს და ყველა შესაძლო რესურსის გამოყენება მისი გამოვლენის მიზნით.

● კეთილმოსურნეობა, ტაქტის გრძნობა, კორექტულობა ურთიერთობაში, მბრძანებლურ ირონიულ ინგონაციებზე უარის თქმა.

● მკითხველებისათვის უარის მიზეზების ასხნის აუცილებლობა, საინფორმაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება.

● შრომის ხარისხის დამოკიდებულების შეცნობა საკუთარი პროფესიული კომპეტენციაში და ღონებზე. მისწრაფება უწყვეტი განათლებისა და თვითგანათლებისაკენ.

კოდექსების დაცვა ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოგრაფებისათვის მორალურ და პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს, ხოლო საბიბლიოთეკო ასოციაცია ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი ბიბლიოთეკარისათვის მორალური მხარდაჭერა მოცემული პრინციპების რეალიზაციისას პრობლემებთან შეჯახების შემთხვევაში.

ბიბლიოთეკარის პროფესიული მორალის პრინციპები ზოგადად შეიძლება გაგებული იყოს როგორც საბიბლიოთეკო საქმიანობა, რათა ბიბლიოთეკარმა მკითხველს – ინფორმაციის მომხმარებელს პროფესიულად მიაწოდოს ინფორმაცია, საბიბლიოთეკო დოკუმენტები. ბიბლიოთეკარი, სასურველია, ფლობდეს მკითხველებთან ურთიერთობის ხელოვნებას, ახასიათებდეს კულტურული, პროფესიული, სულიერი ბრდა და სრულყოფისაკენ სწრაფვა. საბიბლიოთეკო ეთიკა, სასურველია, გაჯერებული იყოს ჰუმანური ასპექტებით, ეთიკურ-ზნეობრივმა მორალმა იმგვარად უნდა დაარეგულიროს ბიბლიოთეკარის ქცევა, რომ ხელი შეეწყოს ბიბლიოთეკარის პროფესიული, მოქალაქეობრივი

ავტორიტეტის გამყარებას. სასურველია, ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე აიხსნას ბიბლიოთეკარის პროფესიის სამოგადოებრივი მნიშვნელობა. დღეს სამოგადოებაში საბიბლიოთეკო ეკოლოგიის ჰუმანურობა ბიბლიოთეკარისათვის ერთ-ერთ ეთიკურ-ზნეობრივ მიმართულებად მოიაზრება. ზოგადად, მორალური ნორმების გარდა, ბიბლიოთეკარი აუცილებლად უნდა ფლობდეს მაღალ ზნეობრივ პროფესიულ თვისებებსაც, რაც საბიბლიოთეკო სპეციალისტის პროფესიული მორალის საფუძველს წარმოადგენს და გავლენას ახდენს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ პროფესიული ეთიკის ფორმირებაზე. ამასთან, პროფესიული დიფერენციაცია გარკვეულწილად არეგულირებს პროფესიული ეთიკის ჩარჩოებს. ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის კოდექსში აისახება პროფესიის ყველა ფასეულობა (საბიბლიოთეკო აქსიოლოგია) და ზნეობრივი იდეალები

([www.rsuh.ru/section.htmicl=104](http://www.rsuh.ru/section.htmicl=104)).

კოდექსში ფორმულირებულია მოვალეობები ბიბლიოთეკებთან, ბიბლიოთეკარებთან, მკითხველებთან და სამოგადოებასთან მიმართებაში დაზუსტებულია საბიბლიოთეკო საქმიანობის ხასიათი და მიზანი. პროფესიული ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის მისაღებ საზღვრებს და კრიტერიუმებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ სპეციალისტები. კოდექსი მოწოდებულია მოახდინოს პროფესიული მოვალეობების შესრულებისას ბიბლიოთეკის სპეციალისტების სწორი საინფორმაციო, ინტელექტუალური თუ სხვ. ქცევის პრინციპების ფორმულირება, იმ მიზნით, რომ სპეციალისტმა თავის ვალდებულებად მიიჩნიოს ბიბლიოთეკაში არსებული მონაცემთა ბაზების გარდაქმნა ინფორმაციად, ხოლო ინფორმაცია ცოდნად. ე. ი. სქემა მონაცემთა ბაზა-ინფორმაცია-ცოდნა – იძენს სავალდებულო საინფორმაციო ქცევის სახეს.

ბიბლიოგრაფიული რესურსების შესწავლის საფუძველზე მიღებული ცოდნა განსაკუთრებით აისახება საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ სა-

მეცნიერო-კვლევის შედეგად მიღებულ შედეგებზე. ჩვენი ამრით, ნებისმიერი კვლევა დაფუძნებული უნდა იყოს როგორც პირველადი დოკუმენტური ნაკადის (თემატიკა, ცოდნის სფერო, სხვადასხვა დარგი) შესწავლაზე, ასევე დოკუმენტების სახეობრივ მიკუთვნებაზე. პროფესიული მორალი სპეციალისტს ავალდებულებს, ფლობდეს საბიბლიოთეკო წყაროების და სამეცნიერო საინფორმაციო სისტემების თავისებურებებს, რომ შესაძლებლობა მიეცეს სხვადასხვა დარგის მკვლევარებს ინფორმაცია მიაწოდოს. ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს დროში ცნება „განათლებული ადამიანი“ სინონიმია „ინფორმირებული ადამიანისა“. ბიბლიოთეკები უკვე აღარ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ინფორმაციის დამაგროვებელ და საინფორმაციო რესურსების შემნახველ ცენტრებად. ბიბლიოთეკები დღევანდელ პირობებში აფართოებენ თავის გრადიციულ ვალდებულებებს და თავის თავზე ღებულობენ ბიბლიოთეკაში არსებულ მონაცემთა ბაზებში დაუნჯებული მასალის გარდაქმნას ინფორმაციად, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიოთეკების ყველა ქვეგანყოფის სპეციალისტების პროფესიულ ეთიკურ-მნეობრივი მოვალეობის გრძნობას. ბოლო ათწლეულში სამეცნიერო ბიბლიოთეკებში გამოკვეთა საბიბლიოთეკო სპეციალიზაციაში სხვადასხვა მიმართულების სპეციალობები. კერძოდ, ბიბლიოთეკარი-კლასიფიკატორი, ბიბლიოთეკარი-კატალოგიზატორი, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების მკვლევარი, ბიბლიოთეკარი-ბიბლიოგრაფი, საბიბლიოთეკათმორისო აბონემენტის ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკის ფონდების ბიბლიოთეკარები, სისტემური ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკარი ეკოლოგი-საბიბლიოთეკო დოკუმენტების ეკოლოგიური დაცვის განყოფილების ბიბლიოთეკარები, მომსახურების სფეროს ბიბლიოთეკარები. ამასთან, საგულისხმოდ მიგვაჩნია ის, რომ ბოლო წლებში გამოცემულ პრო-

ფესიულ წყაროებში, რომლებშიც ასახულია ინფორმაცია საბიბლიოთეკო ეთიკის ნორმების შესახებ, ყურადღებას იქცევს ორი მნიშვნელოვანი საკითხი: ა) ბიბლიოთეკარებისათვის ეკოლოგიური უსაფრთხოების სამართლებრივი საქმის ცოდნა (GSS კოდექსი ქართული პროგრამული სისტემა – [www.Law.ge](http://www.Law.ge) – გამამკვლევო მოქალაქეთა უფლებების, ეკოლოგიის, ჯანდაცვის დარგში), ბ) ინფორმირებულობა საბუნებისმეტყველო დარგისა და სამედიცინო ცოდნის შესახებ. აღნიშნული დარგების სამეცნიერო ლიტერატურული მასალის გაცნობა-ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა ის ძირითადი ეკოლოგიური საკითხები, რომელთა შესახებ საჭიროა როგორც საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტების, ასევე მოსახლეობის ინფორმირება:


- არქიტექტურული ობიექტების და ისტორიული ძეგლების დაცვა.
- წყლის რესურსების დაცვა (გრუნტის და ზედაპირული წყლები).
- გარემოს დაცვა (ხმაური, მგვრის გამოფრქვევა, კლიმატი და მეტეოროლოგია, აგრესიული ეკოლოგია – ხმაურის მაღალი ღონე, დაბინძურებული ჰაერი, ელმაგნიტური გემოქმედება).
- ბუნებრივი რესურსები.
- ნავთობის დაღვრის რისკი და გრუნტის წყლების დაბინძურება.
- ნარჩენების შეგროვება და განთავსება.
- ტყეები.
- მოსახლეობასთან შეხვედრა (საჯარო კონსულტაციები, ინტერვიუ, დიალოგი საკანონმდებლო და სამთავრობო უწყებებთან, სამეცნიერო სამოგალოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სემინარების მოწყობა ეკოლოგიური და სოციალური საფრთხეების და რისკის შეფასების საკითხების განსახილველად).
- ჯანმრთელობის დაცვა – დაავადებების მრღა და გავრცელება.
- ეკოსისტემები (ფლორა, ფაუნა, ბიომრავალფეროვნება, ზღვის ფლორა და ფაუნა).

აღნიშნული მოსაზრება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება რუსეთის სპეციალისტების მიერ გამოთქმულ შეხედულებას ინფორმაციის მისაწვდომობის შესახებ: „რეალურ ვითარებაში ნებისმიერი სახელმწიფოს ბიბლიოთეკას აქვს მკითხველისაგან დაფარული ინფორმაცია, ამგვარ დახურულ ინფორმაციას ეკუთვნის ისეთი გამოცემები, რომლებიც აშუქებს სტატიკის საკითხებს, იურიდიული, კომერციული, სამხედრო მონაცემების შემცველი ინფორმაცია, სამედიცინო წიგნების და ცნობარების ნაწილი, ეკოლოგიური პრობლემები.“ თუმცა, აღნი-

შნული ინფორმაცია კონკრეტიზაციას მოკლებულია. რუსული ლიგერატურული წყაროებით, ამგვარი ინფორმაციის დაფარვა მკითხველისთვის გამართლებულია იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფოს ყოველთვის აქვს დახურული ინფორმაცია და ეს მანამ იქნება, სანამ მსოფლიო დაყოფილია ცალკეულ გერიტორიებად“ (Алтухова Г. А. Профессиональная этика библиотекаря. М., 2000. с.58)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ს ა ბ ი ბ ლ ი თ ე კ ო მ ე ნ ე ჯ მ ე ნ ტ ი



ომარ შოთაშვილი  
მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის სახელმწიფო  
რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი

**ბოლონიის პროცესში საბიბლიოთეკო  
სამსახურების ინტეგრირებისათვის**

23827

**მ** ანამედროვე სამოგალოების არსებული პირობებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება ინფორმაციულ მასალათა დამუშავების, გამოგადებისა და გაცვლის აუცილებლობა. ინფორმაციის გამჭვირვალობა და დროული მიწოდება პირველ საკითხად უნდა მივიჩნიოთ.

ნებისმიერი პირი თავისი მოღვაწეობის საბიბლიოთეკო საინფორმაციო ვაკუუმში შექმნა, მრავალი პრობლემის წინაშე დგება. ამიგომ კულტურისა და განათლების სფეროთა შორის გარდამავალი რგოლის აუცილებლობა თვალნათლივ წარმოჩინდა. ამდგვარ რგოლად ყველა ქვეყნის წარმომადგენლობა – ბიბლიოთეკებს მიიჩნევს. საბიბლიოთეკო სამსახურები დღეს მრავალი ახალი ან დამატებითი ამოცანების გადაჭრის წინაშე დგანან. ბიბლიოთეკები თავიანთ ძველ ფუნქციებს – მოსა-

ხლეობაში წერა-კითხვის გავრცელებასა და შემდეგ ეტაპზე საერთო კულტურის დონის ამაღლების ფუნქციებს გასცდნენ, განათლების სფეროს მჭიდროდ დაუკავშირებენ. ბოლონიის პროცესთა მასალების გაცნობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ კულტურისა და განათლების სფეროთა დაახლოება მხოლოდ სიკეთეს მოგვიტანს, რადგან იგი კატალიზატორის როლში მოიაზრება და ამით ჩვენი მომავალი ცხოვრების აუცილებელ აგრინუტად იქცევა. ასევე გარდუვალია ისიც, რომ საინფორმაციო სამსახურის ყველაზე მძლავრ რგოლად ბიბლიოთეკები მოგვევლინებიან, რადგან მათი როლი სულ უფრო და უფრო იზრდება და ამით სიგყვა „ბიბლიოთეკა“ სრულიად ახალ დაგვირთვის იძენს – იგი ხდება მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფისათვის ანალიტიკური საინფორმაციო მასალებით მომარაგების



აუცილებელი ელემენტი – ეს უკვე ღოგმაა.

საქართველო თავისი გეო-პოლიტიკური მდებარეობით ძალზე რთულ პოზიციებს ფლობს. იგი ევროპულ სახელმწიფოთა და აზიურ ქვეყნებს შორის გამყოფ ქვეყანას წარმოადგენს. სწორედ საქართველოა ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში მრავალ ქვეყანას სურდა დამკვიდრება, ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებითაც კი.

საქართველო, მიუხედავად თავისი სახელმწიფოებრივი წყობისა, მოსახლეობის „ქართუ“ გომობრივი შემადგენლობისა, ყოველთვის იყო დემოკრატიულობისა და ერთა თანასწორუფლებიანი არსებობის იდეათა მაგარებული, რასაც მთელი ჩვენი ისტორია ადასტურებს. ბოლონის კონფერენციის იდეა „ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერ მოქალაქეს შეექმნას ცოლნის მიღების უაღრესად მისაღები პირობები და მიეწოდოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია იმ სასწავლო ობიექტზე, ქვეყანაზე, მოსახლეობის ცხოვრების წეს-ჩვეულებებზე, სახელმწიფო მმართველობით სტრუქტურაზე, საკანონმდებლო, სავიზო და სხვა საკითხებზე“ – ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვან თემად უნდა მივიჩნიოთ.

დღეისათვის წინა პლანზე გამოდის კულტურისა და განათლების სფეროთა მაქსიმალურად დაახლოების პროცესთა დაჩქარების აუცილებლობა. ამ დროს საბიბლიოთეკო სამსახურები უაღრესად აქტიური მონაწილის როლს ასრულებენ.

ბოლონის კონფერენციის სადეკლარაციო ნაწილში ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პუნქტია წარმოდგენილი – „განათლება და საგანმანათლებლო თანამშრომლობა გადამწყვეტი ფაქტორია სგაბილური, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის“. ამ პოზიციას ხაზგასმულია საუნივერსიტეტო

განათლების ევროპული სისტემის უპირატესობაც და კონკურენტუნარიანობა აზიურთან საპირისპიროდ. შემდეგ მითითებულია თვით საუნივერსიტეტო განათლების ცენტრალური როლის შესახებ ევროპის ხალხთა კულტურულ განვითარებაში. აქვე გაკეთებულია განაცხადი, რომ ამით უმაღლესი სასწავლებლები იგვირთავენ თავს და იღებენ აბსოლუტურ პასუხისმგებლობას განათლების ევროსისტემის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხთა აბსოლუტურ დახვეწაში. აქვეა მინიშნებული, რომ მოცემული საკითხის წარმატებით განვითარების პროცესში მთავარია გვესმოდეს, რას ნიშნავს მონაწილე ქვეყნების უნივერსიტეტთა დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის უზრუნველყოფა, როცა საზოგადოების მოთხოვნების მეცნიერული ცოლნის განვითარებასთან მუდმივი შეუსაბამობა კვლევითი საქმიანობის აუცილებელი კომპონენტი ხდება. ევროპული ცივილიზაციის ამდაგვარი ფორმის სიცოცხლისუნარიანობა და ეფექტურობა შეფასდება იმით, თუ რამდენად მიმზიდველია და საჭირო იგი პარტნიორი ქვეყნებისათვის. აქ თვალნათლივ ჩანს, თუ რა როლი ენიჭება საბიბლიოთეკო საინფორმაციო სამსახურებს და ინფორმაციის მაგარებული ფონდების სიმდიდრეს. ამისათვის საჭიროდ მიაჩნიათ, რომ შემოდებულ იქნეს ორი მთავარსაფუძვურიანი სასწავლო სისტემა.

ა/ დიპლომამდელი.

ბ/ დიპლომის შემდგომი. ხოლო სწავლების დონის (ცოლნის) შეფასება ე. წ. „კრედიტების“ სისტემის დანერგვითა და მონაწილეთა მობილურობის ხელშეწყობით.

საინტერესოა, რომ სორბონის 1998 წლის 25 მაისის დეკლარაციაში ხაზგასმითაა მითითებული სტუდენტთა სწავლებისათვის აუცილებელ კომპონენტზე – მობილურობაზე. რომ აუცილებელია, სტუდენტს მიეცეს უპირატესობა საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანაში სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ამას იმით ხსნიან, რომ კაცობრიობა უა-

ხლოვდება განვითარებისა და შრომის პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდს, როდესაც პროფესიული კარიერის მრავალფეროვნება იძულებულს გხდის, ისწავლო მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ეს ყველაფერი კი უმაღლესი განათლების სისტემის ძირეულ შეცვლასთანაა დაკავშირებული. თვით ეს პროცესი შემდეგ საფეხურებად იყოფა:

1. დიპლომამდელი საფეხური – ამ დროს სწავლის მსურველ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ნებისმიერ სასწავლო პროგრამაზე, ინგერდისციპლინარული სწავლების შესაძლებლობების, უცხო ენების ცოდნის ან ამ ცოდნის გაუმჯობესებაზე და ბიბლიოთეკებში დაცული ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემათა რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრაზე.

2. ე. წ. მოკლევადიან სასწავლო პროცესს მოკლევადიანი ანუ სამაგისტრო ხარისხის მოძიება-წარმართვისაკენ მიეყვართ, რაზედაც სწავლის მაძიებელს მიეცემა სწავლების დამადასტურებელი შესაბამისი სერთიფიცირებული დოკუმენტი.

3. გრძელვადიანი სასწავლო პროცესი – რთულდება და იწყება სამაგისტრო ხარისხის მოძიება. რადგან წინამდებარე სწავლების ეტაპების დროს პროცესი შედარებით იოლ ფორმებს აგარებდა, აქ დიდი ყურადღება ეთმობა კვლევით და დამოუკიდებელ მუშაობას (პრაქტიკას). სწავლების ამ ეტაპზე სტუდენტი ამქლავნებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, ამტკიცებს მის მიერ მოპოვებულ მასალათა სიცოცხლისუნარიანობას და პერსპექტიულობას.

ამ პროცესთა დახვეწისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლისათვის ბოლონის პროცესის მონაწილენი აცხადებენ, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მოითხოვს, ევროპის უნივერსიტეტებმა მიიღონ და იმოქმედონ ე.წ. „ანგარიშვალდებული ავტონომიის პრინციპით“. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ

უმკაცრესი საფინანსო-ადმინისტრაციული კონტროლი შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან მათ ბევრ დაბრკოლებას უქმნის და კვლავაც შეუქმნის.

სრულყოფილი შედეგების მისაღწევად მრავალი რამ არის გასაკეთებელი:

1. წესრიგშია მოსაყვანი და დასამუშავებელი ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნების წინამორბედ თავყრილობათა მასალები, რისთვისაც საჭიროა მათი ბიბლიოგრაფიული აღწერა და თემატურ-სისტემატური კართოგეკის შექმნა;

2. წესრიგშია მოსაყვანი მონაწილე ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემათა სამართლებრივი აქტები, სწავლების პროცესებთან დაკავშირებული პროგრამები, დებულებები და სხვა სახორმატივო მასალები;

3. წესრიგშია მოსაყვანი სწავლების მონაწილეთათვის ნებისმიერ ქვეყანაში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო ერთიანი დოკუმენტაციის ფორმები;

4. პროცესის მონაწილე ყველა ქვეყანაში საშუალო განათლება აღქმული უნდა იქნეს როგორც უმაღლესი განათლების მიღების საწყისი ეტაპი, ე. ი. უმაღლესი ცოდნის მიღების შემადგენელი ნაწილი და ამით სტუდენტს მიეცეს საშუალება, მიიღოს უმაღლესი განათლების ჯერ მაძიებლის, ხოლო შემდეგ კვალიფიცირებული სპეციალისტის წოდება;

5. უნდა შემუშავდეს და აღირიცხოს ნებისმიერი დონის უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთიანი ფორმა, რომელსაც ექნება ყველა ქვეყანაში აბსოლუტური იურიდიული ძალა და მის მფლობელს მიეცემა სრული გარანტიები ნებისმიერ ქვეყანაში მოახდინოს თავისი ცოდნის რეალიზაცია;

6. ბოლონის კონფერენციის ყველა მონაწილე ვალდებული უნდა გახდეს, რათა აცნობოს თანამონაწილეებს და პირველ რიგში მათთან მოქმედ ბიბლიოთეკებს მათ სისტემაში მიმდინარე პროგრამულ სასწავლო პროცესე-



ბში ჩაგარებულ ექსპერიმენტებზე და განხორციელებულ ცვლილებებზე;

7. უცხოური კვალიფიკაციის მაგარებელ პირთა აღგილობრივ სასწავლო პროცესში ინტეგრირება უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის ყველა ნიშნის მოსპობის ფონზე. უფრო მეტიც, ასეთ პირთათვის დაწესებულ უნდა იქნეს მთელი რიგი შეღავათები, როგორც პროცესუალურ, ისე ფინანსურ საკითხთა მოგვარების დროს.

როგორც ვხედავთ, აშკარად გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ პროცესებში სწავლების სრულიად ახალ ფორმებზე გვაქვს ლაპარაკი, რომლებიც ასევე სრულიად ახალი ფორმებითა და მეთოდებით მომუშავე საინფორმაციო სამსახურების, ე. ი. ბიბლიოთეკების არსებობას მოითხოვს. ამდგომარეობით საინფორმაციო სამსახურებს თან უნდა ახლდეს მძლავრი, მრავალენოვანი საცნობო-სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული აპარატი და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა. ბოლონის მასალებში ხაზგასმულია, რომ სწავლების ნებისმიერ მონაწილეს, იქნება ეს მოსწავლე, აბიგურიენტი, სტუდენტი, თუ პედაგოგი ეძლევა აბსოლუტური თავისუფლება, მიიღოს ის ინფორმაცია, რომელიც გაუაღვილებს სწავლების, კითხვის, მუშაობისა და ცხოვრების პირობებს, გაარკვევს ნებისმიერი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ აპარატში, მოქმედ საკანონმდებლო ბაზაში, რომელიც დაკავშირებულია სასურველი ქვეყნის სასწავლო პროგრამების შესწავლის პროცესებთან. რა თქმა უნდა, აქ კვლავ საქმე გვაქვს ენობრივ ბარიერებთან, რომელთა გადაწყვეტა არც თუ იოლ პრობლემად მოიაზრება. აუცილებელი ხდება, მობილურ პირთათვის ბოლონის პროცესში მონაწილე უნივერსიტეტების ხელმძღვანელობამ გახსნას შესაბამისი უფასო კურსები, რომლებიც იმოქმედებენ აღგილობრივი წამყვანი ბიბლიოთეკების ბაზებზე. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ბიბლიოთეკებში მოქმედი ბიბლიოთეკათმო-

რისი აბონემენტის საქმიანობის გარდაქმნა და მთელი რიგი ცვლილებების შეტანა საკანონმდებლო და საფინანსო საქმიანობაში.

ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ყოველივე ეს დაფუძნებული უნდა იქნეს ძლიერ, ყველასათვის ხელმისაწვდომ საინფორმაციო ბაზაზე, მაშასადამე, დღის წესრიგში დგება, ყველა მონაწილე ქვეყანაში ჩამოყალიბდეს რომელიმე ბიბლიოთეკის ბაზაზე ე. წ. „საინფორმაციო-ეროვნული ცენტრი“. ვფიქრობთ, რომ აქ ახალგაზრდობისათვის სპეციალიზირებულ საბიბლიოთეკო ქსელს ალტერნატივა არ გააჩნია, რადგან მოცემული პროფილის ბიბლიოთეკებში, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უკვე დაგროვილია უმდიდრესი მასალა სასწავლო პროცესთა მართვის, თვით სწავლების მეთოდის, ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის, მმართველობითი სტრუქტურების მოთხოვნების, აღმასრულებელ ორგანოთა უფლება-მოვალეობის, ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობის, მოსახლეობის ადამიანებისა და, რაც მთავარია, ყველა მოქმედ სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესების შესახებ.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ასეთი პროფილის ბიბლიოთეკის ფონდებში დიდი ხანია გროვდება სასკოლო და უმაღლესი სწავლების პროგრამებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო და დამხმარე ხასიათის ლიტერატურა მეცნიერების ყველა დარგში. ეს მასალები დღემდე უაღრესად პოპულარულია სწავლის მსურველი ნებისმიერი ასაკის მომხმარებლებს შორის.

დღეს ამ ტიპის ბიბლიოთეკები წამყვან პოზიციებს ინარჩუნებენ იმიტომაც, რომ მათ მოპოვებული აქვთ უმდიდრესი ენციკლოპედიური მასალები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის შესახებ და კვლავაც აგროვებენ მუშაობას შესაბამისი საცნობარო-სარეკომენდაციო და ანა-

ლიტიკური ბიბლიოგრაფიული საძიებლების შედგენა-გამოცემის მხრივ.

ვინაიდან სწავლების პროცესი მუდმივცვალებადია და შევსებადი, ამიტომ მოცემულ საკითხთა მეცნიერული კვლევა-ძიება დღეს სულ სხვა პომიციიდან განიხილება. რაც უფრო რთულ მოთხოვნებთან გვაქვს საქმე, მის გადაწყვეტას უფრო მეტად მაღალკვალიფიციური კადრი და სპეციალიზირებული განყოფილებები სჭირდება.

ამგვარი საბიბლიოთეკო სამსახურის შესაბამის კატეგორიის მკითხველთა სოციალური ჯგუფების ინტერესთა შესწავლა ძალზე დიდ წვლილს შეიგანს არამარტო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირების, არამედ შემდგომ ადაპტირებისა და ნაციონალური ენის შესწავლის პროცესში. ამრიგად, ახალგაზრდობისათვის სპეციალიზირებული ბიბლიოთეკა ავტომატურად ხდება აბსოლუტური ინფორმაციის ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნების ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნების კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემაში მოქმედი ბიბლიოთეკები დიდი ხანია ჩართულნი არიან ქვეყნების სასწავლო პროცესებში და ფლობენ ინფორმაციის განუსაზღვრელ რაოდენობას მსოფლიოში დღეს ყველაზე გავრცელებულ ენებზე (ინგლისური, რუსული, ფრანგული, ესპანური, გერმანული და სხვა), ამიტომ საქართველოში ახალგაზრდობისათვის სპეციალიზირებული (ნაციონალური) ბიბლიოთეკა, როგორც „საინფორმაციო ეროვნული ცენტრი“, უაღრესად მნიშვნელოვან ელემენტად მოგვევლინება განათლებისა და კულტურის სფეროთა დაახლო-

ების, მათი საინფორმაციო მასალებითა და დოკუმენტებით მომარაგებისა და, საერთო ჯამში, საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესთა განზოგადება-პოპულარიზაციის პროცესში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, თუკი დაცული იქნება ბოლონის პროცესთა მონაწილე ქვეყნების მიერ წაყენებული პირობები და მოთხოვნები, ეძლევა შანსი, გახდეს მისთვის სასურველ ქვეყანაში მიმდინარე სასწავლო პროცესთა უშუალო მონაწილე, ხოლო ახალგაზრდობისათვის სპეციალიზირებული საბიბლიოთეკო ქსელი თავისი საცნობო ბიბლიოგრაფიული აპარატის დახმარებით და ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის მუშაობის ფორმების გამოყენებით, ზემოხსენებულ პირობების, საწყის ეტაპზე გახდება გზამკვლევი, ხოლო სწავლების მომდევნო ეტაპებზე – სასურველი ინფორმაციის აბსოლუტური მიმწოდებელი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხი მეტად რთულ აღმინისგრაფიულ, იურიდიულ, სოციალურ და ფინანსურ პროცესებთანაა დაკავშირებული. ზემოთ მითითებულ თემათა მთელი სპექტრის განზოგადებას, გაშლას, მასალათა მოძიებასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას უაღრესად დიდი ძალისხმევა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა რესურსები, ფინანსური მხარდაჭერა და, რაც მთავარია, სამთავრობო სტრუქტურების ხელმძღვანელ პირთა მხრიდან აბსოლუტური ნების გამოხატვა სჭირდება, რაც სასურველია, ვადებში განხორციელდეს.



ინგა ფილაური

## ფონდის დაცვის სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში


**ფ**ონდის დაცვის პრობლემა საყოველთაოა მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ის წიგნსაცავების წარმოშობისთანავე გაჩნდა, დღემდე სრულყოფილი არ არის. ამ მხრივ ამერიკული ბიბლიოთეკები გამუდმებით მომართულნი არიან ახალი ტექნოლოგიების დასაწერად და სანიმუშო მაგალითს წარმოადგენენ მსოფლიოს საბიბლიოთეკო პრაქტიკისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფონდის დაცვის საქმეს პრაქტიკულ მოღვაწეობაში უმთავრესი ადგილი უკავია; აქ საკმაოდ მაღალ დონეზე დგას მისი კვლევა და მეცნიერული მიღწევების განზოგადება. კვლევით სამუშაოებს XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ინტენსიურად ის 30-40-იან წლებში დაიწყო. იგი სამი მიმართულებით მიმდინარეობს: 1. წიგნის ფორმის, ფერის, ქაღალდის სიმკვრივის აღდგენა; 2. სტაბილიზაცია – დოკუმენტის დაცვა მოხუცებულობისა და დაზიანებისაგან; 3. ნორმატიული რეჟიმის დაცვა. ამ უკანასკნელს დიდი ხანი არაა, რაც ხელი მოკიდეს.

შეერთებულ შტატებს სპეციალური პროგრამა აქვს ფონდების დაცვის ტექნოლოგიების განვითარებისათვის. სამეცნიერო ბიბლიოთეკების ასოციაციასთან შექმნილია ფონდის დაცვის უზრუნველყოფის კომიტეტი, რომელიც გამოსცემს ბიულეტენს „ბიბლიოთეკებში ფონდების დაცვის სწავლების ორგანიზაცია“, ხოლო ამავე ასოციაციაში არის ქვეგანყოფილი ფონდების დაცვის უზრუნველყოფისა, რომელიც 1970 წლიდან გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენს „სიახლეები“. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფონდების შენახვის პრობლემებს. შტა-

ტებში 1980 წლიდან არსებობს სათათბირო ნაციონალური ორგანო ფონდების დაცვის განხრით, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფონდების აღდგენა-კონსერვაციის საქმეში. შექმნილია რეგიონალური ცენტრები, რომლებიც ბიბლიოთეკებს სთავაზობენ ფასიან მომსახურებას დაყდავების, რესტავრაციის, სტაბილიზაციის, მიკროფილმების და სხვა სამუშაოების ჩასაგარებლად. კონგრესის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობით კოორდინირდება ბიბლიოთეკების საქმიანობა ფონდების დაცვის თვალსაზრისით. შექმნილია სპეციალური პროგრამა, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს იმ ფონდებზე ზრუნვას, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია. მუშაობაზე გეგმაში გათვალისწინებულია 6 მიმართულება: 1. დაყდავებისა და აკინძვის სამუშაოები; 2. მიკროფილმირებაზე მუშაობის; 3. რესტავრაცია და სტაბილიზაცია (კონსერვაცია); 4. ფოტოფირებისა და ასლების გადაღება; 5. ფონდის სანიტარული დამუშავება; 6. ინფორმაციული სისტემა და მისი გამოყენება საჭირო ინფორმაციის შეგროვებისათვის. სისტემის მთავარ დამფუძნებლებად ითვლებიან: კანადის კონსერვაციის ინსტიტუტი, სმიტსონის ინსტიტუტის ანალიტიკური ლაბორატორია, გოეთეს სახელობის კონსერვაციის ინსტიტუტი, კულტურის მიღწევათა დაცვისა და რესტავრაციის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრი, კულტურის ძეგლთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტი.

პროგრამების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ითვლება ფონდების დაცვის სწავლება. მაგ., ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში სწავლების 4 გეგმა არსებობს: 1. აღმინი-





სტრატეგიისთვის; 2. პროგრამის ხელმძღვანელებისათვის; 3. პროფესიონალი რესტავრატორებისათვის; 4. ტექნიკოსებისათვის, რომლებიც რესტავრაციაზე მუშაობენ პროფესიონალების ხელმძღვანელობით. ამერიკელი სპეციალისტები ინტენსიურად ბრუნავენ ქალაქის ხანგრძლივი ცხოვრებისათვის. გამოიყენება ქალაქის დამზადების სხვადასხვა სტანდარტები. გამონახულია საშუალებები ქალაქის „ცხოვრების“ გახანგრძლივებისათვის დაახლოებით 1000 წლამდე. წიგნების არსებობის ხანგრძლივობა დიდადაა დამოკიდებული მათ ყდაზეც.

როჩესტერის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შექმნილია სპეციალური ფონდების მკურნალობის საქმე. ამისათვის სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს მიმართავენ. განსაკუთრებით გავრცელებულია ჩვეულებრივი დემინფექცია. აგრეთვე გამოიყენება თიმოლის ორთქლით დამუშავების წესი, რომლისთვისაც სპეციალური კამერებით სარგებლობენ. ამერიკული ბიბლიოთეკები მიმართავენ ე. წ. სუბლიმაციურ განიავებას (გამოშრობას). წიგნებს ყინავენ 300-მდე ცელსიუსით, რომ მყარი ნივთიერება (ყინული) სწრაფად ორთქლად გადაიქცეს. ამ პრინციპით წარმოებს ვაკუუმური შრობა გაყინვით (სუბლიმაციური შრომა), რომელიც ხორციელდება სპეციალურ კამერებში, რომლებშიც შესაძლებელია ყოველგვარი წნევისა და ტემპერატურის დაყენება.

ფონდების დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წიგნების კონსერვაცია წარმოადგენს, რომელიც რამდენიმე მეთოდით ხდება. ესენია: რესტავრაცია, დეაციდიფიკაცია (მასობრივი სტაბილიზაცია), „ფაბური დაცვა“, ინკაფსულირება. რესტავრაციის მეცნიერული კვლევა 30-40-იან წლებში დაიწყო: იგი დღემდე ვითარდება. ამ მხრივ გამოირჩევა ამერიკის სტანდარტების ბიურო და ე. წ. ბეროუს ლაბორატორია. გამოიყენებოდა აცეტილცელულოზას აბსკები, შემდეგ პოლიეთილენის, პოლიეთე-

როვანი და სხვა სახის აბსკები, ლამინირების მეთოდი, რაც ყველაზე უფრო ფართოდ გამოიყენება ამერიკაში. ამერიკელი მეცნიერების აზრით, ქალაქის სიბერეს, უპირველეს ყოვლისა, იწვევს სიმკვავის პროცესის წარმოშობა, ამისათვის საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რამდენადაც შეიძლება შემცირდეს ქალაქში ქიმიური ნივთიერებების გემოქმედება. ამას უბრუნველყოფს ე. წ. დეაციდიფიკაციის მეთოდი. ეს მეთოდი შემუშავდა ე. წ. ბეროუს ლაბორატორიაში და ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის წამყვან ბიბლიოთეკებში. კალციუმისა და მაგნიუმის ხსნარების გამოყენებით აღნიშნული სითხე წიგნებს ჩვეულებრივ ეფრქვევა პულვერიზატორით, ეს ხელით სამუშაოა და გამოიყენებოდა უმთავრესად ინდივიდუალური მკურნალობისათვის; შემდეგ დაიწყო მუშაობა ამ მეთოდის ინტენსიური ტექნოლოგიის შესაქმნელად. შეიქმნა პაკარა ბალონი, რომელიც აფრქვევს ხსნარს; ეს ოპერაცია სპეციალურ კამერებში მიმდინარეობს და საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია.

„ფაბური დაცვის“ დროს თითოეულ წიგნს სვამენ მუყაოს კოლოფში (ფუგლიარში), რომლებიც დადგენილი ზომების მიხედვით მზადდება საამქროებში. ამერიკული ფირმები სპეციალურად ამზადებენ სხვადასხვაგვარი მოცულობისა და კონსტრუქციების ფუგლიარ-კონტეინერებს, რომლებიც განსაკუთრებული მასალისაგან შედგება.

უკანასკნელ ათწლეულებში კიდევ ერთი ახალი საშუალებაც გაჩნდა – ინკაპსულარება, რომელიც თავისი ფუნქციებით „ფაბური დაცვის“ ანალოგიურია, ოღონდ გაანგარიშებულია არა მთლიანი წიგნის, არამედ ცალკეული ფურცლის დასაცავად. ამისათვის გამოიყენება პოლიეთილენის თხელი, გამჭვირვალე აბსკები, რომლებსაც სხვადასხვა ზომებით უშვებს წარმოება. თითოეულ ფურცელს ჩამოაცვამენ აფსკს, რაც იფარავს ამ ფურცელს შემდგომი დამიანებისაგან. მთელ რიგ ბიბლი-



ოთეკებს აქვთ საშუალებები, დამოუკიდებლად აწარმოონ საჭირო კაბრები და კონვერტები სხვადასხვა დოკუმენტების დასაცავად.

საბიბლიოთეკო ფონდების დაცვისა და გამოყენების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორია ფონდის დაცვისა და გამოყენების ტექნოლოგია; ამერიკის ბიბლიოთეკები დიდ ყურადღებას უთმობენ პროფილაქტიკას; ახლადშემოსული წიგნები სპეციალურ დამუშავებას ექვემდებარება. მაგ., კონგრესის ბიბლიოთეკაში ახლადშემოსულ წიგნს სპეციალურად წმენდავენ, თუ საჭიროა, მაშინვე უგარებენ დაცვითი ხასიათის სამუშაოებს; დაუყდავებელ, თხელკანიან წიგნებს მიღებისთანავე აგზავნიან დასაყდავებლად სპე-

ციალურ საამქროებში. ამავე ბიბლიოთეკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოცემებისა და ხელნაწერების უკეთ შენახვისათვის ტექსტები გადააქვთ ვიდეოკასეტებსა და კომპიუტერის ფაილებზე. ფონდების დაცვის მიზნით ჩაგარებული საქმიანობა აუცილებლად ექვემდებარება უწყვეტ და თანმიმდევრულ ბიოლოგიურ კონტროლს. ამერიკელი სპეციალისტების დაკვირვებით, ფონდების დაზიანების მრავალ მიზეზთა შორის, მთავარი მაინც მომხმარებელთა დაუდევარი მოქმედებაა. ამიტომაც იქაურ ბიბლიოთეკებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლებთან პროფილაქტიკურ მუშაობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ინგნერი შეილა. საბიბლიოთეკო განათლება, ფონდების განვითარება და ბიბლიოთეკის რესურსები // საქართველოს ბიბლიოთეკა – № 3, 2004 – გვ. 73-82  
 Библиотеки и библиотечное дела США: комплексный подход \_ М., 1993.  
 АЮ Монт Р. Особенности библиотечного образования в США: библиотеки за рубежом \_ М., 1994.

ნინო ჩხენკელი



**ვებ-დოკუმენტების შეფასების მეთოდები  
 აშშ-ის ბიბლიოთეკებში**

**1. შეფასების კრიტერიუმები**

მსოფლიო აბლაბუდის ხელმისაწვდომობამ და გამოყენების სიადვილემ ხელი შეუწყო ვებ-დოკუმენტების ინტენსიურ გამრავლებასა და გავრცელებას. ვებ-დოკუმენტი განზოგადებული ცნებაა, მისი სინონიმია ვებ-რესურსი და მასში გაერთიანებულია ვებში გამოქვეყნებული ნებისმიერი სახისა და ფორმის დოკუმენტი,

როგორცაა ბევ-საიგი, ვებ-გვერდი, ელექტონული წიგნი, ელექტრონული ჟურნალი, მონაცემთა ბაზა, კატალოგი და ა. შ. ნებისმიერი საკითხის შესახებ ვებში მონახება უამრავი ინფორმაცია. მაგრამ ვებში გამოქვეყნებულმა უფასო დოკუმენტებმა შეიძლება არ გაიაროს რეცენზირება, რედაქტირება, კორექტირება და შემოწმების სხვა პროცედურები. გარდა ამისა,

ვებ-ლოკუმენტის ავტორს ან პაგრონს შეიძლება განზრახული ჰქონდეს მკითხველის შეცდომაში შეყვანა, ან რაიმე იდეის აგიგაცია და პროპაგანდა, ან ხუმრობა და გათამაშება, ან ფარული რეკლამა, ან უნებლიეთ, ყოველგვარი მზაკვერული ზრახვების გარეშე, თავისი მიკერძოებული აზრების სახსებით დამაჯერებლად გადმოცემა და სხვა მრავალი. ამიტომ ვებზე წარმოქმნა მულტივი ამოცანა – ვებ-ლოკუმენტებში შემაჯავალი ინფორმაციის ხარისხის შეფასება და ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფა (1, გვ. 79). ინფორმაციის ხარისხის გარდა, მომხმარებელი აფასებს ვებ-გვერდის დიზაინს მისი გამოყენების მოხერხებულობის თვალსაზრისით. ვებში განთავსებული ფასიანი საინფორმაციო რესურსების (EBSCO, OCLC FirtSearch, Lexis-Nexis და სხვ.) შინაარსის შეფასება სპეციალისტების მიერ გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით.

არსებობს ანალოგია ვებ-ლოკუმენტებისა და ბეჭდური ლოკუმენტების შეფასების ფორმალურ კრიტერიუმებს შორის.

ცნობილია ბეჭდური ლოკუმენტის შეფასების ფორმალური კრიტერიუმები: 1. ავტორის ავტორიტეტულობა, 2. წინასიტყვაობის ავტორის ავტორიტეტულობა, 3. გამომცემლობის ავტორიტეტულობა, 4. პირველი გამოცემის წელი, 5. ბოლო გამოცემის წელი, 6. განმეორებითი გამოცემების რაოდენობა, 7. ლოკუმენტების მთავარი თემა, 8. აუდიტორია – ვისთვის არის დაწერილი ლოკუმენტი, 9. ლოკუმენტის შექმნის მიზანი, 10. გაშუქებული საკითხების მოცულობა, სიღრმე და სიფართოვე, 11. დამოწმებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია, 12. დადებითი რეცენზიებისა და გამოხმაურების არსებობა.

ბეჭდური ლოკუმენტების დიზაინის შეფასების ფორმალური კრიტერიუმებია: 1. სარჩევი, 2. ინდექსები, 3. ნახაგები, ფოტოსურათები, ნახაზები, ცხრილები და სხვა საილუსტრაციო მასალა, 4. დანართები და დამატებები, 5. ფიზი-

კური ზომები, 6. გვერდების რაოდენობა, 7. ქაღალდის ხარისხი, 8. ყდა და გარეკანი.

ანალოგიური კრიტერიუმებია გამოყენებული ვებ-ლოკუმენტების შინაარსისა და დიზაინის შეფასებისას (2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10). შინაარსის მიხედვით გამოყოფილია ვებ-ლოკუმენტის 5 ძირითადი ტიპი: 1. ინტერესების დამცავ ვებ-ლოკუმენტებს აფინანსებენ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ გავლენა იქონიონ საზოგადოებრივ აზრზე და სჭირდებათ გარკვეული იდეების აგიგაცია და პროპაგანდა; 2. ბიზნეს/მარკეტინგის ლოკუმენტებს აფინანსებენ კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ გაყიდონ პროდუქცია ან მომსახურება; 3. საინფორმაციო ვებ-ლოკუმენტების მიზანია წარმოადგინონ ფაქტობრივი ინფორმაცია. ყველაზე სანდო საინფორმაციო გვერდებს ქმნიან სამთავრობო, საგანმანათლებლო და საერთაშორისო ორგანიზაციები; 4. ახალი ამბების რესურსების მიზანია მიმდინარე უახლესი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლისთვის. ჩვეულებრივად, ასეთ გვერდებს აფინანსებენ კომერციული ორგანიზაციები; 5. პერსონალური გვერდების ავტორები შეიძლება ეკუთვნოდნენ რომელიმე ორგანიზაციას, მაგრამ, როგორც გვერდის ავტორები, გამოსხაგავენ საკუთარ, დამოუკიდებელ მიდგომას მოცემული საკითხისადმი.

## 2. ავტორიტეტულობა

თუ ვებ-ლოკუმენტებში არ არის მოცემული ინფორმაცია ვებ-ლოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელი პირის ან ორგანიზაციის შესახებ, მაშინ ამ ვებ-ლოკუმენტის შინაარსის სანდოობა საეჭვოა. პირველ რიგში ეს ეხება საკონტაქტო ინფორმაციას და მისამართებს, ხოლო შემდეგ ბიოგრაფიულ და კვალიფიკაციის დამადასტურებელ ცნობებს. ავტორიტეტული ორგანიზაციის ვებ-საიტზე უნდა იყოს მოცემული ორგანიზაციის სრული სახელწოდება, საფოსტო მისამართი, ფაქსი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, ორგა-

ნიმაცის მოკლე ისტორია, ღებულება ან წესდება და სხვ.

ვებ-ლოკუმენტის შემცველი სერვერის ავტორიტეტულობის გასაგებად საჭიროა გაირკვეს, თუ რა ტიპის დომენთან გვაქვს საქმე: საგანმანათლებლო – edu; სამთავრობო – gov, mil, us; საერთაშორისო – int; არაკომერციული – org; კომერციული – com, net და ა. შ. ყველაზე სახლო ინფორმაცია განლაგებულია gov, mil, us, edu, int დომენის სახელებზე. com, net და org მოითხოვენ უფრო მეტ დაკვირვებასა და სიფრთხილეს. უმრავლეს კომპანიებსა და ინსტიტუტებს საკუთარი დომენის სახელი აქვს. საჭიროა შემოწმდეს დომენის სახელისა და მისი მფლობელის ინტერესების შესაბამისობა ვებ-ლოკუმენტის შინაარსთან. თუ ვებ-ლოკუმენტი პერსონალურია (პერსონალური გვერდი ხშირად იწყება ტილდათი), მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ავტორიტეტულობას.

### 3. ბმულები ვებ-ლოკუმენტთან

ვებ-ლოკუმენტის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს სხვა ვებ-ლოკუმენტებში ბმულების არსებობა მოცემულ ვებ-ლოკუმენტთან. საჭიროა განისაზღვროს: ვის აქვს ჰიპერკავშირი მოცემულ ვებ-ლოკუმენტთან? სად არის იგი დამოწმებული ან ციტირებული? რას ფიქრობენ სხვები მის ხარისხსა და არაწინააღმდეგობრიობაზე?

Google-ის ან მისი მსგავსი ძებნის მექანიზმი საშუალებით გამოარკვეით, თუ ვის აქვს ბმული მოცემულ ვებ-ლოკუმენტთან და შემდეგ ეწვიეთ ზოგიერთ ამ საიტთაგანს და გაიგეთ, რა კონტექსტშია მოხსენიებული მოცემული ვებ-ლოკუმენტი.

გაეცანით ანოტაციებს მოცემულ ვებ-ლოკუმენტზე ანოტირებულ თემატურ ვებ-ცნობიერებაში (ინტერნეტის ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში), როგორცაა Librarian's index to the Internet, Infomine, About. Com, Scout Report და სხვ.

### 4. სიახლის შეფასება

სიახლის შესაფასებლად საჭიროა შემდეგი ცნობების დაღგენა: 1. ვებზე გამოქვეყნებული თარიღი; 2. ბოლო განახლების თარიღი; 3. საიტის ცალკეული გვერდების ბოლო განახლების თარიღები. მოცემული ვებ-ლოკუმენტის შემცველი ან მასთან დაკავშირებული ვებ-ლოკუმენტების განახლების თარიღებიც მნიშვნელოვანია.

### 5. ვებ-ლოკუმენტების შინაარსი

შინაარსის შესაფასებლად საჭიროა აგრეთვე შემდეგი ინფორმაციის მოპოვება: 1. მთავარი თემა (შეიძლება იყოს ანოტაციაში); 2. აუდიტორია – ვისთვის არის გამოქვეყნებული (შეიძლება იყოს ანოტაციაში); 3. ლოკუმენტების შექმნის მიზანი (შეიძლება იყოს „ჩვენს შესახებ“-ში); 4. გაშუქებული საკითხების მოცულობა, სიღრმე და სიფართოვე (საიტის რუკა); 5. ბმულების არსებობა შინაარსობრივად დაკავშირებულ გვერდებთან. თუ ლოკუმენტის შინაარსს თავდებად არ უდგას ცნობილი და კარგი რეპუტაციის გამომცემელი ან ორგანიზაცია, მაშინ ვებ-ლოკუმენტს მოეთხოვება, რომ იგი იყოს გამაგრებელი ბმულებით სარწმუნო წყაროებზე და, შეძლებისდაგვარად, ჰქონდეს მითითებები ბეჭდურ გამომცემლობებზე; 6. ბეჭდური ექვივალენტის არსებობა. ცხადია თუ არა, რა არის გამოქვეყნებული ვებ-გვერდზე: ბეჭდური გამოცემა მთლიანად თუ მხოლოდ მისი ნაწილი? 7. შესაძლებელია თუ არა მოცემულ ვებ-ლოკუმენტში მოყვანილი ინფორმაციის გადამოწმება სხვა ვებ-ლოკუმენტებში?

### 6. სიზუსტის შეფასება

სიზუსტე მიუთითებს, თუ რამდენად პასუხისმგებლობით არის მოწოდებული ვებ-ლოკუმენტის შინაარსი. თვალში საცემი შეცდომები მიუთითებს კონგროლის სისუსტეზე ან უპასუხისმგებლობაზე. სიზუსტის შესაფასებლად უნდა

დადგინდეს: ბეჭდვითი შეცდომების რაოდენობა, შინაარსობრივი შეცდომების არსებობა და მოცემულ ვებ-დოკუმენტებში მოყვანილი ბმულების შესაბამისობა დოკუმენტის შინაარსთან.

### 7. ობიექტურობის შეფასება

ობიექტურობის შესაფასებლად უნდა მოიძებნოს პასუხები შემდეგ კითხვებზე: 1. არის თუ არა მოცემული ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი? 2. არის თუ არა ნათლად დაფიქსირებული ვებ-გვერდის შინაარსზე პასუხისმგებლობის მიღრეკილებები? 3. ცხადია თუ არა ვებ-გვერდის შინაარსზე პასუხისმგებლობის მოტივაცია? 4. თავისუფალია თუ არა მოცემული ინფორმაცია რაიმეს რეკლამისაგან? 5. თუ გვერდზე მოცემულია რაიმე რეკლამა, არის თუ არა იგი ცხადად გამოყოფილი ამავე ვებ-დოკუმენტში მოცემული ძირითადი ინფორმაციის შინაარსისაგან? 6. შესაძლებელია თუ არა, რომ სპონსორებს ჰქონდეთ დასაბუთებული ინტერესი გვერდზე წარმოდგენილ მოსაზრებებში? 7. არის თუ არა ბმულები განსხვავებული მოსაზრებების შემცველ ვებ-დოკუმენტებზე? 8. ანოტირებულია თუ არა ვებ-დოკუმენტები, რომლებზე მოყვანილია ბმულები? 9. დასაშვებია თუ არა, რომ ვებ-დოკუმენტი ირონიულია, შეიცავს საგირას ან მისტიფიკაციას? ვებზე არსებობს ძალიან ბევრი კარგად გაკეთებული ირონიული გვერდი. მაგალითისთვის შეადარეთ: <http://www.whitehouse.gov/> და <http://www.whitehouse.org/>.

### 8. დასკვნა

ინტერნეტი არის ვირტუალური ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს უსაზღვრო ინფორმაციას. ნებისმიერ პირს შეუძლია ვებ დოკუმენტის გამოქვეყნება ან მისი გაცნობა. გარდა ამისა, საიტები იქმნება სხვადასხვა მიზნებით: ინფორმირების, აგიტაციის, საზოგადოებრივ ამრბე გემოქმედების, კომერციის, რეკლამისა

და ა. შ. საიტების უმეტესობა რედაქტირებისა და სხვა რეგულარული შემოწმების გარეშე ქვეყნდება. ეს ფაქტორები მოწმობენ, რომ ვებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას საზოგადოდ არ გააჩნია დამაჯერებლობისა და სიზუსტის ნიშნები. ინტერნეტის უსაზღვრო ზომა წარმოადგენს როგორც დადებით, ისე უარყოფით ფაქტორს, რადგან ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ყველა საიტი იმსახურებდეს ნდობას. ამავე მოწმობს იფლას მანიფესტი ინტერნეტის შესახებ (11): „მრავალ ღირსშესანიშნავ რესურსთან ერთად ინტერნეტში არსებობს ბევრი არაზუსტი, არაკორექტული, შეგნებულად მიკერძოებული და ზოგჯერ შეურაცხმყოფელი რესურსიც. ბიბლიოთეკარები ვალდებული არიან, არა მარტო უზრუნველყონ მკითხველები საინფორმაციო რესურსებით, არამედ შეასწავლონ კიდევ მომხმარებლებს ინტერნეტისა და ელექტრონული ინფორმაციის ეფექტური გამოყენება. ისინი აქტიურად უნდა გამოჰყოფდნენ სანდო შინაარსის მქონე რესურსებს და ხელს უწყობდნენ ყველას, მათ შორის ბავშვებსა და ახალგაზრდობას, ხარისხიანი ქსელური ინფორმაციის მიღებასა და გამოყენებაში“.

მოცემულ სტატიაში განხილულია კრიტიკერიუმები, რომლებსაც იყენებენ ბიბლიოთეკარები ბეჭდური ინფორმაციის შეფასებისას და აგრეთვე ნაჩვენებია, თუ როგორ იყენებენ ამერიკელი ბიბლიოთეკარები უკვე დიდი ხნის განმავლობაში მსგავს კრიტიკერიუმებს ინტერნეტში ნაპოვნი ინფორმაციის შესაფასებლად. ინტერნეტის უფასო საინფორმაციო რესურსები წარმოადგენენ აშშ-ის ყოველი ბიბლიოთეკის ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს და ამერიკის ბიბლიოთეკარები დიდი ხანია უკვე აქვეყნებენ ინტერნეტში შეფასებული ვებ-დოკუმენტების საგნობრივ ანოტირებულ ან არაანოტირებულ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, როგორცაა Librarian's Index to the Internet (<http://lii.org/>), Cornell University. Internet Reference Links

Selected by Olin/Uris Libraries Reference Staff  
<http://www.library.cornell.edu/olinuris/ref/ref-sources.html>) და მრავალი სხვა.

იმედია, საქართველოს ბიბლიოთეკარებიც შეუდგებიან მათ მიერ შეფასებული ქართული ვებ-დოკუმენტების საგნობრივი ანოტირებული

ან არაანოტირებული ბიბლიოგრაფიული მაცნეებლების შექმნასა და წარმოებას, რითაც დაეხმარებიან ქართული ინტერნეტის მომხმარებლებს საიმედო, ავტორიტეტული და საინტერესო ქართული ვებ-დოკუმენტების სწრაფად მიგნებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ჩაჩანიძე გურამ, სართანია ვახტანგ. ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები/ სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. – თბ., 2004.-232 გვ.
2. Teaching Critical Evaluation Skills for World Wide Web Resources/Marsha Tade and Jan Alexander// Computers in Libraries. – V. 16, N. 10, November/December 1996. – pp. 49-55.
3. Evaluating Web pages/Marsha Tade and Jan alexander//2004. Available at:  
<http://www.Widener.Edu/Tools Resources/Libraries/Wolfram Memorial Library/Evaluate Web Pages/659>.
4. Reaching Internet Information Literacy: A Critical Evaluation/Michael O’Sullivan and Thomas Scott//MultiMedia Schools. – V. & Issue 2, March/april, 2000. – pp. 40-44.
5. Brandt, D. Scott. Evaluating Information on the Internet// Computers in Libraries. – V. 16, N. 5, May, 1996. – pp. 44-46.
6. Barker, Joe. „Evaluating Web Pages: Techniques to Apply & Questions to Ask (Why and How). „UC Berkeley – Teaching Library Internet Workshops. – 2003.  
<Http://www.Lib.Berkeley.Edu/TeachingLib/Guedes/internet/Evalauge.Html>.
7. Evaluating Web Sites: Criteria and Tools – Onlin & Uris Libraries. Cornell University – 2004.  
<Http://www.Library.Cornell.Edu/onlinuris/ref/research/webeval.Html>.
8. Best Free Reference web sites. Selection criteria. – ALA. RUSA. MARS. – 2004.  
<Http://www/ala.Org/ala/rusa/rusaourassoc/rusasections/mars/marspubs/marsbestrefcriteria.Htm>
9. Pitschmann, Luise A. Building Sustainable Collections of Free Third-Party Web Resources. – 2001.  
<Http://www.Clir.Org/pubs/reports/pub98/contents.Html>.
10. Librarians’ Index tu the Internet. Selection Criteria. – 2004. Htt[://lii.Org/search/file/pubcriteria.
11. ივლას მანიფესტი ინტერნეტის შესახებ/ საქართველოში ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციის თარგმანი. – 2005. <Http://laag.iatp.org.ge/pubge.html>  
 Evaluation methods of Web documents in US libraries.  
 Методы оценки Веб документов в Библиотеках США.

დავით გურამიშვილი – 300

გურამ თაყნიაშვილი


# ქართული ბამოგზავნილი ნიგნი

(135 წელი „დავითიანის“ პირველი გამოცემოდან)



„დავითიანი“ – დავით გურამიშვილის მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული, ავგორის მიერ საკუთარი ხელით გადაწერილი, 1787 წელს საქართველოში ჩამოიგანა მირიან ბაგონიშვილმა (ერეკლეს ძემ); ამით დიდმა პოეტიკმა საკუთარი მნეობრივი ვალი მოიხადა თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. შემდგომში, როდესაც „დავითიანმა“ ქართველი ინტელიგენციის ყურადღება მიიპყრო, მისი ცალკეული ნაწილები გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (1852); პოემის ცალკეული თავები ასევე გამოაქვეყნა ივანე კერესელიძემ განახლებულ „ცისკარში“ (1860). ამის შემდეგ „დავითიანმა“ ქართული ლიტერატურის კრიტიკოსთა შეფასებით, ჯეროვანი ადგილი დაიკავა ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარებმა მ.ბროსემ, თ.ქორდანიამ, ალ.ხახანიშვილმა, კ.კეკელიძემ, ა.ბარამიძემ და სხვებმა „დავითიანი“ მიიჩნიეს ყრმათა მნეობრივი აღმზრდისა და ქართული სიგყვაკაზმული მწერლობის საუკეთესო ნიმუშად. „დავითიანმა“ ღირსეული ადგილი დაიკავა მე-19 საუკუნეში გამოცემული პირველი სახელმძღვანელო – ქრესტომაგიების ფურცლებზე, რომელთა შემდგენლები იყვნენ: დ.ჩუბინაშვილი, მ.ნასიძე, ს.გორგაძე, და სხვა. მე-20 საუკუნის მკვლევართაგან დ.გურამიშვილის შემოქმედება კრიტიკულ შესწავლას დიდი ამაგი დასდეს ვ.ხინთიბიძემ, გ.ლეონიძემ, ლ.მენაბდემ, გ.მიქაძემ, ს.ჩიქოვანმა და სხვებმა.

„დავითიანის“ პირველი, ცალკე წიგნად გამოცემა (1870) ითავებს ნ.ბერძენიშვილმა, პ.უმიკაშვილმა და გ.წერეთელმა. წიგნს და-



ერთვის გ.წერეთლის ვრცელი წინასიგყვაობა, სადაც დ.გურამიშვილის შემოქმედება განხილულია პოეტის თანადროული საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე. გ.წერეთელი მართებულად აღნიშნავს, რომ დავით გურამიშვილმა მე-18 საუკუნეში და-

ავვირგვინა ქართული ეროვნული პოეზია, რომელსაც სათავე დაუდეს მე-17 საუკუნეში დიდმა თეიმურაზმა და მისმა შვილმა არჩილმა. „დავითიანის“ პირველ გამოცემაში შესულია პოემის 43 თავი. წიგნი გამოიცა ძველი მწერლობის სერიით. როგორც პირველი გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი შენიშნავს: „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ახალგაზრდობას არ ჰქონდა საფუძვლიანი ცოდნა ძველი ქართული მწიგნობრობისა“. ამის მიზეზად გ.წერეთელი ასახელებს წიგნების გამოუცემლობასა და ახალგაზრდობის ბერელე დამოკიდებულებას ძველი ქართული ნიმუშებისადმი. გ.წერეთელი ამ საკითხში არც ახალგაზრდა თაობის აღმზრდელებს ამართლებს: „ახალი თაობის აღმზრდელ მამებსაც ვერ შეუგნიათ თავისი ვალი, რადგანაც თუ ხეირიანი წიგნები რამ ჰქონდათ დალოცვილებს, მაგრად ბანდუკებში ჩაუკეციათ“. წინაპართა ღვაწლისა და ამაგის გაცნობა შეფასების საქმეში, გ.წერეთლის აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი წერილობითი ძეგლების გამოცემას: „ძველი წიგნების ბეჭდური სახით გამომხეურება თუ სულ არ გაგვინათებს გონების თვალის წინ ჩვენს ძველ აზრიან ცხოვრებას, შექს მაინც მიაყენებს ზედ და ესეც კარგია“.

„დავითიანის“ მე-2 გამოცემას ქართველი მკითხველი გაეცნო 1881 წელს. წიგნი გამოიცა პ. უმიკაშვილის რედაქტორობითა და ვრცელი წინასიტყვაობით. რედაქტორი ვრცლად მიმოიხილავს დ.გურამიშვილის ეპოქას, მწერლის თავგადასავალს, ქვეყნის დაცემის მიზეზებს, ხალხის მნებობრივად გადაგვარების პრობლემებს და მის ანარეკლს „დავითიანში“.

თანამედროვე მკვლევართა აზრით (რ. ბარამიძე, რ.სირაძე, გ.მოსია და სხვა.), აღორძინების ხანის მწრლები არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი საქართველოში სათავეს უდებენ განმნათლებლობას; მათ შემოქმედებაში ღომინირება არა მარტო რელიგიური მოტივები, „ისინი ღრმად მო-

რწმუნე ქრისტიანი მოაზროვნეები იყვნენ და მათ სგრიქონებში ღრმად იყო ჩაქსოვილი ქრისტიანულ-თეოლოგიური კონცეფციები“ (რ. ბარამიძე).

როგორც აღვნიშნეთ, „დავითიანმა“ თავიდანვე ჯეროვანი ადგილი დაიკავა სასკოლო სახელმძღვანელო-ქრესტომაგიებში. ამ წიგნებში დიდი ადგილი უკავია როგორც ლექსიკურ კომენტარებს, ასევე ცალკეული ადგილების განმარტებებს ბიბლიური ეპიზოდების დახმარებით.

მე-19 საუკუნეში, 1887 წელს მ.ნასიძემ გამოსცა დავით გურამიშვილის რჩეული ლექსების კრებული. დაურთო პოეტის ბიოგრაფია და ძნელი სიტყვების განმარტებები ისტორიული მნიშვნელობით; მე-19 საუკუნის მიწურულს, 1894 წელს, გამოქვეყნდა „დავითიანის“ კიდევ ერთი გამოცემა, წიგნის ბეჭდვის ორგანიზატორი იყო ბ.ჭიჭინაძე; მისივე თაოსნობით 1911 წელს გამოიცა „დავითიანის“ ვრცელი ტექსტი, რომელშიც შეტანილია „დავითიანის“ პირველი და მეორე გამოცემების (1870, 1881) წინასიტყვაობები (გ.წერეთელი, პ.უმიკაშვილი); 1920 წლამდე სულ განხორციელდა „დავითიანის“ ოთხი გამოცემა (1870, 1887, 1894, 1911), ხოლო მისი ცალკეული ნაწილები შედიოდა სასკოლო სახელმძღვანელო-ქრესტომაგიებში. მე-20 საუკუნის 20–30–იანი წლებიდან მოყოლებული ტექსტი გამოიცემოდა პერიოდულად. დ.გურამიშვილის შემოქმედების შესწავლას მიეძღვნა არაერთი და ორი ავტორის ვრცელი მონოგრაფია, კრიტიკული წერილები. „დავითიანი“ თარგმნილია რუსულ, უკრაინულ და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

წელს საქართველოს ბიბლიოთეკებმა მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღნიშნეს დ. გურამიშვილის დაბადებიდან 300 წლისთავი, მოეწყო შეხვედრები დ. გურამიშვილის შემოქმედების მკვლევართან, ჩაგარდა ლიგერაგური კონკურსები, მოეწყო გამოფენები, ლიგერაგური კვირეულები, საგნობრივი კონკურსები და სხვა.



ნოდარ გაბლიშვილი

## სახანჯურო პოლიტიკა XIX საუკუნის საქართველოში

XIX საუკუნია ღამდეგს ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ხანა ღაიწყო. რუსეთის სახელმწიფომ ღაიპყრო საქართველო, გააუქმა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოები და რუსული მმართველობა ღაამყარა. საქართველოში მმართველობის სისტემას რუსი მოხელეები ჩაუყენა. ქართველი ხალხი აღმოჩნდა სოციალურ და ეროვნულ უღელქვეშ.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით გაუქმდა განათლების სისტემა – სამონასტრო დაწყებითი სკოლები და სემინარიები. მეფის რუსეთი საგანმანათლებლო საქმეს კოლონიურ პოლიტიკას უქვემდებარებდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთი აქტიურად მაინც ვერ ახორციელებს თავის კოლონიურ პოლიტიკას. მის წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდა ირანისა და თურქეთის არმიები, აგრეთვე შამილის მრავალრიცხოვანი მიურიღები.

რუსეთმა ღაამარცხა თუ არა ირან-თურქეთი და შამილი, მაშინვე გაამყარა თავისი რუსიფიცირებული რეჟიმი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კოლონიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი გაძლიერება ღაიწყო. საქართველოს არა მარტო ეკონომიკურად დაპყრობა და აჩქარა, არამედ მკაფიოდ გამოხატა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწყსებულებებისა და განსაკუთრებით განათლების წინააღმდეგ მიმართული აგრესია.

ქართველმა ხალხმა, მისმა მოწინავე ნაწილმა თერგდალეულების წინამძღოლობით გა-

აფრთებული ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობის აღვირახსნილ რეაქციულ პოლიტიკას. მთელი მათი მოღვაწეობა ერთ ღიად მიზანს ემსახურება – ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, და ეს „მიმართულება იქნება იმდრომდე, – წერდა იღია, – მანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერ და კუთვნილ ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა, სხვა საგანი ამამე უმძიმესი, ამამე უსაჭიროესი არა აქვს ახლანდელის საქართველოს შვილის.“<sup>1</sup>

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იღიამ თავის გარშემო შემოიკრიბა ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და სხვ. მათი ამოცანა იყო, წინ აღდგომოდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, ებრძოლათ ერის განთავისუფლებისთვის. ისინი არ ზოგავდნენ არაფერს, რათა ჩაგრული ხალხისთვის შვება მიეცათ და ნათელი მომავლისთვის საბრძოლველად დაერამბათ. ცარიზმის რეაქციული ცენზურა კიდეე უფრო აძნელებდა კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას. სულს უხუთავდა პრესას და ცდილობდა საქართველოში ისეთი პოლიტიკა გაეგარებინა, რომელიც პირდაპირ მიმართული იყო ერის ასიმილაციისა და გადაგვარებისაკენ.

ქართული პრესა და პროგრესული საზოგადოებრივი ამრი მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა ხელისუფლების მხრიდან, რომლის ინტერესებს ერთგულად ემსახურებოდა ცენზურა. იგი დაარსებულ იქნა 1848 წელს და თავდა-

<sup>1</sup> ივერია, 1881, №1

პირველად კავკასიის სასწავლო ოლქის უწყებებს ექვემდებარებოდა. 1863 წლიდან იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შევიდა. საცენზურო კომიტეტის უფლებები და მასზე დაკისრებული მუდამხედველობის სფერო სულ უფრო ფართოვდებოდა. 1879 წლიდან ის მკაცრ კონტროლს უწევდა, პერიოდიკასთან ერთად, თეატრალურ დადგმებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემას. რეაქციის გაძლიერებასთან ერთად, მკაცრდებოდა ცენზურის პირობებიც.

ზემდგომი ინსტანციების, ბეჭდვითი სიჭკვის მთავარი სამმართველოს, კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის ბრძანებების გაცნობა, რომლებზედაც კავკასიის საცენზურო კომიტეტი თავისი საქმიანობის სტრატეგიას აგებდა, მუსტ წარმოდგენას გვიქმნის იმპერიაში გაბატონებულ სულისშემხუთველ რეჟიმზე, მის შემზღვეველ პოლიტიკაზე.

ამ ორგანოთა კონფედერაციული ბრძანებულებებით აღვიღებზე მკაცრი კონტროლი გარდებოდა პოლიტიკური შინაარსის ნაწარმოების მიმართ, ხოლო სოციალისტური იდეების შემცველი გამოცემები პოლიციას დაუყოვნებლივ უნდა დაეპატიმრებინა.<sup>2</sup>

კონტროლი მკაცრდებოდა თვით ცენზურალურ (რუსულ) გაზეთებზეც, რომლებიც მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ. აქ მაინც იბეჭდებოდა სტატიების ნაწილი, განსაკუთრებით კი ლექსები, რომლებიც კავკასიის ცენზურის მიერ იყო აკრძალული. კონტროლის განმტკიცების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს (შ.ს.ს) დადგენილებით, პოლიციას დაეკისრა ცენზურის მიერ აკრძალული ლიტერატურის დაკავება. იმუდებოდა დრამატული ნაწარმოებების პუბლიკაცია და ინსცენირება, – საცენზურო კომიტეტის მიერ გამოყოფილი პირი

თვალეურს ადევნებდა თეატრალურ წარმოდგენებს, რადგანაც შენიშნული იყო პიესების სიუჟეტის თვითნებურად შეცვლის ფაქტები. შ.ს.ს. გადაწყვეტილებით, საცენზურო კომიტეტში უნდა ჩამოყალიბებულიყო სპეციალური დრამატული ცენზურა, რომელსაც თეატრებისთვის პიესების შერჩევაც დაევალებოდა.<sup>3</sup>

შ.ს.ს. მინისტრის მორიგი ცირკულარების თანახმად, წინასწარი ცენზურის პირობები უნდა გავრცელებულიყო პერიოდულ გამოცემებში გამოსაქვეყნებელ ბიბლიოგრაფიებსა და ნეკროლოგებზე, აგრეთვე იმ პუბლიკაციებზე, რომლებიც ასახავდნენ სოციალურ პრობლემატიკას, შეიცავდნენ მიწათმფლობელობის არსებული სისტემის კრიტიკას, უმაღლესი მმართველობის ძაგებას. კატეგორიულად კრძალავდა სახელმწიფო დანაშაულებებზე სასამართლოების სცენოგრაფიული ჩანაწერების გამოქვეყნებას, გუბერნიათა ხელმძღვანელებს ვეალებოდათ, ეს ბრძანება უშუალოდ გაეცნოთ ქურნალ-გაზეთის რედაქტორებისთვის.<sup>4</sup>

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონფედერაციული ცირკულიარი თბილისის გუბერნატორს ავალებს მეტი სიფხიზლის გამოჩენას ბიბლიოთეკების თანამშრომელთა შერჩევასა და სამკითხველოებზე კონტროლის გაძლიერებაზე – თანამშრომელთა მიღებისას ყურადღება უნდა მიქცეოდა მათ პოლიტიკურ ორიენტაციას, ხოლო არასაიმედონი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულიყვნენ სამსახურიდან. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, – ვკითხულობთ ბრძანებაში, – საჯარო ბიბლიოთეკები და სამკითხველოები ბოროტი განზრახვის მქონე ადამიანების ხელში არცთუ იშვიათად დანაშაულებრივი პროპაგანდის საშინ იარაღად იქცევიან იმით, რომ მკითხველ საზოგადოებაში შერჩევის გზით ავრცელებენ მავნე

<sup>2</sup> სსსსა, ფ. 480, აღწ. 1, საქმე №35. – გვ. 24.

<sup>3</sup> იქვე, აღწ. 1, საქმე, 398.

<sup>4</sup> სსსსა, ფ. 480, №1, საქმე, 382. – გვ. 1.

ბლური შინაარსის მქონე გენდენციურ ნაწარმოებებს. ბრძანებაში მოყვანილი მითითებების თანახმად, მკაცრად უნდა განსაზღვრულიყო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების პოტენციურ მკითხველთა კატეგორია. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეცვლილიყო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობა, განთავსებული ლიგერატურის ნუსხა უნდა დაემტკიცებინა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ბეჭდვითი სიგეყვის მთავარ სამმართველოსა და შსს.<sup>5</sup>

ასევე ძლიერდებოდა ბიბლიოთეკებში შემოგანილ ახალ ლიგერატურაზე კონტროლი.

საქართველოში ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობას მხარში ედგა საქართველოს დემოკრატიული პრესა, განსაკუთრებით გაბ. „დროება“. მას ქართული პერიოდიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო იმიტომ, რომ იგი პირველია „სამოციანელთა“ მოძრაობისა, არამედ მისი მეშვეობით თერგდალეულები მოძღვრავდნენ ქართველ საზოგადოებას რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. „დროება“ ოცი წლის განმავლობაში აგარებდა ქართველი ერის სულიერი წინამძღოლის საპატიო მისიას. „დროების“ რედაქცია აღნიშნავდა: „გამებთა დაიწყო ხელი-ხელ მოქმედება ერთად საზოგადოებასთან“.

ქართველმა მამულიშვილებმა: ი. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა, გ. წერეთელმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს თვითმპყრობელურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გამგარებლებს. ერის გადარჩენაში ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენის დაცვას ანიჭებდნენ.

ილია ამბობდა: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა, ამიტომ გლა-

ნქი სული უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა.“<sup>6</sup>

ქართველი ერისა და ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო კავკასიის სასწავლო ოქლის მზრუნველმა იანოვსკიმ, რომელიც 1878 წელს დანიშნეს და 20 წლის განმავლობაში სახელი გაითქვა როგორც ქართული კულტურისა და განათლების მოძულემ, ქართველი ხალხის მგერმა.

კ. იანოვსკის კავკასიის სასწავლო ოქლის მზრუნველად დანიშვნისას ქართველ ხალხს იმედი ჩაესახა, რომ იგი ხელს შეუწყობდა საქართველოს სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების გაუმჯობესებას. „განათლებას საზოგადოდ და ხალხის განათლებას კერძოდ, კარგს მომავალს უქადის მიდრეკილება და მიმართულება მისი, ვინც ახლად დანიშნულ იქნა კავკასიის ოქლის მეთაურად და მზრუნველად.“<sup>7</sup>

საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი ფიქრობდა, რომ იანოვსკის „მოღვაწეობა“ სასიკეთოდ წაადგებოდა საქართველოს, მაგრამ სცდებოდა, რადგან იანოვსკი ორსახიან იანუსს წარმოადგენდა: მას ხახა მგლისა და კუდი მელასი ჰქონდა, დასაწყისში კუდს აჩენდა, ხახას მაღავდა.<sup>8</sup>

როგორც დიდი ილია წერდა, იანოვსკის „ქმნულსა და თქმულს“ შორის დიდი მღვარი გაჩნდა.

იანოვსკი და მეფის სხვა მოხელეების შეხედულებით, სკოლა უნდა გამხდარიყო ადგილობრივი ერების გარუსების მძლავრი იარაღი. ამასვე აკეთებდნენ იანოვსკის წინაპრები საქართველოში, მაგრამ იანოვსკის დამსახურება ცარიზმის წინაშე ის არის, რომ მან სხვებზე მტკიცედ და თანმიმდევრულად დაიწყო საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის გაგარება.

<sup>5</sup> სსსსა, ფ. 480, აღწ. 1, საქმე 73. – გვ. 1

<sup>6</sup> ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.5. 1987. გვ. 213.

<sup>7</sup> ივერია, №1. – გვ. 152

<sup>8</sup> გრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში – თბ, 1951. – გვ. 31.

იანოვსკის განმარტებით, კავკასიის ხალხებისა და გომების გადაგვარება წარსულში სხვა დამპყრობლებმა ვერ შეძლეს სათანადო კულტურულ საშუალებათა უქონლობის გამო. იანოვსკის აზრით, სკოლა მძლავრი იარაღია, რომელიც განამტკიცებს აქ რუსულ ცივილიზაციას.<sup>9</sup>

ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში თერგდალეულებთან ერთად დიმიტრი ყიფიანიც ჩაება. მან აიძულა იანოვსაკი გამოსულიყო გამ. „კავკაზში“ ვრცელი სტაგით და თავი ემართლებინა ფართო საზოგადოების წინაშე, თუმცა მან ამ წერილშიც გაიმეორა, რომ მას პედაგოგიურად გამართლებულად მიაჩნდა სკოლებში ქართველი ბავშვებისთვის რუსული ენის სწავლება პირველივე წლიდანვე დაწყება და გადაღვა კიდეც სამისო ნაბიჯები.

სკოლაში რომ სწავლება ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, ამას არა მარტო ქართველი, არამედ რუსი პედაგოგებიც ასაბუთებდნენ. ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ალ. სკოიანოვი 1880 წელს იანოვსკისადმი წარდგენილ ანგარიშში წერდა, რომ ქართული ენა მშობლიური ენაა და დაწყებითი განათლება უნდა წარმოებდეს მშობლიურ ენაზე. შემდეგი განათლებაც დედაენის საშუალებით უნდა მიმდინარეობდეს. ამიგომ მოსამზადებელ კლასებში მასწავლებლად ქართველები უნდა იყვნენ, ან ისეთი რუსები, რომლებმაც ქართული ენა იციანო.<sup>10</sup>

ილიას თქმით, რეაქციის პერიოდში დევნილმა ქართულმა ენამ ქართულ თეატრს შეაფარა თავი. დრამატული საზოგადოების ხელშეწყობით ფეხადგმული ქართული თეატრი თანდათან მტკიცდებოდა და მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამის ნა-

თელი დადასტურებაა დ. ერისთავის „სამშობლოს“ დაღმა, რომელმაც ქართველი ხალხის სულიერი ამარლება გამოიწვია.

ქართულ თეატრში „სამშობლოს“ დაღმას გამ. „დროება“ ასეთ შეფასებას აძლევდა: „ითქვა სიგყვა“, რომელიც მოხვდა ყველა ქართველის გულს... მოგვეცა შემთხვევა, რომ განცალკევებული ხალხი მივენდეთ ერთმანეთს და გული გავიმაგრეთ იმ იმედით, ერთსა და ორს კი არ შეგვგვიკვებია სამშობლოსათვის გული, არამედ მთელ ხალხს.<sup>11</sup>

საქართველოს ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის მხარში მდგომი დემოკრატიული გაბეჭდები: „დროება“, „ივერია“, „ომბორი“, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებდნენ ეროვნულ პრობლემებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „დროების“ შემართება 1879-1881 წლებში, როდესაც კ. იანოვსკიმ და მეფის ხელისუფლების სხვა მოხელეებმა ქართულ ენასა და კულტურას გააფთრებით შემოუჭიეს. „დროება“ ბოლომდე იბრძოდა ერის ინტერესების დასაცავად. მიუხედავად მკაცრი ცენზურისა, ბეჭდავდა მწვავე პუბლიცისტურ წერილებს და საკადრის პასუხს სცემდა როგორც გარეშე, ისე შინაგან მტრებს. აქ დაიბეჭდა ბინ. სპასოვიჩის საყოველთაოდ გამოთქმული აზრი, რომლის შესახებაც შემდეგი წერია: „ბნ სპასოვიჩის იურიდიულ საზოგადოებაში 1881 წლის 2 თებერვალს უთქვამს, რომ საჭიროა სამართალი იმ ენაზე სწარმოებდეს, რომელმედაც თვითონ ერი ლაპარაკობსო. უფრო ადვილია ორიოდ მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედაენა და უცხო ენა ისწავლოსო. რომაელთა სამართალმა და ნაპოლეონის კოდექსმა ისე დაიპყრო ერნი, რომ მათთვის პირიდან ენა არ ამოუგლეჯიათო. რუსეთის ლიგერატურის და საზოგადო-

<sup>9</sup> გრ. ხუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ. 1957. გვ. 15.

<sup>10</sup> დროება, 1880, №254

<sup>11</sup> „დროება“ 1882, №20.

ების უკეთესნი წევრნი აღგაცებით და დიდის ქებით მიეგებნენ ამ სიგყვას, რომელიც ჩვენ ასე მოკლედ მოვიყვანეთ.<sup>12</sup>

XIX საუკუნის საქართველოს ჟურნალისტიკაში რადიკალური მიმართულების პერიოდული გამოცემა იყო გაზეთი „ობზორი“, რომელიც გამოჩენილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ დააარსა 1878 წელს. „ობზორმა“ სულ ორი წელი (1878-1880 წწ) იარსება, მაგრამ მან თავისი კვალი დატოვა ჟურნალისტიკის ისტორიაში. იგი უშიშრად აკრიტიკებდა რუსეთის თვითმპყრობელურ წყობილებას და ეკონომიკურ აღორძინებაზე ამყარებდა საქართველოს ეროვნული განთავისუფლების იმედს. „ობზორის“ გამოცემისთანავე მთავრობამ მკაცრი კონტროლი და ფარული მეთვალყურეობა დაუწესა.

პირველად „ობზორის“ გამოცემას ყურადღებით მოეკიდა ხელისუფლების ორგანოები. საცენზურო კომიტეტი იმედოვნებდა, რომ ახალ რუსულ პერიოდულ გამოცემას და მის დამაარსებლებს, ნიჭიერსა და მომზადებულ პუბლიცისტს ნ. ნიკოლაძეს გამოიყენებდა მთავრობის მიზნებისათვის, რუსული ადგილობრივი პრესის ავტორიტეტის განსამტკიცებლად და ასამაღლებლად.

მაგრამ ნ. ნიკოლაძეს საკუთარი მიზნები და ამოცანები ჰქონდა. „ობზორის“ პირველსავე ნომერში ანგისახელმწიფოებრივი შინაარსის წერილი დაიბეჭდა, რომლის შესახებ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გიმაშევი კავკასიის მეფის ნაცვლის თანაშემწეს დ. სვიაგოპოლ-მირსკის წერდა: „არა თვლით თქვენ იმის საჭიროებას, რომ წინადადება მისცეთ კავკასიის საცენზურო კომიტეტს, მსგავსი სტაგოები, როგორც დაიბეჭდა „ობზორის“ პირველ ნომერში, აღარ დაიბეჭდოსო?“

ცენზურა დიდ ვნებას აყენებდა საქართვე-

ლოს ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეს, რაც კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელის, რეაქციონერ კ. იანოვსკის „მოღვაწეობიდანაც“ ნათლად ჩანს. ძალზე აფრთხობდა რუს ჩინოვნიკებს ისტორიის ზოგადეროვნული მნიშვნელობა: „არ შეიძლება არ გამოვთქვა, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ კავკასიის მკვიდრთა ენაზე გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში ისეთი განყოფილებებიც კი არ იქნება ნებადართული, როგორცაა ბიოგრაფიები, რადგან ასეთი განყოფილებანი სულ ადვილად შეიძლება ნაციონალურ იარაღად გადაიქცეს. ბიოგრაფიებში ქართველი ხალხიდან წარმოდგენილი პირები დახასიათებული იქნებიან გმირებად, რუსი ხალხიდან კი მხდალებად, სულით დაგაკებად, შემავიწროვებლად და სხვა“.<sup>13</sup>

1890 წელს გ. გულიაშვილის ავტორობით გამოიცა წიგნი „სახალხო საკითხავად საქართველოს მეფებზე“, მაგრამ ცენზურისაგან დაწუნებული ნაშრომი მალე აიკრძალა.

დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია ი. გოგებაშვილს სახელმძღვანელოების – „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ფაშოცემისას. „რაც მე ღრო და შრომა მოვანდომე ჩემი სახელმძღვანელოების შედგენას და ხანგამოშვებით გაუკეთესებას, ათი იმდენი ღრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებლობისაგან,“ – წერდა იაკობი.<sup>14</sup>

1878 წლის 1 იანვარს „ობზორის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ცენზურის მიერ აკრძალული მეთაური წერილი „წარსული წელიწადი“ და ფელეტონი „კონსერვატორის სიგყვა“. კავკასიის მეფისნაცვლის მმართველობის უფროსმა განკარგულება გასცა გაზეთის აღნიშნული ნომრის დაკავებისა და განადგურების შესახებ. აღნიშნული წერილები მიმართული იყო მთავრობისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ. ნ. ნი-

<sup>12</sup> ს. მესხი. თხზულებანი, – თბ, 1903. – გვ. 143.

<sup>13</sup> სსსა. ფ. 107, აღწ. 3, 173-7.

<sup>14</sup> ი. გოგებაშვილი. თხზ., გ. II. – თბ. 1954. – გვ. 170

კოლაძე ამ პუბლიკაციისათვის სასამართლოში მისცეს. „ობზორის“ მოღვაწეობა დასრულდა იმით, რომ გაზეთი დახურეს, ხოლო მისი რედაქტორი 1880 წლის ივლისში სტავროპოლში გადაასახლეს ორი წლით!<sup>15</sup>

სასამართლო პროცესზე ნ. ნიკოლაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა მაშინდელი პოლიტიკური სისტემის საბრალდებო აქტს წარმოადგენდა.

„ობზორის“ „დანაშაულებითი“ ამბავი მთელ იმპერიას მოელო, იმდენად დიდი იყო სასამართლო პროცესის რეზონანსი, რომ ნ. ნიკოლაძის სასამართლო პროცესზე დასასწრებად პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ნაროდნიკული მოძრაობის ლიდერი ვერა ბასულიჩი. ჯერ კიდევ 1876 წელს ნ. ნიკოლაძე მგზნებარე პაგრიოტული აღსარებით მიმართავდა ქართველობას: „მიზანი მთელი ჩემი მოღვაწეობისა საქართველოში, რუსეთში თუ ევროპაში შენთვის თავდადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა იყო“. ასეთად დარჩა ნ. ნიკოლაძე სიცოცხლის ბოლომდე, არასდროს არ უღალატებია იმ პირობისა და ფიცისათვის, რომელიც მან საქართველოს მისცა.

აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოვიდა, მისი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად ცარიზმის მკაცრი ცენზურისა, აისახა მოთხრობაში „სარჩობელაზე“, რომელიც გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1879 წელს. ამავე წელს „დროებაში“ დაიბეჭდა ილიას პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებაში“. როგორც ცნობილია, ის 1860 წელს დაიწერა. მასში გაგარებულია ამრი, რომ ადამიანები იარაღით ხელში იბრძვიან თავისუფლებისა და კეთილი მომავლისათვის. ეგყობა, ამ პოემის თავის დროზე გამოქვეყნებას ცენზურის მარწუხებმა შეუშალეს ხელი.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა პუბლიცისტური წერილების სერია „ცხოვრება და კანონი“, რომელშიც განხილულია საქართველოს პუბლიცისტური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა კარდინალური საკითხები, რომლებშიც მოცემულია გართულებული პრობლემების გადაჭრის ილიასეული გზები.

ცენზურა უკიდურესად ბლუდავდა ისტორიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნებას. მათში ხომ წარსულის განცდა, მკითხველთათვის მისი ნათელი მხარეების შესენება და ამ გზით არსებულ უბადრუკობაზე ყურადღების გამახვილება ხერხდებოდა.

ამ მოტივით აკრძალულ იქნა ილ. ჭავჭავაძის ლექსები „არაგვს“ („ნოვოე ობოზრენიე“ – 1890.), „ბაზალეთის გბა“ („ივერია“ – 1894), ასევე ცენზურამ დაიწუნა ა. წერეთლის ნაწარმოები „კავკაზიდან“, ამოღებულია თ. რამიკაშვილის „სიმღერა“ და „არაგვს“ (1898).

ცენზურას ამოუღია „დროებიდან“ (1885) წერილი, რომელიც საქართველოსა და რუსეთში ქრისტიანობის გავრცელებას ეხება, რომელშიც ლაპარაკია ქართველთა გაქრისტიანების შესახებ, საუბარია წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლასა და ქრისტიანობის გავრცელებაზე IV საუკუნეში, ხოლო მეცხრე საუკუნეში რუსების წმ. კირილესა და მეთოდისაგან განათლებაზე. ამის შესახებ რუსეთის რეაქციონერი მოხელე გაბრაზებით ამბობს: „არ შეიძლება ქრისტიანობის მიღებაში ქართველებს უპირატესობა ჰქონდეთ რუსეთზე. ეს არ შეიძლება რუსეთის პაგრიოტმა მოითმინოს. მე ახლავე წავალ თბილისში და ქუთაისში, მთავრობას მოვახსენებ, რომ შეუძლებელია ასეთი ბოროტგანმრახულება დაუსჯელი დარჩესო“.<sup>16</sup>

ცენზურა ხელს უშლიდა ხალხში ისტორიული

<sup>15</sup> Чиковани Л., Нико Николадзе и демократическая печать в Грузии 70-80 годов XIX века. Тб., 1989. – გვ. 123, 3 იქვე.

<sup>16</sup> მალაზონია დ., ქართული ისტორიოგრაფიული ამროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. – თბ., 2001. – გვ. 54.



ცოდნის გავრცელებას, ვერ ეგუებოდა სამშობლოს წარსულით საზოგადოების დაინტერესების ზრდას. სწორედ ამ კონტექსტიდან გამომდინარე უნდა დაეწუნებინა მას გაბ. „ნოვოეობობრენიეს“ წერილი „ქალაქებსა და სოფლებში“, რომელშიც ისტორიკოსის დ. ბაქრაძის გარდაცვალებით გამოწვეული სახალხო გლოვა აღწერილი, რაც ისტორიისადმი ხალხის საყოველთაო ინტერესზე მეტყველებდა.

ჩვენი წარსულის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად ა. წერეთელი. მის განზრახვას, გამოეცა კრებული ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის ჯერ გაუშუქებელ საკითხთა შესახებ, ცენზურის ამკრძალავი გადაწყვეტილებები მოჰყვა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას ხელისუფლება სასტიკად უპირისპირდებოდა. მის სადარაჯომე ფხიზლად იდგა კავკასიის საცენზურო კომი-

ტეტი. ზემდგომი უწყებების მითითებით იკრძალებოდა ის პუბლიკაციები, რომლებშიც ხალხის ეროვნული და სოციალური სატკივარი იყო ასახული. ამკრძალავი გადაწყვეტილებებისადმი დაუმორჩილებლობა კი მკაცრად ისჯებოდა. ასეთ ფაქტებს სასტიკი რეპრესიები მოჰყვებოდა: პასუხისმგებლობაში მიცემა, გამოძევებობათა დახურვა, დაბეჭდილი ლიტერატურის კონფისკაცია და ა.შ.

ცენზურა მკაცრი იყო ხელისუფლების შოვინისტური ასიმილაციური პოლიტიკის მამხილებელ წერილთა მიმართ, რომლებშიც საამკარაობე იყო გამოგანილი ქართველი ერის დაქსაქსვისათვის, გათიშვისათვის გადადგმული ნაბიჯები. ხელისუფლების ანტიხალხური პოლიტიკა ყველაზე მძაფრად საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მშობლიური ენის განდევნაში გამოვლინდა.

კორესპონდენციები



კარინე მელიქიანი  
თბილისის 152-ე სკ. ბიბლიოთეკის გამგე

გამოთხოვნა ანბანის სწავლებასთან

**თ**ბილისობის დღეებში დიდი აჟიოტაჟი იდგა თბილისის 152-ე სკოლის მოსაწავლეთა შორის, ისინი ნანაგრი ზეიმისათვის ემზადებოდნენ. მართლაც, 2005 წლის 27 ოქტომბერს სკოლაში (ღირეჟტ. ჯ. სულაძე) ჩაგარდა საყოველთაო ღონისძიება „ენა, მამული, სარწმუნოება“, რომელიც მიემდვნა საქართველოს, ქართულ ენას, ქართულ წიგნს. ამ ღონისძიებას ერთობლივად ამზადებდნენ სხვადასხვა სექტორის




მოსწავლეები, რასაც რუსული სექტორის ქართული ენის მასწავლებელი დ. დანაშვილი და ბიბლიოთეკის გამგე კ. მელიქიანი თაოსნობდნენ. წამყვანები იყვნენ: XI კლ. მოსწავლე ო. მარქაროვა, მეათეკლასელები: ლ. გაგანაშვილი, ა. ხეთაგური და VIII კლასის მოსწავლე ა. კაპანაძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნოდა მუსიკის მასწავლებელს მ. უგიაშვილს.

დასაწყისშივე აქდერდა საქართველოს ჰიმნი, რომელსაც შეწყობილად აჰყენენ მოსწავლეები. ღონისძიებაზე ლაპარაკი იყო სამშობლოს სიყვარულზე, ქართულ ლიგერაგურაზე, წიგნზე, მეგობრობაზე. დიდი ადგილი დაეთმო „დედაენის“ შემქმნელს დიდ იაკობ გოგებაშვილს.


განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მე-3 კლასელთა გამოსვლა (კლასის ხელმძღვანელი გ. სარქისიანი). მათი კომპოზიცია მიეძღვნა ანბანის შესწავლას. აღინიშნა, რომ პაგარებმა დაასრულეს ქართული ანბანის შესწავლა და ახლა უკვე აქტიურ კითხვაზე გადავიდნენ. ამიტომაც დაარქვეს მათ თავიანთ გამოსვლას „გამოთხოვება ანბანთან“. აღსანიშნავია, რომ არაქართველი ბავშვები სრულყოფილად ფლობენ ქართულს, სწორად მეტყველებენ და ქართულ ლექსების დეკლამაციას ახდენენ.

ღონისძიება მეგაღ შთამბეჭდავი და ემოციური გამოდგა. ნამდვილად დიდხანს ეხსომებათ ის მის მონაწილეებსა და დამსწრეთ.



ნ. გოგოლაძე  
რუსთავის მე-9 საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლე

## სტუმარი სკოლაში



ქ. რუსთავის მე-9 სკოლაში გრადიციად იქცა ყოველ წელს ჩვენი თანაქალაქელი მწერლის მოპატიჟება, სხვადასხვა დროს გვსტუმრობდნენ დიკი რიმნისთაველი და ეთერ გოსაძე. როცა ქართული ენისა და ლიგერაგურის მასწავლებელმა ნაირა ქავთარაძემ ჟურნალისტისა და მწერლის თინათინ სიყმაშვილის ლექსები, იგავები და მოთხრობები გაგვაცნო, მოგვხიბლა სამშობლოს დიდმა სიყვარულის გრძნობამ, რომლითაც სავსეა თითოეული ნაწარმოები. გადაწყდა, უნდა მოგვეპატიუებინა და სცენაზე აგვექდერებინა თინათინ სიყმაშვილის შემოქმედება. მზადებაც დავიწყეთ. გავინაწილეთ ნაწარმოებები და შევისწავლეთ გექსტები. ყოველდღიურად ვხეწდით მეტყველებას. დამაბულად ვემზადებოდით სტუმრის ღირსეულად დახვედრისათვის. გაკვეთილების შემდეგ ხშირად ისმოდა ნაირა მასწავლებლის ენერგიული ხმა. პედაგოგი თავად გვიჩვენე-

ბდა, გვიჩვენებდა, როგორ წაგვეკითხა ნაწარმოებები. აქტიურად ჩაება ღონისძიების მზადებაში სკოლის ბიბლიოთეკარი მზია ოქრომჭელიძე.

სტუმრის მობრძანების დღეც დადგა. ყველა ველავდით. აი, გაისმა საქართველოს ჰიმნი, რომელიც აიგაცა მთელმა დარბაზმა. სტუმარს მიეგებნენ ყვავილებით ხელდამშვენებული VI კლასელები, რომელთა ძალებითაც ჩაგარდა ძირითადად ეს ღონისძიება. მას უძღვებოდნენ ჩიგო სულაბერიძე და ნინო დეგეგაშვილი, რომელთაც დამსწრეთ გააცნეს მწერალ თინათინ სიყმაშვილის ბიოგრაფია. სცენაზე აქდერდა სისხლსავსე, მაღლიანი ქართული სიგყვა. დამსწრენი დიდი ინტერესით ისმენდნენ ლექსებს: „ვედრება“, „მიმწუხრისას გულით ნაფიქრალი“, „თამარ“, „ციხე-გორას დაჰქრის ქარი“, „თეთრი ვარდები“, „ლექსო, ამოგთქომ“ და სხვა. ბავშვებმა საინტერესოდ წაიკითხეს იგა-




ვები: „წუმპალა“, „ლომის წილი“, „ჭკვიანი ტურა“, ნაწყვეტი მოთხრობიდან „ჩოლოყა სხვა კაცი იყო“. თითოეული ნაწარმოებით თინათინ სიყმაშვილი გემოდღვრავს, როგორ უნდა ვიყოს მალაღმბნეობრივი ადამიანები, როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო. თავად პოეტი ხომ მზადაა ემსახუროს მას მაღლიანი სიტყვითა და საქმით. თინათინ სიყმაშვილმა სული უძღვნა სამშობლოს და თავისი ნაწარმოებებით აცოცხლებს რა წარსულ გმირებს, ქვეყნისათვის შეწირულთ, სამაგალითოდ გვისახავს მათ ცხოვრებასა და თავდადებას. ღონისძიებას ამშვენებდა „ქართული“ და „აჭარული“ ცეკვები. ჟღერდა XI კლასის მოსწავ-

ლეების ლ. ხელაიასა და ლ. ბულაშვილის მიერ შესრულებული ლირიკული სიმღერები გიგარის თანხლებით, აგრეთვე სიმღერა რუსთაველი – VIII კლასელ ნ. გოგოლაძის შესრულებით.

ღონისძიების დასასრულს ნასიამოვნებმა მოსწავლეებმა მრავალი კითხვა დაუსვეს თინათინ სიყმაშვილს. მათ აინტერესებდათ, თუ როგორ ცხოვრობს იგი, როდის ქმნის თავის ნაწარმოებებს.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „პოემია უცნაური მაღლია და პოეტი ამ მაღლით მოსილი კაცი.“ მე-9 სკოლის მოსწავლეები ლამაზ პოეტურ დღეს ამ მაღლს ემბარნენ.



ნ. მაზიაშვილი  
 რუსთავის 25-ე საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე

## ჩვენი ბიბლიოთეკა



ქ. რუსთავის 25-ე საშ. სკოლის ბიბლიოთეკა სკოლის გახსნასთან ერთად დაარსდა და თავისი არსებობის მხოლოდ 16 წელს ითვლის.

ბიბლიოთეკა 2-3 წლის განმავლობაში დაკომპლექტდა მცირე წიგნობრივი ფონდით, ხოლო მომდევნო წლებში, სამოქალაქი არეულობების დროს, ბეჭდური პროდუქციის მი-

ღება საერთოდ შეწყდა.

გაჭირვებამ, სიცივემ, უსახსრობამ და მრავალმა უბედურებამ გადაიარა ჩვენი სკოლის თავზე. ამას თან დაერთო სახურავის დაზიანება და ბიბლიოთეკაში წყლის ჩამოდენა. იძულებული გავხდით, ბიბლიოთეკისათვის სხვა ადგილი გამოგვეძებნა, რათა განადგურებისაგან გადაგვერჩინა ისედაც საკმაოდ

მწირი წიგნობრივი ფონდი.

ამჟამად სკოლის ბიბლიოთეკა I სართულზე, პაგარა ოთახშია განთავსებული. თუ გადავხედავთ ბიბლიოთეკის შთაბეჭდილებების რეზიუმეს, იქ ამოიკითხავთ მოსწავლეთა ჩანაწერებს. „ძალიან მიყვარს ბიბლიოთეკაში წიგნ-

ბთან ყოფნა, – წერს ერთ-ერთი მოსწავლე, – სასურველია, ჩვენს ბიბლიოთეკას ჰქონდეს დიდი სამკითხველო დარბაზი, კარგი ინვენტარით აღჭურვილი, რათა უკეთ შევძლოთ ბიბლიოთეკით სარგებლობა“.

ბიბლიოთეკაში არსებული მცირე წიგნალი ფონდი ვერ აკმაყოფილებს ყველა მოსწავლის



გვყავს 640 მკითხველი.

ბიბლიოთეკაში მოწესრიგებულია საინვენტარო და ჯამობრივი აღრიცხვის წიგნები, საკატალოგო სისტემა, გარდება სხვადასხვა ღონისძიებები, არის გამოფენები და ა.შ.

ჩვენი ქალაქის სკოლის ბიბლიოთეკარებს ახლო ურთიერთობა გვაქვს ერთიმეორესთან, ყოველთვის ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებებს და რჩევებს ვაძლევთ.

პირადად მე დიდ დახმარებას მიწვევენ სკოლის დეაწლმოსილი ბიბლიოთეკარები: მე-9 სკდან – მ. ოქრომჭედლიძე, მე-17 სკ. – ნ. გრიგალაშვილი და მე-18 სკ. ე. აბულაშვილი. მათი დახმარებით ყოველგვარო პრობლემა და გასაჭირი მიაღწევილდება.

ყველაზე დიდ დახმარებას მიწვევს ის ინფორმაცია, რომელსაც ვღებულობთ თქვენი ჟურნალის, „საქართველოს ბიბლიოთეკის“, ფურცლებიდან. ჟურნალი ძალიან მახალისებს და ენერგიას მმაგებს. მიჩნდება ახალი იდეები და გეგმები, რათა უკეთ მოვემსახურო სკოლას ბიბლიოთეკით, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს მოზარდი თაობის ინტელექტუალური აღზრდის საქმეში.



მოთხოვნილებას. განსაკუთრებით განვიცდით სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურის ნაკლებობას.

ჩვენ წლების მანძილზე ვსარგებლობდით ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკებით – „ბუნების კარის“, „ლილას“, გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდით, რისთვისაც მადლობის მეტი რა გვეთქმის.

ამჟამად, ბოლო ორი წელიწადია, რაც ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის ფონდს შევმაგეთ განათლების სამინისტროს დაფინანსებით შეძენილი ლიტერატურა, როგორც დარგობრივი, ისე სპეციალური სასკოლო გამოცემები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ მცირეა.

დღეისათვის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის რაოდენობა შეადგენს 2022 ეგზემპლარს.



ლიანა ფერაძე

## პეტრე უმიკაშვილი – მნივნობარი

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა პეტრე იოსების ძე უმიკაშვილმა (1839-1904) დიდი ამაგი დასდო ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემას. ქართული წიგნების გამოცემა მას გადაუღებელ საქმედ მიაჩნდა.

თავდაპირველად პ. უმიკაშვილი საგამებით სტატიებით ეხებოდა ძველი ქართული ხელნაწერების წიგნებად გამოცემის აუცილებლობის საკითხებს. გ. წერეთელთან და ნ. ბერძენიშვილთან ერთად მსჯელობდა წიგნის პრაქტიკული გამოცემის გეგმებზე. მათ ერთობლივად დაბეჭდეს „დროებისა“ და ჟურნალ „მნათობში“ წერილი სათაურით „ძველი წიგნების გამოცემაზე“. წერილში ვკითხულობთ: „ამჟამამდე ძალიან ცოცხალი მეცადინეობა გვიხმარია, ჩვენ ქართველებს, რომ ჩვენის ძველის მწერლობისთვის ბეჭდვით მიგვეცა მკვიდრობა და ამ მხრით დაგვეცვა ღრთა შემუსვრისაგან ჩვენის ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა, ძველი ქართული წიგნების ბეჭდვა ამგვარად იქნებოდა სასარგებლო როგორც საზოგადოდ ისტორიისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით თვით ლიტერატურისათვის და სალიტერატურო ისტორიისათვის“.<sup>1</sup>

სულ მალე, 1870 წელს პ. უმიკაშვილმა გ. წერეთელთან და ნიკო ბერძენიშვილთან თანადრედაქტორობით გამოსცა დავით გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი ნაწილი. პ. უმიკაშვილი ამ წიგნის ფაქტიური რედაქტორი იყო,

რადგანაც მთლიანად მას ეკუთვნოდა ტექსტის დასაბეჭდად მომზადება.

აღნიშნული წიგნის გამოცემით პ. უმიკაშვილმა პირველად გააცნო მკითხველ საზოგადოებას დ. გურამიშვილის უკვდავი პოეტური შემოქმედება. და ამასთანავე სათავე დაუდო „დავითიანის“ ბეჭდურ გამოცემებს.<sup>2</sup>

პ. უმიკაშვილს ეკუთვნოდა „დავითიანის“ მეორე გამოცემის რედაქციაც (1881). ეს იყო დ. გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის სრული ტექსტი. წიგნს თან ერთვოდა რედაქტორის ვრცელი ნარკვევი „დავითიანის“ ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

1873 წელს პ. უმიკაშვილის რედაქციით დაბეჭდა გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებული. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ამ კრებულში შევიდა გრ. ორბელიანის ყველა ლექსი – თვით ავტორის მიერ გასწორებული.

გრ. ორბელიანის ლექსების გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მართალია, მის ლექსებს ქართული საზოგადოება ქართული პრესის ფურცლებიდან („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „კრებული“) ეცნობოდა, მაგრამ პოეტის სრული კრებულის გამოცემა იმ დროისთვის ფრიად სიმბოლური და სასიხარულო გახლდათ. გრ. ორბელიანის ლექსების გამოცემას ნ. ნიკოლაძემ ვრცელი სტატია უძღვნა, რომელშიც ხაზგასმით მიუთითებდა რედაქტორის მიერ გაწეულ შრომაზე. რედაქტორმა (პ. უმიკაშვი-

<sup>1</sup> დროება, 1869, №52

<sup>2</sup> „დავითიანის“ პირველი გამოცემა შედგა 1870 წ., მეორე – 1881 წელს, ხოლო მესამე – 1894 წელს.

ლმა) „ფარდა ახადა და ფართოდ გამოაჩინა მა-  
ლანნიჭიერი პოეგის მხაგერული შემოქმედება  
(ნ. ნიკოლაძე).<sup>3</sup>

არ უნდა იქნეს დავიწყებული პ. უმიკაშვილის  
ძალისხმევა ძველი ქართული მწერლობის შე-  
სანიშნავი ძეგლის – „ვისრამიანის“ გამოცემა-  
სთან დაკავშირებით (1884 წ.). ეს იყო პირველი  
გამოცემა. მისი საერთო ხელმძღვანელობა  
ილია ჭავჭავაძესა და ალექსანდრე სარაჯიშ-  
ვილს დაეკისრათ, ხოლო გექსგის დასაბეჭდად  
მომზადების მთელი სამუშაო პ. უმიკაშვილს შე-  
უსრულებია. პ. უმიკაშვილი „ვისრამიანის“ ფა-  
ქტიური რედაქტორი გახლდათ.

1886 წელს პ. უმიკაშვილმა გამოსცა ვახტანგ  
მეექვსის „დასგურლამალი“. გადაუჭარბებლად  
შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისთვის ეს იყო  
თავისებური აკადემიური გამოცემა, რადგან  
წიგნს დართული ჰქონდა ძირითადი გექსგის ვა-  
რიანტები, რედაქტორის მიერ შედგენილი საძი-  
ებელი, ლექსიკონი და კომენტარები.

გარდა ბემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი  
გამოცემებისა, პ. უმიკაშვილის რედაქტორო-  
ბით 1871 წელს დაიბეჭდა სულხან-საბა ორბე-  
ლიანის „წიგნი სიბრძნე – სიცრუისა“, 1874  
წელს – ვახტანგ ორბელიანის ლექსები ი. ჭა-  
ვჭავაძესა და გ. თუმანიშვილთან ერთად. 1876  
წელს მას აქტიური მონაწილეობა მიუღია ნ. ბა-  
რათაშვილის ლექსების პირველი გამოცემის  
მომზადებაში, ხოლო 1881 წელს ალ. ჭავჭავა-  
ძის ლექსების პირველი ნაწილის გამოცემაში.<sup>4</sup>

90-იან წლებში პ. უმიკაშვილი აპირებდა  
აგრეთვე მე-18 საუკუნის ნაკლებად ცნობილი  
პოეგის იესე გლაშაძის პოემის „კათალიკოს-  
ბაქარიანის“ დაბეჭდვას, მაგრამ ეს საქმე აღარ  
დაუმთავრებია.<sup>5</sup>

პ. უმიკაშვილი დიდი სიყვარულით და თა-  
ვგამოდებით ეკიდებოდა წიგნების გამოცემას,

გექსგის მომზადებიდან დაწყებული, იგი  
ერთგული გუშაგით შეუწელებელ ზრუნვას  
იჩენდა წიგნის გამოქვეყნებისთვის, რომ არა-  
ფერს შეეფერხებინა მისი გამოცემა.

ქართული კულტურის დაუცხრომელი პაგრი-  
ოგი მწვავედ განიცდიდა, როცა გამოსაცემად  
გამზადებული წიგნის დაბეჭდვა რაიმე მიზეზით  
იგვიანებდა.

პ. უმიკაშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული,  
რომ საგამომცემლო საქმის წარმატებას, პი-  
რველ რიგში, გამოცემული წიგნების შინაგანი  
ღირსება განსაზღვრავდა, რაც რედაქტორ-გა-  
მომცემელს განსაკუთრებულ მოვალეობასა და  
პასუხისმგებლობას აკისრებდა.

პ. უმიკაშვილი თავის ერთ-ერთ მნიშვნელო-  
ვან ვრცელ საგაზეთო წერილში „ქართული  
მწიგნობრობა“ 1883 წელს წერდა: „სჯობს  
ცოგა დაიბეჭდოს წიგნი, თუნდ პაგარა ბროშე-  
რებიც იყოს, ოლონდ კი შინაგანი ღირსება ჰქო-  
ნდეს. რიცხვის სიმრავლეს, სიკეთის სიმრავლეს  
სჯობს. უკეთესი იქნება ერთი წიგნი მომზა-  
დდეს კარგად, ღიბხანს, ვიღრე ორმოცი და ხე-  
ლდახელ მომზადებული და უვარგისი“.<sup>6</sup>

საერთოდ, პეგრე უმიკაშვილს უდიდესი და-  
მსახურება მიუძღვის XIX საუკუნის მეორე ნა-  
ხევრის ქართული კულტურისა და საზოგადო-  
ებრივი აზროვნების ისგორიაში. იგი ეკუ-  
თვნოდა ქართულ მწერალთა და საზოგადო  
მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას, რომე-  
ლმაც 60-იან წლებში მალა აღმართა ერო-  
ვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის  
დროშა. პ. უმიკაშვილი მუდამ გვერდით ედგა  
დიდ ილიას და აკაკის, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერე-  
თელს, ს. მესხს და თერგდალეულთა თაობას,  
რომლებიც დაულალავად იღვწოდნენ ქართული  
კულტურის წინსვლისა და აღორძინებისათვის  
უმძიმესი ეპოქის დროს.

<sup>3</sup> ნ. ნიკოლაძე, თხზ. გ. 3. – 1963. გვ. 261

<sup>4</sup> პ. უმიკაშვილი, ავგობიოგრაფია – „ივერია“ – 1904, №123

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> პ. უმიკაშვილი. ქართული მწიგნობრობა. – ივერია. 1883. №1-6. გვ. 156

დურმიშხან ლაშხი  
მაგისტრანტი

## დავით სარაჯიშვილი და ქართველი ახალგაზრდობა

(ახალი საარქივო მასალების მიხედვით)



XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ქართული საზოგადოებრივი აზრის გაცხოველები, კულტურის საერთო დონის აღმავლობა; არსდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ასობით ნიჭიერი ჭაბუკი მიემგზავრება რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში უმაღლესი ცოდნის მისაღებად. დავით სარაჯიშვილმა დიდი ღვაწლი შეიტანა ორგანიზაციებსა და ახალგაზრდობას. ფაქტობრივად, იგი სტუდენტობას მოეწვინა როგორც მფარველი ანგელოზი და თავისი საქმით დაამსხვრია მანამდე არსებული სტერეოტიპი: „ჩემი ფულებით რაგომ უნდა ისწავლოს სხვისმა შვილებმა, თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი, თუ არ ისწავლიანო.“

1910 წელს დავით სარაჯიშვილმა, როგორც ცნობილია, შეადგინა ანდერძი, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთ-

ერთი მუხლი: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცეს 300 ათასი მანეთი, რომლის ნახევარი უნდა მოხმარდეს საეთნოგრაფიო მუზეუმის შენობის აგებას, დანარჩენი კი სტიპენდიების დანიშნავს.“ საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1914 წლიდან 1917 წლამდე სტუდენტობას დაუნიშნა დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია იმ თანხიდან, რომელიც ერგო მას ანდერძით.

1914 წელს დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიები წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ლოკუმენტების მიხედვით, დაუნიშნა შემდეგ სტუდენტებს: „გიორგი ვარლამის ძე დალაქიშვილს, 1 თებერვლიდან 300 მანეთი, იღებდა 1915 წლამდე, თვეში 25 მანეთს; ქრისტეფორე გიორგის ძე ამილახვარს, 1 თებერვლიდან 400 მანეთი, იღებდა 1916 წლის მაისამდე, თვეში 25 მანეთი; ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ემუხვარს, 1 ივლისიდან დაენიშნა 420 მანეთი, იღებდა 1916 წლამდე, თვეში 25 მანეთს; რაფიელ ბესარიონის ძე ნიქარაძეს დაენიშნა 1 ივლისიდან 300 მანეთი, იღებდა 1916 წლამდე, თვეში 25 მანეთს; გაბრიელ გიორგის ძე ოქროპირიძეს, დაენიშნა 1 თებერვლიდან 300 მანეთი, იღებდა 1916 წლამდე, თვეში 25 მანეთს და ვლადიმერ იოსების ძე ყანჩელს 268 მანეთი“.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ხშირად იმართებოდა კრებები, რომლის მიზანს წარმოადგენდა დავით სარაჯიშვილის

სახელობის სტიპენდიების დანიშვნა-განაწილება. ასეთი კრება გაიმართა 1914 წლის 26 აგვისტოს, სადაც მიწვეული იყო დავით სარაჯიშვილის ანდერძის ნების აღმასრულებელი ალექსანდრე პეგრეს ძე სარაჯიშვილი. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში შენახულია წერილი, რომელიც ვარლამ ბურჯანაძემ გაუგზავნა ალექსანდრე სარაჯიშვილს: „სამშაბათს 26 აგვისტოს საღამოს 8 საათზე ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში დანიშნულია გამგეობის წევრთა მორიგი კრება, სტიპენდიების გასანაწილებლად.“

გამგეობის თავმჯდომარის დავალებით გთხოვთ, როგორც განსვენებული დავით სარაჯიშვილის ნების აღმასრულებელს, მობრძანდეთ და დაესწროთ კრებას და მიიღოთ მონაწილეობა სტიპენდიების დანიშვნაში. სამეურვეო საზოგადოების თავმჯდომარე ვარლამ ბურჯანაძე“.

ამ წერილიდან ჩანს, რომ 1914 წ. დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიები განთავისუფლდა და დაენიშნათ 1915 წელს შემდეგ პირებს: „ვახტანგ ილიას-ძე კოტეჯიშვილს, 1 თებერვლიდან 100 მანეთი, მამია ხუხუნიანიშვილს, 1 თებერვლიდან 300 მანეთი, პავლე იესეს-ძე ინგოროყვას, 1 თებერვლიდან 25 მანეთი...“

1916 წელს დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია დაენიშნათ: „ალექსანდრე შავგულიძეს, 1 იანვრიდან 300 მანეთი და დავით ჩაღუნელს 300 მანეთი.“

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში უამრავი სტუდენტის თხოვნა შედიოდა, რათა მათთვის დაენიშნათ დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია, აგრეთვე წერილებს წერდნენ ის ყოფილი სტიპენდიანტები, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო მოეხსნათ სტიპენდია. სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა ალექსანდრე ციციშვილი, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-

გადოებას თხოვნით მიმართავდა: „ენკენობის თვეში 1913 წელს გამოვედი უნივერსიტეტიდან, რადგანაც უნდა მომეხალა სამხედრო ბეგარა, იმდროიდანვე მომესპო განსვენებულის დავით სარაჯიშვილის სტიპენდია, გაგნთავისუფლდი თუ არა ამ მოვალეობიდან, მაშინათვე შევედი ხელმეორედ იმავე სასწავლებელში კურსის დასამთავრებლად. თიბათვიდან 1916 წ. ამიგომ მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რადგანაც ძალიან გაჭირვებული გახლდი, გთხოვთ დამინიშნოთ წყარო ცხოვრებისა, რომელიც მქონდა აღთქმული კურსის დამთავრებამდის, ჩვენი ფრიად პატივცემული განსვენებული დავით სარაჯიშვილისგან, პირველ თიბათვეში დავბრუნდები ჩემს სამშობლო ქვეყანაში კურს დამთავრებული და შეუდგები ჩემი ვალის გადახდას სამშობლოსა და ყველას წინაშე, რამდენადაც შემიძლება.“

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ განიხილა ალექსანდრე ციციშვილის თხოვნა, მაგრამ ალექსანდრე სარაჯიშვილი კატეგორიულ უარზე იყო, რომ ციციშვილისთვის დაენიშნათ კვლავ სტიპენდია. მისი აზრით, ციციშვილი გამორიცხული იყო სასწავლებლიდან და არ ეკუთვნოდა სტიპენდია, მიუხედავად ალექსანდრე სარაჯიშვილის წინააღმდეგობისა, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მაინც შეძლო, რომ დ. სარაჯიშვილის სახელობის სასტიპენდიო თანხის ნაშთიდან (201 მანეთი) დაენიშნა ციციშვილისთვის ერთდროულად 100 მანეთი. ამას მოწმობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების №14 ოქმი, რომელშიც წერია: „სტუდენტ ალექსანდრე იოსების ძე ციციშვილის თხოვნა სტიპენდიის არა ერთდროული დახმარების აღმოჩენის შესახებ: განჩინება გამგეობისა: მიეცეს სტუდენტ ალექსანდრე იოსების-ძე ციციშვილს ერთდროულ დახმარებად ასი მანეთი დავით სარაჯიშვილის სახელობის სასტიპენდიო ნაშთიდან“.

1915 წლის 3 აგვისტოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან წერილი, რომელშიც ქუთაისის გამგეობა თხოვნით მიმართავდა თბილისის გამგეობას, რომ ღავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიები დაენიშნათ შემდეგი პირებისთვის: „ტაბიძე გალაქიონის (პოეტი, სურდა შესულიყო შანიავსკის უნივერსიტეტში, მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოებამ მას არ დაუნიშნა სტიპენდია, ამას თვით გალაქიონიც იხსენებს თავის წერილებში გულისტკივილით, რადგანაც მას არ მიეცა საშუალება სწავლისა), კონსტანტინე შხვაცაბაიას, ღავით ჩაღუნელს, ეფრემ ჩახუნაშვილს, გიორგი ჯაკობიას, ნესტორ ბოკუჩავას, ვარლამ ღონღუას, ვარლამ ლაბაძეს, გრიგოლ ღორთქიფანიძეს, ალექსანდრე ნიკოლაიშვილს, კალისტრატე ნიქარაძეს, ბესარიონ სვანიძეს და გერენგი ყურაშვილს“. ამ თხოვნას თან ახლავს განმარტებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ „ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ყმაწვილი, ფრიად ღარიბია, შრომისმოყვარე, ღირსი ქონებრივი დახმარებისა. განსაკუთრებით პირველი ხუთი, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან როგორც ნიჭით, ისე საზოგადოებრივი ალღოთი და ამიგომ გთხოვთ, მთავარ გამგეობას, თუ მას უფრო ღირსეული კანდიდატები არ აღმოაჩნდება, დაუნიშნოს ზემოთ ჩამოთვლილ ყმაწვილებს სტიპენდია, ამასთანავე გაახლებთ ყველა ჩამოთვლილ პირთა თხოვნებს და საბუთებს, გამგეობის თავმჯდომარე: გ. მღანოვიჩი, მღივან-წერი გამგეობის: თ. ბაქრაძე“.

აღნიშნული პირებიდან წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ღავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია დაუნიშნა მხოლოდ ღავით ჩაღუნელს, 300 მანეთი, როგორც ჩანს, 1915 წელს მხოლოდ ერთი ადგილი იყო თავისუფალი.

1917 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მღივანი გამოდის მოთხოვნით, რათა სტუდენტებისთვის 25 მანეთიდან 40 მანეთამდე გაეზარდათ სტიპენდია, ამისთვის მან სპეციალური მოხსენებითი ბარათი შეადგინა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ჩვენს სტიპენდიანტებს საზოგადოდ ძლიერ მცირე სტიპენდია ეძლევათ თვეში 25 მანეთი, რაც ღღევანღელი საშინელი სიღვირის გამო მარტო ოთახის ქირად არაა საკმარისი. აუცილებლად საჭიროა ყველა ჩვენ სტიპენდიანტებს გაუღიღღეს სტიპენდია, თვეში 40 მანეთი, ვინაიდან განთავისუფლებულ სტიპენდიებისგან შემღღარი ჯამი 600 მანეთი, საკმარისი არ იქნება სტიპენდიების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული 40 მანეთის ფარგლებში, დამატებითი ფული უნდა მიეცეს ღავით სარაჯიშვილის სახელობის სასტიპენდიო ნაშთიდან, რომლის რაოდენობა უღრის ამჟამად 1600 მანეთს, დამატებითი სტიპენდია თითო სტიპენდიანტს თვეში 15 მანეთი უნდა ეძლიოს. მიმღინარე წლის 1 ენკენობისთვის დამომავალი წლის 1 ივლისამღე ე. ი. 10 თვის განმავლობაში, მაშასადამე თითოეული სტიპენდიანტი მიიღებს დამატებით სტიპენდიას 150 მანეთის ოღენობით.

ამჟამად (1917 წ.) საზოგადოებას ჰყავს 12 სტუდენტი სარაჯიშვილის, 3 ღღღღღღღღღღის და 2 ზუბალაშვილის, სულ 17 სტიპენდიანტი. ამნარად დამატებითი სტიპენდიებისთვის საჭირო იქნება 25-50 მანეთი. თავისუფალი სასტიპენდიო ჯამი ნაშთით უღრის 2200 მანეთს, საჭირო იქნება დამატებით 350 მანეთი. ეს ფული შეიღღება გაღღებულ იქნეს წარსული წლის სარაჯიშვილის სახელობის ნაშთიდან, რომლის რაოდენობა უღრის 400 მანეთს. თუ დამატებით სტიპენდიები მიეცათ ყველა სტიპენდიანტებს, მაშინ ახალი სტიპენდიები აღარ დაინიშნება.“ ამ ღღღღღღღღღღიდან ჩანს, რომ 1917 წ. ღავით სარაჯიშვილის სახელობის 12 სტიპენდია იყო დაინიშნული.

ასე რომ, 1917 წელს გრძელდებოდა დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნა.

აი, ასეთი შესანიშნავი დამცველი ჰყავდა ქართველ ახალგაზრდობას დავით სარაჯიშვილის სახით, გყუილად როდი ამბობდა ლუარსაბ ბოცვაძე, როდესაც დავით სარაჯიშვილის პიროვნებაზე აღგაცებით წერდა, რომ დავით სარაჯიშვილი სტუდენტობას თავისი დახმარებით ეუბნებოდა: „დახმარებას გაძლევთ, ისწავლეთ და ქვეყანას გამოადექითო“. მართლაც, დავით სარაჯიშვილი ქართველი ახალგაზრდობისაგან არაფერს ითხოვდა, გარდა ერთისა, რომ მათ

ესწავლათ და ბურგზე დაეღათ მძიმე უღელი, რასაც ჰქვია სამშობლოსა და ერის სამსახური.

„ისწავლეთ ძენო, ნუ დაზოგავთ ღვაწლსა და შრომას, ნათლის თვალითა ერიდებით, ცრუ გზას და ცდომას, თქვენის სამშობლოს თქვენგენა რბის გული და თვალი, ისწავლეთ, ძენო, თქვენს ხელთ არის მის მომავალი“.

ჩვენნი დარგის სახელოვანი მოღვაწენი



ირინე გოგლიძე  
ეროვნული ბიბლიოთეკის არქივ-მუზეუმის თანამშრომელი  
**ვლადიმერ ვლადიმერის ძე უზნაძე**  
(100 წლისთავთან დაკავშირებით)

**მ**ერიკელი მოგზაური ჟურნალი-სტი ჯ. ა. ლივინგტონი გაზეთ „Moscow news“-ში ვლ. უზნაძის შესახებ წერს: „მე წარმადგინეს ვლადიმერ ვლადიმერის ძე უზნაძესთან, რომლის სახითაც წარმოგიდგებოდათ ნამდვილი მეცნიერი ბიბლიოთეკარი. მას შუბლზე შეამჩნევდით ღრმა ნაოჭებს, რაც მის ღრმა შინაარსზე მეტყველებდა.“



ვლადიმერ ვლადიმერის ძე უზნაძე დაიბადა 1905 წ. 1924 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა. 1928 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმავე წელს გაგზავნეს ხულოში კულტმუშაკის თანამდებობაზე. ვლ. უზნაძე 1928-29 წლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურული რევოლუციის გაგარების საქმეში.





1930 წლიდან 1941 წლამდე ერთდროულად მუშაობდა ბათუმსა და თბილისში სასწავლებლებსა და გეჟნიკუმებში, მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ.

1941 წელს გაწვეული იყო საბჭოთა არმიის რიგებში, იბრძოდა სამამულო ომში. 1945 წლის დეკემბერში დემობილიზებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან.

1946 წლის 1 თებერვალს მან მუშაობა დაიწყო თბილისის აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგის მოადგილედ და იმავდროულად ცენტრალური სამეცნიერო ისტორიული ბიბლიოთეკის ღირექტორად.

1949 წლიდან სამუშაოდ საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ღირექტორის თანამდებობაზე გადაიყვანეს.

1956 წ-დან იგი ლექციებს კითხულობდა ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე „საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში“.

ვლ. უზნაძე არჩეული იყო სსრკ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საბიბლიოთეკო საბჭოს წევრად, აგრეთვე საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკების სექციის თავმჯდომარედ. მას მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო. მუდმივად მონაწილეობდა სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების ღირექტორების თათბირებზე. ამ თათბირებზე ვლ. უზნაძე არაერთხელ გამოსულა მოხსენებებითა და სიგყვით სხვადასხვა საკითხებზე.

ვლ. უზნაძეს აქვს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იგი ავტორია 17 მონოგრაფიის, სტატიებისა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში. მისი რედაქტორობით გამოცემულია ბევრი ნაშრომი ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და ბიბლიოგრაფიაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ვლ. უზნაძის მუშაობის პერიოდში განსაკუთრებით საგულისხმო საქმეს წარმოადგენს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ვლ. უზნაძის მუშაობის პერიოდში განსაკუთრებით საგულისხმო საქმეს წარმოადგენს



მისი ინიციატივით იერუსალიმსა და სინას მთაზე დაცული ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების აშშ კონგრესის ბიბლიოთეკიდან გაცვლის წესით მიღება. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ვლ. უზნაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პარგიულ-საზოგადოებრივ მუშაობაში. გამოირჩეოდა როგორც ენერგიული, კეთილსინდისიერი და მაღალორგანიზებული მუშაკი, აღსანიშნავია, რომ მისი უშუალო ზედამხედველობითა და მეთვალყურეობით შენდებოდა ბიბლიოთეკის ახლანდელი ნაგებობა, რომელიც სანიმუშოდ ითვლებოდა იმ პერიოდში.

ვლ. უზნაძეს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება.

ვლ. უზნაძემ სანიმუშო წესრიგი დაამყარა მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მას აგრეთვე საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა საზღვარგარეთისა და მოკავშირე რესპუბლიკების ბევრ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან. იგი დიდად უწყობდა ხელს წიგნთგაცვლასა და აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის ფონდის გამდიდრებას იშვიათი და უნიკალური ლიტერატურით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა ამ პერიოდში 100 000 მანეთის ექვივალენტის ვალუტას ღებულობდა, 20 000-ზე მეტი წიგნი და ჟურნალი უცხო ქვეყნებიდან დაკვეთისა და გაცვლის გზით ჰქონდა მიღებული.

აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რე-

გულარულად ღებულობდნენ მთელ რიგ ამერიკულ ეკონომიკურ ჟურნალებს.

საბჭოთა კავშირში ამერიკულ ჟურნალებზე მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემია ამერიკული ჟურნალების ფოტოკოპირებასაც ახდენდა.

ვლ. უზნაძემ კავშირი დაამყარა რამდენიმე ამერიკულ ორგანიზაციასთან, როგორცაა: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, მეცნიერებათა ნაციონალური აკადემია, კონგრესის ბიბლიოთეკა, კალიფორნიის უნივერსიტეტი და ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა.

ვლ. უზნაძე პირადად ხელმძღვანელობდა აშშ კონგრესის ბიბლიოთეკიდან ძვირფასი მიკროფილმების მიღებას, რომლებიც ფოტოგრაფირებული იყო იერუსალიმში „კლარკის“ მიერ.

ვლ. უზნაძე გარდაიცვალა 1967 წლის ნოემბერში 62 წლის ასაკში. იგი იყო იდეალური ბიბლიოთეკარი, რომელიც მუდამ მზად იყო დახმარებოდა სხვადასხვა დარგის მეცნიერთ.

ვლ. უზნაძემ დიდი ღვაწლი გასწია საბიბლიოთეკო კადრების მომზადებისთვის. ნაყოფიერი იყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის ხელშეწყობა შემდგომი დაოსტაგებისათვის, იყო გულისხმიერი, მომთხოვნი, საკმაოდ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ხელმძღვანელი, რომელიც თანამშრომელთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. შეიძლება ითქვას, რომ ის ვალდებულად წავიდა ცხოვრებიდან და საბიბლიოთეკო დარგში წარუშლელი კვალი დატოვა.



ალექსანდრე ლორია

# სსრკ-ის ღვაწლმოსილი კაცისა

(ნოდარ გურგენიძე – 70)

მხოვანი, მოხდენილი, ლამაზი გარეგნობის კაცი იყო, ღირსი და მუდამ მომომილი ქცევისა, ღმირიანი, ხალისიანი, თავმდაბალი და ყურადრებიანი. უყვარდა სიკეთის თესვა, კაცისთვის მხარში ამოდგომა, ხელის გამართვა. სიგყვის კაცი იყო – იგყოდა – აასრულებდა. გულიანი სიცილი იცოდა. თვითონაც ხუმრობდა და სხვის ხუმრობასაც იგანდა, საოცარი ირონიის გრძნობა ჰქონდა. ამ დროს სხვას თუ ისრებს ესროდა, არც თავის თავს ინდობდა ხოლმე. კოლეგებში, ამხანაგებსა თუ ნაცნობ-მეგობრებში ღიმილი სიყვარულით სარგებლობდა. როგორც ოჯახის მეთაური, ხომ უბაღლო იყო. შინ მუდამ სიხარული და ღმირი შეჰქონდა. გარეგნულად, ვითომ გამწყვრალი, შინაგანად ყოველთვის შემნდობი და მიმგევებელი იყო. გულსყურით უსმენდა სხვას და თვითონაც სასიამოვნოდ საუბრობდა.

ხომ ასეთი რბილი ჩანდა, მაგრამ უსინდისობას, ორპირობას, ღალატს, უსაქმურობას არავის აპატიებდა. გაჯავრებაც იცოდა, როცა ეს საჭირო იყო, მაგრამ უსამართლო არასოდეს ყოფილა. მომთხოვნი კაცის სახელი ჰქონდა და ვერავინ გაუბეზავდა არ გაეკეთებინა ის, რაც ევალებოდა.

ფენომენალური მეხსიერების პაგრონი იყო. არასოდეს არაფერი დაავიწყდებოდა. ნიჭთან შენივეთებული კარგი მეხსიერება მას საშუალებას აძლევდა უმაღლეს ღონებზე დაუფლებოდა სპეციალობას, სცოდნოდა ბევრი რამ, ყოფილიყო ერუდიტი და უაღრესად განათლებული ადამიანი.



თავისი ნიჭის, მონღომების, საქმის სიყვარულისა და კეთილსინდისიერების წყალობით ის უმაღლესი რანგის პროფესიონალს წარმოადგენდა. საბიბლიოთეკო საქმეში უგყუარ ექსპერტად ითვლებოდა, ხოლო როგორც ორგანიზატორი, მმართველი და ხელმძღვანელი, ნამდვილად უბაღლო იყო.

ასეთად ვიცნობდით მას ჩვენ – მისი ნაცნობ-მეგობრები, ასეთად იცნობდნენ კოლეგები, თანამშრომლები, ახლობლები.

სხვა ბევრი ღირსეობაც ჰქონდა – ყველაფერს ვერ იგყვი, მაგრამ საკმარისია ითქვას: ნოდარ ანგონის ძე გურგენიძე იყო კეთილშობილი ადამიანი, სამოგალო საქმისთვის თავდადებული, ღიმი პროფესიონალი, ღირსეული მოქალაქე, ოჯახის ბურჯი და ადამიანებთან ურთიერთობით გამორჩეული პიროვნება.

გურგენიძის ეს შტო ახალციხელი კათოლიკეებიდან წარმოსდგება. თვითონ არ იყო რე-

ლიგიური რწმენის ბრმა მიმდევარი, მაგრამ ყოველთვის იცავდა კანონიკურ აღათ-წესებს, აღნიშნავდა მთავარ წმინდა ღლეებს და ეს ოჯახში გრადიციად იყო დამკვიდრებული: მისი მეუღლე – ქალბატონი დიანა, რომელიც უკანასკნელ ნერვამდე ბრწყინვალედ იცნობდა ქმარს, იყო ის ძალა, რომელიც მას სამოქმედო ენერჯიას სძენდა, უორკეცებდა ძალას, ჰმაგებდა მოქმედების ხალისს. მათი ოჯახი ნამდვილად სამაგალითო იყო, რაზედაც მეგყველებს აქ გამრდილი თაობა – შვილები და შვილიშვილები.

ნოდარ გურგენიძეს არ არგუნა ბედმა დიდხანს ეცხოვრა. დაიბადა 1935 წლის 13 დეკემბერს და 1999 წლის 31 მარგს გარდაიცვალა. სამსახურში, თავისი მოვალეობის შესრულების პროცესში დაიღუპა. უმცყუნა გულმა, რომელმაც ვერ გაუძლო დაუღალავ შრომას, მუდამ მოუსვენრობას, დაძაბულობას. უკანასკნელ წვეთად იქცა ის უკანონობა, უხეშობა, ძალადობა, რომელიც მისი სამსახურებრივი მოვალეობის დაცვის დროს შეემთხვა.

ნოდარ გურგენიძე მოულოდნელად, ერთბაშად მიიცვალა და ვინ იცის, რამდენი რამის გაკეთებას კიდევ შეძლებდა, რამდენი გეგმა ჰქონდა, რამდენ სასიკეთო საქმეს შეეჭიდებოდა. წავიდა და დაგვიტოვა უზალო სახელი. ის ხომ ერთ-ერთი ყელაზე გამორჩეული და ცნობილი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფი, საბიბლიოთეკო საქმის დიდი ორგანიზატორი იყო.

1958 წელს წარჩინებით დაამთავრა ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარულმა მოიყვანა აქ მეღალმე სკოლაღამთავრებული ყმაწვილი, რომელიც მონღომებით შეუდგა სპეციალობის დაუფლებას. დამთავრებისთანავე ვლ. უზნაძემ, რომელიც ამ დროს საქ. მეცნიერებათა აკადე-

მიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, სხვა წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან ერთად, ისიც მიიწვია თავის დაწესებულებაში სამუშაოდ. თავდაპირველად რიგით თანამშრომლად დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე იწყება მისი დაწინაურება სამსახურებრივ, სარბიელზე. ჯერ დამუშავების განყოფილების გამგედ გადაჰყავთ, ხოლო 1967 წლიდან – დირექტორის მოადგილედ. 1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი დირექტორი იყო.

ნოდარ გურგენიძე წარმატებულ ორგანიზაციულ საქმიანობასთან ერთად, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1997 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. სრულიად ახალგამრდა შეუდგა ის ბიბლიოგრაფიული მაცვენებლების შედგენას. გამოაქვეყნა „შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები და ხელნაწერები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში“. მისი მოღვაწეობის შედეგად წარმატებულად მუშაობდა ბიბლიოთეკის საგამომცემლო სამსახური. არაერთი ცნობილი მეცნიერის ნაშრომი გამოქვეყნებულა აქ საგამომცემლოდ მომზადებული. თვითონ ნ. გურგენიძე უზალო რედაქტორი იყო. რამდენიმე ათეული წიგნის რედაქტორად გვევლინება იგი. სისტემატურად მონაწილეობდა მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოქვეყნებული გამოცემების ბიბლიოგრაფიის შედგენასა და დაბეჭდვაში.

ნოდარ გურგენიძის თანაავტორობით მნიშვნელოვანი მონოგრაფიები და ბიბლიოგრაფიული ნაშრომები გამოიცა – „საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში“ (1974), „საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია“ – ორ ნაწილად (1983, 1996); ბიბლიოგრაფიული ქრონიკები – ცხოვრებისა და შემოქმედების მაგიაწეები: ილია ჭავჭავაძის (1987), აკაკი წერეთლის (1989), ალექსანდრე ყაზბეგის (1998), იაკობ გოგებაშვილის (2003), აგრეთვე მეთოდიკური

სახელმძღვანელო – „ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები“ (1996). გამოქვეყნებული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი სტატია როგორც ქართულ, ისე რუსულ პერიოდულ ორგანოებში. არის „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაში“ პროფესიული სტატიების თანაავტორი.

როგორც ხელმძღვანელი, ის ენერგიულად მოღვაწეობდა ბიბლიოთეკის ორგანიზაციული სრულყოფისათვის, კატალოგების მოწესრიგე-

ბასა და ბიბლიოგრაფიული მუშაობის მოგვარებაში. მისი ხელმძღვანელობით ჩაგარდა რეფორმები და ბიბლიოთეკამ საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია.

სამწუხაროა, რომ ნოდარ გურგენიძე დღეს ჩვენს შორის არ არის. მაგრამ მისი ნაღვაწი, მისი შემოქმედება ჩვენთვის ფრიალ მნიშვნელოვანია ამ მძიმე, რეფორმისგულ პერიოდში.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

ჩინათი ძველ ქართულ პერიოდულ გაომცაეეზუი (1819–1905)

**ა**რთულ პერიოდიკაში სხვადასხვა ქვეყნების შესახებ მასალის გამოქვეყნების გრადიციები აღრიღანვე იქნა ჩამოყალიბებული. ასევე აღრიღანვე ღანიწყო საქართველოში მხარეთმცოდნეობითი ინფორმაციული ღოკუმენტების შეგროვების ცღა ღა შესაგყვისი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შეღგენა. ეს კანონზომიერი მოვლენა იყო იმღენაღ, რამღენაღაც ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკას ღაარსებიღანავე (1846 წ.) ღაეკისრა გამხღარიყო კავკასიის მხარის შესახებ არსებული მასალის შეგროვებისა ღა ბიბლიოგრაფირების ცენგრი. ისიც სათქმელია, რომ ბიბლიოგრაფიის შეღგენისა ღა გამოქვეყნების საქმე უცხო არ იყო ჩვენ სწავლულთა ღა მეცნიერგათვის.

როგორც ცნობიღია, შუა საუკუნეების ევ-

როპაში, მაინც ღა მაინც, არ იყო გავრცელებული საძიებლების შექმნის გრადიციები. წიგნები თითქმის ყოველგვარი ღამხმარე აპარატის გარეშე გამოღოღა, რაც ართულეღა მეცნიერთა მღგომარეობას ამა თუ იმ თემაზე მუშაობის ღროს. მხოლოღ მეცირე რაოღენობით ვხვღებით მე-14 საუკუნის ხელნაწერებში ე.წ. ღამხმარე მაჩვენებლებს, რომლებიც, ფაქტობრივად, გექსგიღან ამოკრეფიღ ძირითად ამრთა ნუსხას წარმოაღგენღა, მე-14 საუკუნის მე-2 ნახევრამღე წიგნებს. საგნობრივი საძიებლები საერთოღ არ ერთვოღა, ღროთა განმავლობაში, ნელ–ნელა ინერგეღა ამის გრადიცია ღა ღამხმარე აპარატიც თანღათან იხვეწეღა ღა სრულყოფიღი ხღეღა. ეს ააღვიღებღა ინფორმაციის ხელმისაწვღომობას ღა ცოღნის გავრცელებას ნებისმიერ ღარგში.

ბიბლიოგრაფიული მოღვაწეობა უცხო არ იყო წინაპრებისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა ნიკო მარის აღმოჩენილი სინას მთის მონასტრის (მე-10 საუკუნის) ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელიც ერთგვარი კატალოგის ნაკვეთს წარმოადგენს. ბიბლიოგრაფიული ნაშრომის ავტორი იყო აგრეთვე ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. საყურადღებოა არჩილ მეფის თხზულებაში – „ცხოვრება მეფისა თეიმურაზის პირველისა“ 15 ქართველი მწერლის ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობების მოცემა (მე-17). კათალიკოს ანგონ პირველს (მე-8ს.1 ნახ.) თავის „წყობილსიგყვობაში“ მთელი მე-7 კარი (გვ.208-299) დათმობილი აქვს ბიბლიოგრაფიული მიმოხილვისათვის, რომელშიც იგი იძლევა ცნობას 70 „ქართველთა სიბრძნის – მოყვარეთა კაცთა მწიგნობართა“ შესახებ.

რაც შეეხება გფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოღვაწეობას ბიბლიოგრაფიის დარგში, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ის ფუნდამენტი, რაზედაც თავიდანვე ეყრდნობოდა ქართული ბიბლიოგრაფია, განსაკუთრებით ქართული პერიოდიკის მასალების აღნუსხვის დარგში.

ქართული პერიოდიკა მისი დაარსების დღიდან დიდ ყურადღებას უთმობდა სხვადასხვა ქვეყნების მასალის მოწოდებას, მაგრამ განსაკუთრებით ეს საქმე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გაფართოვდა და სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა საუკუნის დასასრულსა და ახალი საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურ მოვლენათა გამძაფრებასთან დაკავშირებით. ამ პერიოდში ქართველი მკითხველის ცნობიერებაში სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს ჩინეთი და მის ირგვლივ არსებული პროცესები.

ჩინეთი უძველესი დროიდან უზარმაზარ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა თავისი ორიგინალური, განუმეორებელი კულტურითა და პოლიტიკით. მას წიგნის, საბიბლი-

ოთეკო საქმისა და ბიბლიოგრაფიის უაღრესად მდიდარი ისტორია აქვს. აღრეულ ფეოდალურ ხანაში ჩინეთში ბევრი კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკა არსებობდა გაძრებში. შემორჩენილია რამდენიმე ბიბლიოთეკის ფონდების ნუსხები, რომლებიც შეიძლება ამ ეპოქისთვის დამახასიათებელ კატალოგებად მივიჩნიოთ.

ბინის ეპოქის ჩინელი მეცნიერი და ბიბლიოგრაფი ლიუ-სიანი ჩვენამდე მოღწეული ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის პირველ ავტორად ითვლება. საგულისხმოა, რომ ჩინელ ბიბლიოგრაფთა შორის საკმაოდ გავრცელებული იყო ცნობების გაცემა ავტორისა და მთარგმნელის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების გვიანფეოდალურ ხანაში ჩინეთი დამპყრობელთა შემდეგ საკმაოდ ქვეითდება, მისი კულტურა თითქმის მთელ აღმოსავლეთზე ვრცელდება.

საქართველოს, რომელსაც მუდამ ჰქონდა ძალიან მჭიდრო კონტაქტები წინა და შუა აზიის ქვეყნებთან, არ იქნებოდა მთლიანად გაურკვეველ ვითარებაში ისეთი დიდი, მაგრამ ფრიად შორეული ქვეყნის მიმართ, როგორსაც ჩინეთი წარმოადგენდა. ევროპულ სამონასტრო ცენტრებთან ურთიერთობა და ამ გზით საერთო ევროპული კულტურის გაცნობაც ხელს შეუწყობდა ამას, რადგანაც ევროპაში შუა საუკუნეებში, ჯერ კიდევ რენესანსამდე, უკვე ჩინეთისაკენ სავალი გზა გახსნილი იყო დასავლეთელ მოგზაურთათვის. ისიც სავარაუდოა, რომ დიდი აბრეშუმის გზებს, რომლებიც შორეული აღმოსავლეთიდან კავკასიისაკენ მოემართებოდა, ჩინური აგმოსფეროს სურნელებაც შემოეგანა. საყურადღებოა, რომ გერმინი „აბრეშუმის გზა“ მეგაფორულად გამოხატავს იმ ურთიერთობებს აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის, რომელიც ისტორიულად განაპირობებდა ეკონომიკურ და კულტურულ ღირებულებათა ურთიერთცვლას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, განსაკუთრე-

ბულად ხელმოსაჭიდი საქართველოს ისტორიაში არაფერია, რომელიც რაიმე ნიშნით ხამგასმულად გამოხატავდა ჩინური კულტურით დაინტერესებას. ერთი ცხადია, თვით ხალხურ ამროვნებაში ჩინეთი დაკავშირებული იყო რაღაც ძალიან შორეულთან, უცნაურთან, მშვენიერთან, ბრძნულთან, საოცარსა და დიდებულთან. ალბათ ამამე მეტყველებს ქართულში დამკვიდრებული საუკეთესოსა და ძალიან ძვირფასის გამომხატველი სიტყვები: „ჩინებული“, „ჩინური“ და სხვა. თუმცა მსგავსი ძირის სიტყვები „ჩენიდანაც“ (გამოჩენა) შეიძლება იყოს წარმომდგარი და ძნელია განსაზღვრო მათი წარმოშობის საწყისები. მაგრამ ჩინეთს რომ ჩვენში იცნობდნენ როგორც სიბრძნისეულ ქვეყანას, უცუარია. ამის დასტურია შოთა რუსთაველის სიტყვები, ტარიელს რომ ათქმევენებს: „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ბედა სწერია: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მგერია“.

საქართველოში ჩინეთით დაინტერესება დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ ვითარებასთან, რომელიც მე-19 საუკუნის ნახევარში იყო, ამას შემდგომში სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული ინტერესებიც დაემატა. ინფორმაციის მთავარ წყაროს ამ დროს სწორედ პერიოდიკა წარმოადგენდა, რომელიც თანდათან ფრთებს შლიდა და უფრო ოპერატიული ხდებოდა.

თუ რა ვითარება იყო ამ მხრივ, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პერიოდულ გამოცემათა ანალიტიკური აღწერილობები, რომლებიც ფებს იკიდებდნენ საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოდან და მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში აქტიურად ვითარდებოდა. ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელთა გამოცემებში ნათლად აისახა ის მასალა, რომელიც ძველ ქურნალ-გამბეთებში იყო გამოქვეყნებული ჩინეთთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, პირველი პერიოდული ორგანო, რომელმაც და-

იწყო ბიბლიოგრაფიული მასალის გამოქვეყნება „კავკაზკი კალენდარი“ იყო. შემდეგ 1908–1913 წლებში პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ შეადგინა სტატიების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, რომელიც რუსეთის აკადემიამ 1916 წელს გამოაქვეყნა. მასში აღწერილი იყო 1852–1910 წლებში ქართულ ქურნალ-გამბეთებში მოთავსებული მასალა.

ძველი ქართული გამბეთებისა და ქურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების შედგენამე მუშაობდნენ როგორც ცალკეული სპეციალისტები, ისე ავტორთა კოლექტივები და კორპორაციები. პირველი ქართული გამბეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია შეადგინა ან. კასრაძემ – „ქართული გამბეთის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (1942 წ.) მას მოჰყვა შემდეგ კაპიტალური გამოცემები; რამდენადაც ა. კასრაძის შედგენილი ბიბლიოგრაფია სავსებით აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, ის მიჩნეულ იქნა პირველ გომად, დანარჩენი მასალა გამოიცა 5 ტომებად. რევოლუციამდელი ქართული ქურნალების აღწერილობა ითავა საქართველოს რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ ცნობილი ქართველი ბიბლიოგრაფის თამარ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით. გამოიცა „ქართული ქურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამი ნაკვეთი, რომელშიც 1852–1905 წლების მასალებია თავმოყრილი.

დასახელებულ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებში მოცემული მასალა ჩინეთის შესახებ კარგ წარმოდგენას იძლევა ამ ქვეყნის მიმართ ქართველი ხალხის ინტერესების ხარისხის შესაფასებლად.

საერთოდ, ძველი ქართული წერილობითი ძეგლები არაფერს გვეუბნებიან ჩინეთზე, თუმცა ქართულ ლეგენდებსა და მითებში აშკარად იგრძნობა კავკასიისა და შორეული აღმოსავლეთის კულტურათა გადაკვეთა. ქართული

ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“ და შორეული აღმოსავლეთის ზღაპარი „ურუშიმაბე“ სიცოცხლე-სიკვდილის ფილოსოფიური აღქმის თვალსაზრისითა და მხაგვრული დეგალებით ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან. საინგერესოა, რა გზით და როგორ გავრცელდა ეს ლეგენდა კავკასიასა და შორეულ აღმოსავლეთში. ეს ნამდვილად სერიოზულ კვლევას ელოდება.

მაგრამ უკვე ახალ საუკუნეებში სავსებით იცვლება დამოკიდებულება ამ შორეული, დიდი ქვეყნის მიმართ. ქართული პერიოდული ორგანოები საკმაოდ აშუქებენ ჩინურ თემატიკას, რისი დასკვნის უფლებას გვაძლევს ის ანალიზი, რომელიც გაკეთდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის საფუძველზე. უეჭველად მისასაღმებელია იდეა, რომლის მიზანია ჩინეთის შესახებ ქართულ პრესაში არსებული ინფორმაციის სრულად მოპოვება და ქართულ-ჩინურ-რუსულ ენოვანი კაგალოგის შედგენა.

არსებული ბიბლიოგრაფიული წყაროების საფუძველზე, საშუალება შეიქმნა დადგენილიყო, რომ 1819–1905 წლებში ჩინეთთან დაკავშირებით ქართულ პრესაში სულ 256 სტატია, ცნობა და ჩანაწერი გამოქვეყნდა. ჩინეთზე პირველი სტატია დაიბეჭდა 1866 წ. გაზეთ „დროებაში“. იგი ეხებოდა ჩინეთის სახალხო მეურნეობას. გამოქვეყნებული მასალების ოდენობის სტატისტიკური სქემა<sup>1</sup> საინგერესო სურათს იძლევა, თუ რამდენი სტატია რასა და რას ეხება. 206 სტატია აშუქებს ჩინეთ-საფრანგეთის, ჩინეთ-იაპონიის ომსა და პოლიტიკურ სიტუაციას; 66 ეძღვნება ჩინეთის შიდა პოლიტიკურ ვითარებას; 62-ჩინეთისა და ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობას; 36-ჩინეთ-იაპონიის იმს; 15-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას; 5-ჩინელების, ამერიკელებისა და ევროპელების ურთიერთობას; 2-ჩინეთში ქალების საკითხს; 32-იძლევა კულტუროლოგიური ხასიათის

ინფორმაციას; 1-სტატია ეძღვნება ჩინურ მუსიკას; 5-ლიტერატურას; 2-ჩინურ თეატრს; 10-ჩინეთ-კავკასიის ურთიერთობას.

ამ უკანასკნელთაგან ყველა საქართველოში ჩაის კულტურის გაშენებას ეხება, რაც განსაკუთრებით საინგერესოა ჩვენი მკითხველისთვის. პირველი ასეთი სტატია გამოქვეყნდა 1883 წელს „ივერიაში“ რუბრიკით „ბათუმიდან იუწყებიან“. მასში ლაპარაკია ჩინეთიდან ჩაის ნერგების ჩამოგანასა და ჩინელი სპეციალისტების ჩამოყვანაზე. 1886 წ. 1 ოქტომბრის გაზეთი „ივერია“ ეხებოდა ჩინეთში მყოფი ლიდა პაშკოვას განზრახვას საქართველოში ჩაის მოყვანის თაობაზე. შემდეგი სტატია გაზეთ „ივერიაში“ 1889 წლის 20 ოქტომბერს გამოაქვეყნა გ. ჩაჩუამ, იგი იხილავდა ვიამემსკის მიერ ჩაქვში ჩაის პლანტაციების გაშენების ამბავს.

გაზეთი „ივერია“ განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა ჩინეთთან დაკავშირებული მასალების გამოყენებით. სხვადასხვა დროს მან მეგად საყურადღებო სტატიები გამოაქვეყნა: „ჩაქვის საუფლისწულო მამულში“ (1895, ოქტ); ძალ-ყურძენას ფოთლის ჩაის შესახებ (1895, ნოემბ); რუბრიკაში „ახალი ამბები“ იცოობინებოდა იაპონელი მეზღვეების ჩაის შესახებ ჩაქვის საუფლისწულო მამულში (1896, მარტი); თავსდება ინფორმაცია ჩაქვში ჩაის კრეფისა და აქაურ ჩაიზე ჩინელ ოსტატთა ამრის შესახებ (1898, მაისი), ჩინელების კავკასიაში ჩაის პლანტაციების გასამართავად ჩამოსვლის თაობაზე (1899, მარტი). 1900 წ. დეკემბრის ნომერში „ივერია“ ახდენს სომხურ გაზეთ „ნორდაში“ მოთავსებული მასალის გადმობეჭდვას საქართველოსა და სომხეთში გადმოსახლებული ჩინელების შესახებ.

ჩინეთის შესახებ წერილებს აქვეყნებდნენ ისეთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები და საქმის მცოდნე სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ ი. ალლაძე, ა. აბე-



საძე, ნ. ჟორდანიას, ვლ. სოლოვიოვი, გ. ლასხი-  
შვილი, ნ. ნიკოლაძე, დ. მიქელაძე, ი. ცინცაძე,  
გ. წერეთელი, ა. გოგიაშვილი, ფ. მახარაძე, მ.  
ბოლქვაძე, ი. მაჭავარიანი, კ. კაუცკი, ვ. ნაც-  
ვლიშვილი, ი. ცისკარიშვილი, ი. მანსვეტა-  
შვილი, ი. კარგარეთელი, ლ. პაშკოვა, გ. ჩა-  
ჩუა, ა. ნიკიტიანი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო და  
სხვები.

პერიოდულ გამოცემებში მოცემულმა მასა-  
ლების შეერთებულმა რეგროსპექტულმა ბი-  
ბლიოგრაფიულმა მაჩვენებლებმა, თანდართუ-  
ლმა საკვანძო სიგეყების ინდექსებმა, საგნო-

ბრივმა რუბრიკებმა და პირთა საძიებლებმა  
შეიძლება ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს  
ჩინეთისა და ჩინური კულტურისადმი ქართველ  
საზოგადოებაში არსებული ინტერესების შე-  
მსწავლელ მკვლევარს.

– ჩინური კულტურის საზოგადოების საქა-  
რთველოს განყოფილების პროგრამით –

**მალთი ლუ ყანდარალი**

**ნინალი მალაქაძე**

**ალექსანდრა ლორია**

**ჯაზიაშვილი სოფიო**

**ჩინრაძე ლალი**


**რედაქციისგან:** ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომ სპეციალისტების მიერ შედგენილია  
„ჩინეთის შესახებ ძველ ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების მა-  
ჩვენებელი“, რომელიც წარმოადგენს ქართული პერიოდული ორგანოების ანალიტიკურ ბი-  
ბლიოგრაფიულ გამოცემებში შესულ აღწერილობათა თავმოყრას, რაც გააადვილებს ბიბლი-  
ოგრაფიულ ძიებას. მასალის სიმრავლის გამო, მისი დაბეჭდვა ჩვენს ჟურნალში ვერ ხე-  
რხდება. იმედი გვაქვს, გამოინახება საშუალება, სხვა სახით მისი გამოქვეყნებისათვის.

ინფორმაცია

გურამ თაყნიაშვილი

**ასოციაციის გაგებობა ანგარიშით ნარსდება**

**მ**ილინარე წლის 21 ოქტომბერს საქა-  
რთველოს პარლამენტის ეროვნული  
ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში გა-  
იმართა საქართველოს საბიბლი-  
ოთეკო ასოციაციის საერთო საანგარიშო  
კრება. ეს იყო ასოციაციის წევრების პირველი  
წარმომადგენლობითი შეკრება, სადაც შეჯამ-  
და ასოციაციის მიერ 2000-2005 წლების განმე-  
ვლობაში გაწეული მუშაობა. საერთო კრებას





ესწრებოდა ასოციაციის წევრთა 80%, სულ 90-ზე მეტი დელეგატი. საანგარიშო კრების მუშაობაში თბილისის ბიბლიოთეკარების გარდა, მონაწილეობდნენ ქუთაისის, გორის, ხაშურის, რუსთავის, სენაკის, ფოთის, ბუგდიდის, წყალგუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანებათა ხელმძღვანელი მუშაკები, ღირექტორები. ასოციაციის მიერ 5 წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ანგარიში კრებას წარუდგინა ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა. აღნიშნა, რომ ასოციაციამ 5 წლის განმავლობაში გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ავტორიტეტის ამაღლების, ბიბლიოთეკართა სოციალური დაცვისა და სხვ. საკითხების დამუშავების თვალსაზრისით. ასოციაციამ მოიპოვა ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით; იგი, როგორც IFLA-ს წევრი ასოციაცია, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს უცხოეთის სახელმწიფო სამოგადოებრიობასთან ურთიერთობის გაღრმავებისა და ინოვაციური პროცესების გაცნობის მხრივ. კრებაზე წარმოდგენილ იქნა ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტები, რომელთაგან მნიშვნელოვანია ელექტრონული ჟურნალების გამოყენების, საბიბლიოთეკო გერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენის, ჟურნალის დაარსებისა და სხვ. პროექტები, რომელთა რეალიზაციამ ბევრი სიახლე შეიტანა ქართულ საბიბლი-

ოთეკო პრაქტიკაში. კამათში მონაწილეები ერთსულოვანნი იყვნენ ასოციაციის საქმიანობის დადებითად შეფასების საქმეში, ხაზი გაესვა იმ ძირითად მიმართულებებით მუშაობის გააქტიურებას, რომელნიც მნიშვნელოვანია თანამედროვე საბიბლიოთეკო ცხოვრებისათვის. ძირითადი

მიმართულებებიდან 2006 წლისათვის უფრო აქტიურად იქნა მიჩნეული მუშაობა საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკებთან; გარკვეულ ძალი-



სხმევას საჭიროებს ასევე უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკების სამართლებრივი ბაზის შემუშავების პრობლემა; ასოციაციამ გარკვეული გამოცდილება დააგროვა მთავრობასთან და სამოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ასოციაციის გამგეობის წევრთა და პრეზიდენტის შეხვედრები რაიონების გამგეობის თავმჯდომარეებთან. ასეთი შეხვედრები მოეწყო ღუშეთის, ბუგდიდის, ქუთაისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ასპინძის, ახალციხის, მცხეთის, თელავის, გურჯაანის, ფოთის, მარნეულის და სხვ. რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ბიბლიოთეკების ინტერესების დაცვისა და ბიბლიოთეკართა სოციალური პირობების გაუმჯობესების საკითხი განიხილებოდა მმართველობითი აპა-

რაგის სხვადასხვა ღონეზე. საერთო კრებაზე გამოითქვა მოსაზრება ასოციაციის რეგიონალური წარმომადგენლობის ჩამოყალიბებისა და მათი მუშაობის გაძლიერების შესახებ. ამ კუთხით აუცილებლად იქნა მიჩნეული ასოციაციის გამგეობაში რაიონების წარმომადგენელთა არჩევა.

საერთო კრებაზე გაიმართა არჩევნები ფარული კენჭისყრით. მანამდე დაამტკიცეს არჩევნების დებულება, შემდეგ საარჩევნო კომისია. არჩევნები ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა გამგე-



ობის ახალი შემადგენლობა 9 კაცის რაოდენობით. მეორე ეტაპზე ასოციაციის პრეზიდენტად ახალი ვადით არჩეულ იქნა ირაკლი ღარიბაშვილი.

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს    დ ა ს ა ხ მ ა რ ე ბ ლ ა დ



ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი    ს ა კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ო    ს ქ ე ბ ა უ ი

**ს** აბილიოთეკო პრაქტიკაში არსებულმა ცვლილებებმა, სიახლეებმა, რომლებიც ამ დარგში დაინერგა, მოითხოვა ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა. საქართველოს საბიბლიოთეკო დარგში დაგროვილმა პრობლემებმა, ქსელის შემცირებამ, ბიბლიოთეკების გამსხვილებამ, არაგრადიციული გზით ფონდების განახლებამ მოითხოვა ამ პროცესების რეგულირების მეთოდური საკითხების დამატებით გაშუქება. ბიბლიოთეკებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ თანამედროვე ეტაპზე ვერ ხდებოდა მეთოდური წერილების ცალკე გამოცემა. ამდენად, რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია, ცალკეულ საკითხებზე კონსულტაციები გამოაქვეყნოს.

ბიბლიოთეკარებს, მეთოდისგებს, საბიბლიოთეკოს სფეროში მოღვაწე თანამშრომლებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ ინფორმაციები მათთვის საინტერესო, ნაკლებად გარკვეულ საკითხებზე. ჟურნალის რედაქცია შეეცდება შეძლებისდაგვარად გააშუქოს ისინი.

ამ ეტაპზე საჯარო ბიბლიოთეკებს ვთავაზობთ კლასიფიკაციის მე-2 განყოფილებაში შეგანილ ცვლილებებს. ცვლილებები განხორციელებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის კონსორციუმის მიერ. კლასიფიკატორებს ვთხოვთ, ცვლილებები შეიგანონ სისგმაგური კატალოგის მე-2 განყოფილებაში – რელიგია, ათეიზმი, წარმოდგენილი ცხრილების მიხედვით. სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკებს

შეუძლიათ გამოიყენონ ორნიშნა დანაყოფები (ინდექსები 2-14, -29-მდე). სისგემატიზაციის სპეციალისტებისათვის ადვილი გასაგებია, რომ ძირითად ინდექსს – 2-ს, მარჯვნივ უერთდება ქვეგანყოფილება სპეციალური განმსაზღვრელის სახით: 2-23- წმინდა წიგნები, რელიგიური ტექსტები. ბიბლიოთეკებში დაცული ამ განყოფილების თითოეულ ეგზემპლარზე გადაკეთდება შიფრი, შესაბამისად ორივე კატალოგის ჩანაწერებში. ცხრილში უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი ქრისტიანული რელიგიის (27) ამსახველი ლიტერატურა. იცავენ რა რელიგიურ ნეიტრალიტეტს, ბიბლიოთეკები ვალდებული არიან თავიანთ ფონდებში შეძლებისდაგვარად წარმოადგინონ თანამედროვე სასულიერო მიმდინარეობათა ამსახველი ლიტერატურა.

**2 რელიგია. ღმერთმსახურება  
ძირითადი დანაყოფები**

- 2-14 ღმერთი
- 2-17 სამყარო
- 2-18 ადამიანი
- 2-23 წმინდა წიგნები. რელიგიური ტექსტები
- 2-42 რელიგიური ეთიკა
- 2-55 რელიგიური წეს-ჩვეულებები
- 2-56 რელიგიური დღესასწაულები
- 2-7 რელიგიის ორგანიზაცია და მართვა
- 2-725 რელიგიის მსახური, მღვდლები.
- 2-74 რელიგიური სამართალი
- 2-76 მისიონერთა მოღვაწეობა
- 2-78 რელიგიური ორგანიზაციები
- 2-79 სექტები
- 23 ინდოეთის რელიგია
- 233 ინდუიზმი
- 234 ჯაინიზმი
- 24 ბუდიზმი**
- 25 ანტიკური პერიოდის რელიგია**
- 256 სხვადასხვა რეგიონების რელიგიები
- 26 იუდაიზმი**
- 27 ქრისტიანობა**

- 271 აღმოსავლეთის ეკლესია
- 271. 2 მართლმადიდებლური ეკლესია
- 272 რომის კათოლიკური ეკლესია
- 279 დანარჩენი ქრისტიანული რელიგიები
- 28 ისლამი**
- 29 თანამედროვე სასულიერო მიმდინარეობანი**
- განყოფილებათა შემდგომი დანაწევრება:**
- 2-2 რელიგიური დამოწმებები, ღმერთთა-ყვანისმცემლობა
- 2-29 რელიგიური ლიტერატურა, პოეზია, დრამა, პიესები
- 2-3 პიროვნება რელიგიაში, სწავლულები, რეფორმატორები, ფილოსოფოსები
- 2-4 რელიგიური მოღვაწეობა, რელიგიური პრაქტიკა
- 2-46 დახმარება და მხარდაჭერა, მოწყალეობის გაღება. მეურვეობა და ზედამხედველობა
- 2-472 რელიგიური სწავლება
- 2-48 მზუნველობას მოკლებული სოციალური ჯგუფები, ბავშვები, მოხუცები, ავადმყოფები, ინვალიდები
- 2-5 ღმერთმსახურება. კულტი, წეს-ჩვეულებები და ცერემონიები
- 2-535 მუსიკა ღმერთმსახურებაში
- 2-545 მაგია
- 2-552 ცხოვრებისეული წეს-ჩვეულებები, დაბადება, სიცოცხლე, ქორწინება, დაკრძალვის ცერემონიები
- 2-584 სულიერი ცხოვრება, ასკეტიზმი, მისტიციზმი
- 2-6 რელიგიური პროცესები, დიალოგი რელიგიებს შორის, ეკუმენიზმი
- 2-75 რელიგიური განათლება, რელიგიური სკოლები
- 2-842 ეროვნული რელიგია
- 2-844 სახელმწიფო რელიგია
- 2-9 სარწმუნოების ისტორია
- 22 შორეული აღმოსავლეთის რელიგიები**
- 231 ვედიზმი



- 232 ბრახმანიზმი
- 239 აღმოსავლური წარმოშობის დანარჩენი რელიგიები
- 27 ქრისტიანობა**
- 27-1 ქრისტიანული ღმერთთაყვანისმცემლობა
- 27-235 ბიბლიის ვერსიები
- 27-242 ძველი აღთქმა
- 27-246 ახალი აღთქმა
- 27-247 ევანგელიზმი. მათეს, მარკომის, ლუკას და იოანეს სახარებები
- 27-277 ბიბლიის სწავლა
- 27-29 ქრისტიანული ლიტურგურა
- 27-31 იესო ქრისტე.
- 27-317 ქრისტეს მოძღვრება, მისი მოღვაწეობა
- 27-36 ქრისტიანი წმინდანები. ჰაგიოგრაფია
- 27-428 ზნეობრივი კანონები, ქრისტიანული ცნებები
- 27-43 ქრისტიანული წეს-ჩვეულებები. ოჯახი, ქორწინება
- 24-47 ქრისტიანული განათლება
- 27-522 წმინდა ადგილები
- 27-523 საეკლესიო შენობები
- 27-53 ქრისტიანული ღმერთმსახურებითი მოქმედებები: წმინდანები, ლოცვები
- 27-558 რელიგიური ცხოვრების საფეხურები, მონათვლა
- 27-563 აღდგომა, ქრისტიანული კალენდრები

- 27-584 სულიერი ცხოვრება
- 27-585 ასკეტიზმი, მისტიციზმი, განდგომა
- 27-64 ქრისტიანული საზოგადოებრივი მოძრაობები
- 27-67 ქრისტიანული დამოკიდებულება სხვა რელიგიებისადმი
- 27-72 ეკლესიები, ქრისტიანული ეკლესიოლოგია
- 27-74 რელიგიური კანონები. ქრისტიანული სამართალი
- 271 აღმოსავლეთის ეკლესია
- 271. 22 ადგილობრივი ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიები
- 271. 22 (479. 22) საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია
- 271. 72 სომხური ეკლესია
- 272 რომის კათოლიკური ეკლესია
- 274 პროტესტანტული ეკლესიები
- 279 დანარჩენი ქრისტიანული მოძრაობები და ეკლესიები: ევანგელისტები, ფუნდამენტალისტები, ორმოცდაათიანელები
- 279. 17 იელოვას მოწმეები
- 28 ისლამი**
- 28-24 ყურანი
- 28-31 მუჰამედის მოძღვრება
- 28-523 მეჩეთები
- 29 თანამედროვე სხვა სასულიერო მიმდინარეობები**

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების ცენტრი



## 2006 წლის ღირსშესანიშნავი და საინჟინერო თარიღების კალენდარი

### იანვარი

- 7 – შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისა. (ძველი სტილით 25 დეკემბერი).
- 12 – 130 წლის წინათ (1876) დაიბადა ჯეკ ლონდონი – ცნობილი ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1916 წ.
- 13 – 120 წლის წინათ (1886) გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“. გამოდიოდა 1906 წლამდე.
- 14 – ქართული თეატრის დღე.  
– 170 წლის წინათ (1836) დაიბადა მამია გურიელი – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1891 წ.
- 19 – ნათლისღება. გაცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისა.
- 27 – ნინოობა.

### თებერვალი

- 6 – 85 წლის წინათ (1921) დაიბადა მიხეილ თუმანიშვილი – ქართველი რეჟისორი, სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1996 წ.
- 8 – დავითობა: ხსენება წმიდა დავით მეფისა აღმაშენებლისა.
- 10 – 65 წლის წინათ (1941) დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- 11 – 70 წლის წინათ (1936) დაიბადა ბაჩანა ბრეგვაძე – ქართველი მწერალი, მთარგმნელი.
- 12 – 140 წლის წინათ (1866) დაიბადა შიო მღვიმელი (ქუჩუკაშვილი) – მწერალი, ქართული საყმაწვილო ლიგერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1933 წ.

- 17 – 100 წლის წინათ (1906) დაიბადა აგნია ბარგო – რუსი მწერალი ქალი. გარდაიცვალა 1981 წ.
- 24 – 160 წლის წინათ (1846) დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა – ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა.

### მარტი

- 3 – დედის დღე.
- 4 – 85 წლის წინათ (1921) შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა  
– 90 წლის წინათ (1916) დაიბადა შალვა ცხადაძე – ქართველი მხატვარ-გრაფიკოსი (საბავშვო წიგნის გამორჩეული მხატვარი). გარდაიცვალა 1975 წ.
- 5 – 75 წლის წინათ (1931) დაიბადა თამაზ ჭილაძე – მწერალი, ილია ჭავჭავაძისა და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი.
- 8 – ქალთა საერთაშორისო დღე.  
– 80 წლის წინათ (1926) დაიბადა ლადო მრელაშვილი – ქართველი მწერალი.
- 14 – 120 წლის წინათ (1886) დაიბადა ვასილ ამაშუკელი – პირველი ქართველი კინოოპერატორი და კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1977 წ.
- 18 – 110 წლის წინათ (1896) დაიბადა ლადო გულიაშვილი – ქართველი ფერმწერი, საქსახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1980 წ.
- 21 – საქართველოს მესამე მთავრის დღე.  
– ქართული ქურნალისტიკის დღე.

- 100 წლის წინათ (1906) დაიბადა სამედ ეურლუნი – ამერბაიჯანელი მწერალი. გარდაიცვალა 1956 წელს.
- 26 – 85 წლის წინათ (1921) დაიბადა ქეთევან ჭილაშვილი – ქართველი საბავშვო მწერალი.
- 27 – თეატრის საერთაშორისო დღე

## აპრილი

- 2 – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.
- 5 – 105 წლის წინათ (1901) დაიბადა ელენე ახვლედიანი – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, საქ-ს სახალხო მხატვარი. გარდაიცვალა 1975 წ.
- წელს სრულდება გელათის აკადემიის 900 წელი (1106)
- 7 – ხარება. ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა.
- 9 – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე. (1989 წ.)
- 12 – კოსმონავტიკის დღე. 45 წლის წინათ (1961) „ვოსტოკ“ კოსმოსურმა ხომალდმა, რომელსაც კოსმონავტი მფინავი ი. გაგარინი მართავდა, მსოფლიოში პირველმა მოახდინა ორბიტული კოსმოსური ფრენა.
- 13 – 120 წლის წინათ (1886) დაიბადა სანდრო ახმეტელი – ქართველი რეჟისორი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1937 წ.
- 14 – ქართული ენის დღე.
  - 90 წლის წინათ (1916) დაიბადა შალვა ამისულაშვილი – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1981 წ.
- 18 – ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.
- 22 – დედამიწის მსოფლიო დღე.

- 23 – წიგნის საერთაშორისო დღე. საქართველოს საბიბლიოტეკო კვირეულის დასაწყისი
- 130 წლის წინათ (1876) დაიბადა ივანე ჯავახიშვილი – ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1940 წ.
- ა დ დ გ ო მ ა
- 24 – ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე.
- 30 – საქართველოს ბიბლიოთეკარის დღე.

## მაისი

- 2 – 65 წლის წინათ (1941) გაიხსნა თბილისის მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე.
- 3 – 65 წლის წინათ (1941) დაიბადა ნონა გაფრინდაშვილი – მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭაღრაკში.
- 4 – 90 წლის წინათ (1916) დაიბადა რობერტ სტურუა. საქართველოს სახალხო მხატვარი. გარდაიცვალა 1982 წ.
- 6 – 60 წლის წინათ (1946) მონგე კარლოში დაიდგა ბალეტი „შოთა რუსთაველი“.
  - 145 წლის წინათ (1861) დაიბადა რაბინდრანათ თაგორი – ინდოელი მწერალი, ჰუმანისტი და საზოგადო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1941 წ.
- 9 – ფაშისგურ გერმანიაზე გამარჯვების დღე-სასწაული.
  - 110 წლის წინათ (1896) დაიბადა დემნა შენგელია – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1980 წ.
- 12 – 45 წლის წინათ (1961) თბილისში მტკერის მარჯვენა სანაპიროზე გაიხსნა ობელისკი 300 არაგველის გმირობის აღსანიშნავად.
- 14 – თამარობა. ხსენება წმიდა კეთილმორწმუნე ქართველთა დიდი მეფისა თამარისა.

- 17 – 100 წლის წინათ (1906) დაიბადა ალექსანდრე ბუკია – ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, საქ-ს სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1976 წ.
- 18 – 150 წლის წინათ (1856) დაიბადა ვასილ ბარნოვი – ქართველი მწერალი და პედაგოგი. გარდაიცვალა 1934 წ.
- 21 – 70 წლის წინათ (1936) დაიბადა იორამ ქემერგელიძე – ქართველი პოეტი.
- 25 – 80 წლის წინათ (1926) დაიბადა როდამ ჩაჩანიძე, ქართველი მწერალი.
- 26 – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე.
- 27 – 55 წლის წინათ (1951) საგურამოში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.
- 28 – 130 წლის წინათ (1876) დაიბადა იაკობ ნიკოლაძე – ცნობილი ქართველი მოქანდაკე. გარდაიცვალა 1951 წ.

## ივნისი

- 1 – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.  
– ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა.  
– 100 წლის წინათ (1906) დაიბადა ანდრია ბალანჩივაძე – ქართველი კომპოზიტორი. სახალხო არგისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1992 წელს.
- 5 – გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 12 – 70 წლის წინათ (1936) მოსკოვში სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში პირველად დაიდგა მაქარიას ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.
- 14 – 190 წლის წინათ (1811) დაიბადა ჰარიეტი ბიჩერ სტოუ – ამერიკელი მწერალი ქალი. გარდაიცვალა 1896 წ.
- 22 – 45 წლის წინათ (1941) ფაშისგური გერმანია ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დიდი სამამულო ომის დასაწყისი.
- 24 – 70 წლის წინათ (1936) დაიბადა რემო ამაშუკელი, ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

- 28 – 155 წლის წინათ (1851) დაიბადა ევბგერიხე გაბაშვილი – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1938 წ.

## ივლისი

- 1 – 55 წლის წინათ (1951) სოფ. დიდ ჯიხაიშში (სამგრელიის რ-ნი) გაიხსნა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, დაიდგა ძეგლი.
- 2 – მიმდინარე წელს სრულდება 1055 წელი მას შემდეგ, რაც ქართველმა მწერალმა გიორგი მერჩულემ დაწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (951 წ.) ძველი ქართული მხატვრული პროზის ბრწყინვალე ძეგლი.
- 10 – 85 წლის წინათ (1921) დაიბადა რევამ ლალიძე – ქართველი კომპოზიტორი, სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1981 წ.
- 13 – 70 წლის წინათ (1936) დაიბადა ვაჟა აბარაშვილი – ქართველი კომპოზიტორი.
- 15 – 400 წლის წინათ (1606) დაიბადა რემბრანდტი, ჰოლანდიელი ფერმწერი, მხატვარი გრაფიკოსი. გარდაიცვალა 1660 წ.
- 16 – 85 წლის წინათ (1921) შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.
- 18 – 195 წლის წინათ (1811) დაიბადა უილიამ თეკერეი – ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1863 წ.
- 21 – 70 წლის წინათ (1936) დაიბადა რევამ აბარაშვილი – ქართველი მწერალი და კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 30 – 110 წლის წინათ (1896) დაიბადა პარმენლორია – ქართველი მწერალი, გარდაიცვალა 1978 წ.

## აგვისტო

- 2 – ილიაობა.
- 9 – 80 წლის წინათ (1926) დაიბადა თენგიზ გოგოლაძე – ქართველი მწერალი, გარდაიცვალა 1996 წ.





- 12 – 130 წლის წინათ (1876) გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“ – ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისათვის („დედა ენა“).
- 12 – 885 წლის წინათ (1121) დიდგორის ველზე ქართველთა ლაშქარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით, სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკთა კოალიციური ჯარი.
- 15 – 135 წლის წინათ (1771) დაიბადა ვალტერ სკოტი – ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1832 წ.
- 16 – 135 წლის წინათ (1871) დაიბადა ბაქარია ფალიაშვილი – ქართველი კომპოზიტორი და სამოგალო მოღვაწე. ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სახალხო არგისტი. გარდაიცვალა 1933 წ.
- 17 – 100 წლის წინათ (1906) დაიბადა უჩა ჯაფარიძე – ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი, სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1988 წ.
- 24 – საქართველოს კონსტიტუციის დღე.
- 27 – 135 წლის წინათ (1871) დაიბადა თეოდორ დრაიზერი – ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1930 წ.
- 29 – 310 წლის წინათ (1696) დაიბადა ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი, გარდაიცვალა 1757 წ.
- 29 – 1595 წლის წინათ (411) დაიბადა პეტრე იბერი, ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი. გარდაიცვალა 501 წ.

- 90 წლის წინათ (1916) დაიბადა ალექსანდრე საჯაია – ქართველი პოეტი. დაიღუპა 1944 წ.
- 11 – 140 წლის წინათ (1861) დაიბადა დავით კლდიაშვილი – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1931 წ.
- 21 – შობა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა მარიამისა.
- 27 – ტურიზმის მსოფლიო დღე.
- 30 – 100 წლის წინათ (1906) დაიბადა სესილია თაყაიშვილი – ცნობილი ქართველი მსახიობი. სახალხო არგისტი რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1984 წ.

## ოქტომბერი

ოქტომბრის პირველი კვირა სპორტის დღე.

- 1 – მუსიკის საერთაშორისო დღე.
  - ხანდაზმულთა და თაობათა სოლიდარობის დღე.
  - 70 წლის წინათ (1936) დაიბადა ჯანსუღ კახიძე – ქართველი დირიჟორი, კომპოზიტორი, სახალხო არგისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 2002 წ.
- 14 – მცხეთობა, სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული.
  - 115 წლის წინათ (1891) დაიბადა გრიგოლ რობაქიძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1956 წ.
- 20 – 900 წლის წინათ (1106) გელათის მონასკერთან დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით დაარსდა გელათის აკადემია – ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა.
- 22 – 80 წლის წინათ (1921) დაიბადა ნანა კანდელაკი – ქართველი მწერალი ქალი.
- 24 – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღე.

## სექტემბერი

- 1 – ცოლის დღე.
  - მშვიდობის მსოფლიო დღე.

- 25 – 40 წლის წინათ (1966) მოსკოვის ერთ-ერთ მაგისტრალზე „ბოლშაია გრუმინსკაიას“ ქუჩის სკვერში საბეიმოდ გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი. (მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი).
- 125 წლის წინათ (1881) დაიბადა პაბლო პიკასო – ცნობილი ფრანგი მხატვარი. გარდაიცვალა 1973 წ.
- 29 – რუსთაველის დღე, პოემის დღე.
- 120 წლის წინათ (1886) დაიბადა გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე) – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1947 წ.
- ოქტომბრის ბოლო კვირა – ძმობისა და მეგობრობის დღესასწაული – თბილისობა.

## ნოემბერი

- 1 – 75 წლის წინათ (1931) გამოვიდა „სალიგერაგურო გაზეთი“-ს პირველი ნომერი.
- 2 – 1530 წლის წინათ (476-483) დაიწერა „შუშანიკის წამება“ – ერთ-ერთი უძველესი ძეგლი ქართული ორიგინალური მწერლობისა.
- 4 – 60 წლის წინათ (1946) შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა კომიტეტი – იუნესკო.
- 10 – ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.
- საქართველოს პოლიციის დღე.
- 15 – 120 წლის წინათ (1886) ლალო აღნიაშვილმა დააარსა ქართველ მომღერალთა პირველი ეთნოგრაფიული გუნდი – „ქართული ხორო“.
- 17 – 80 წლის წინათ (1926) დაიბადა კოტე მახარაძე – ქართველი მსახიობი, სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 2004 წ.
- 18 – 85 წლის წინათ (1921) დაიბადა ჭაბუა ამირეჯიბი – ქართველი მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 19 – 75 წლის წინათ (1931) დაიბადა ჯანსუღ ჩარკვიანი – ქართველი პეტი. შოთა რუსთაველისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.

- 23 – გიორგობა. ხსენება წმიდა დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგისა.
- 24 – 90 წლის წინათ (1916) დაიბადა რევამ მარგიანი – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1984 წ.
- 28 – 125 წლის წინათ (1881) დაიბადა შტეფან ცვაიგი – ავსტრიელი მწერალი. გარდაიცვალა 1942 წ.
- 30 – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკთა დღე.

## დეკემბერი

- 1 – 60 წლის წინათ (1946) სოფ. წინანდალში გაიხსნა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.
- 3 – 110 წლის წინათ (1896) დაიბადა ნიკოლოზ ტიხონოვი – რუსი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1979 წ.
- 7 – საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დღე.
- 8 – 80 წლის წინათ (1926) დაიბადა რემო ჩხეიძე – ქართველი კინორეჟისორი. სახალხო არტისტი.
- 10 – საქართველოს „ადამიანთა უფლებების დაცვის“ დღე.
- 20 – 80 წლის წინათ (1926) დაიბადა რევამ ინანიშვილი – ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1991 წ.
- 120 წლის წინათ (1886) დაიბადა დიმიტრი უზნაძე – ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1950 წ.
- 23 – საქართველოს მედიცინის მუშაკთა დღე.
- 25 – 50 წლის წინათ (1955) თბილისში მოეწყო პირველი ტელეგადაცემა.
- შობა.

**შემდგენელი: რუსუდან აპირიანაშვილი**  
 – ლალო ასათიანის სახ. სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე.

## საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

□ 21 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის საანგარიშო საარჩევნო კრება. არჩეული იქნა გამგეობის ახალი შემადგენლობა 4 წლის ვადით. უფრო ვრცელი ინფორმაცია ამ კრების შესახებ ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში ქვეყნდება.

□ 4 ნოემბერს საქართველოს ლ. ასათიანის სახელობის რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკების გამგეთა თათბირ-სემინარი. ერთი დღის განმავლობაში სემინარის მონაწილენი გაეცნენ ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების აქტუალურ საკითხებს. თათბირზე აღინიშნა საბავშვო ლიბრარტორიით დაკომპლექტების მდგომარეობის სირთულეები. ბიბლიოთეკების გამგეთა ყურადღება გამახვილებულ იქნა დაკომპლექტების ალტერნატიული წყაროების ძიების აუცილებლობის საკითხებზე.

□ 4 ნოემბერს თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (დირექტორი გ. სკურუა) ჩატარდა თბილისის დიდი ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფთა სემინარი. ყურადღება მიექცა ამ სფეროში სტანდარტების დანერგვასა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების საკითხებს.

□ 10-18 ნოემბერს თბილისში მიმდინარეობდა ზრდასრულთა განათლების კვირეული „სწავლა სიბერემდე“. კვირეულის ორგანიზატორები იყვნენ ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; კვირეულის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სა-

ქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

□ ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიღებული იქნა რუსულენოვანი ლიბრარტორის დიდი პარტია. როგორც დაკომპლექტების ცენტრიდან გვაცნობეს, შემოსული წიგნების დიდი ნაწილი შეეხება ეკონომიკის, მარკეტინგის, ისტორიის, ფილოსოფიის, ეთნოპოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებს. შემოსულ წიგნებში არის იშვიათი გამოცემები, ალბომები, რუსული და ევროპული ლიბრარტორის კლასიკოსთა ნაწარმოებები. სულ ბიბლიოთეკამ მიიღო 2000 ეგზემპლარი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 17 ათას აშშ დოლარს.

□ ნოემბრის შუა რიცხვებში საქართველოში გერმანული კულტურის ცენტრის საინფორმაციო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ვიბკე ვაიგანდი შეხვდა ჯერ თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობის სტუდენტებს, შემდეგ თბილისის ე. თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ამავე სპეციალობის სტუდენტებს. გაშუქდა ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხები.

□ 28 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო ამ ბიბლიოთეკისა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივი გამოფენა „საქართველოს წმინდანთა დასი“, გამოფენის გახსნას დაესწრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

□ ლექსების დასაწყისში ქუთაისში მოეწყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტთან – ი. ღარიბაშვილისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და გურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ნინო მეიფარიანთან. შეხვედრაზე განიხილეს ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკების ქსელის ოპტიმიზაციის საკითხები.

□ 10 ლექსებზე ცეცხლი გაუჩნდა ქ. თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების № 22-ე საბავშვო ბიბლიოთეკას. 1935 წლიდან ამ შენობაში განთავსებული ბიბლიოთეკა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თავის მრავალეროვან მკითხველებში. ხანძრის შედეგად მთლიანად დაიწვა ბიბლიოთეკის 50 ათასზე მეტი წიგნადი ფონდი.

რ ე გ ი უ

დავით გიგინეიშვილი

„მუსიკალური ზაფხული მიუნხენში“



XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაფუძნებული მიუნხენის საზაფხულო საოპერო ფესტივალი, რომელიც გრადიციულად გარდება ბავარიის ნაციონალურ თეატრში, 2005 წელს უჩვენებდა 18 ოპერასთან ერთად ბალეტს, სიმფონიურ და კამერულ კონცერტებს და ვოკალისგების სოლოკონცერტებს. დაგეგმილი იყო 3 საოპერო პრემიერა: კარლ ამადეუს ჰარგმანის „სიმპციუს სიმპლიციმუსი“, ვერდის „ბელის ძალა“ და ჰენდელის „ალცინა“. და ეს ყველაფერი (სამუშაოდ 50 წარმოდგენა) უნდა მოთავსებულიყო 35 დღეში, ივნისის ბოლო რიცხვებამდე. აღსანიშნავია, რომ ივლისის ბოლოდან მოყოლებული მთელი აგვისტო გრძელდება მაღალკლასის ცნობილი ფესტივალი. იმის გათვალისწინებით, რომ მაღალკლასი იმყოფება საათნახევრის სავალზე მიუნხენიდან, ბევრი მუსიკის მოყვარული გადაბმულად ესწრება ორივე ფესტივალს. ამისთვისაც გარდება სპეციალური საზაფხულო გურები, როგორც ამე-

რიკელი, ასევე ევროპელი და ამიელი გურისტებისათვის.

ფესტივალის წინასწარი პროგრამის გაცნობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო, პირველ რიგში, ცნობილი ვოკალისტების გვარებმა და მხოლოდ შემდეგ – კონკრეტულმა ნაწარმოებებმა. ფესტივალის პროსოფისმა გამოიჩინა დიდი გულისხმიერება და მომცა საშუალება დავსწრებოდი რამდენიმე მათგანს. გუნოს „რომეო და ჯულიეტა“, მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“, კავალის „კალისტო“ და ჰენდელის „ალცინა“ – აი, ის სპექტაკლები, რომლებსაც დავესწარი ფესტივალის მსვლელობისას 21-დან 24 ივლისამდე. „რომეო და ჯულიეტა“-ში მოუთმენლად ველოდი ამქამად პოპულარულ არგენტინელ ტენორს მარსელო ალვარესს, „ჯადოსნურ ფლეიტა“-ში – გერმანელ ვოკალისტებს: სოპრანო დიანა დამრაუს, ტენორ რაინერ გროსგსა და ბარიტონ ჰანო მულერ-ბრახმანს, „კალისტო“-ში პირველ რიგში სახელგანთქმულ მაგდალენა კოქენას და „ალცინა“-ში – ლო ღოროთეა რიოშმანსა და ვესელინა კამაროვას.

შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლებმა გაამართლა ჩემი მოლოდინი, მიუხედავად იმისა, რომ, გამოცხადებულის თანახმად, მაგდალენა კოქენასა და ღოროთეა რიოშმანს არ მიუღიათ მონაწილეობა ფესტივალში (როგორც გავიგე, მათი ორსულობის გამო). გუნოს ოპერა (Romeo et Juliette), დამდგმელი რეჟისორის ჩანაფიქრით, მოქმედება დიდბრიტანული თანამედროვე საუნივერსიტეტო გარემოში უნდა განვითარებულიყო. ამიგომაც კოსტიუმები და დიზაინი მაქსიმალურად სადა და უბრალო იყო, მისადაგებული სტუდენტურ ცხოვრებასთან. შესაბამის უნიფორმებში გამოწყობილი ორი სასწავლებლის სტუდენტების ურთიერთდაპირი-



სპირება „სიმბოლური“ კალამკალმისგრითა და ფანქრით, პირველ სიყვარულზე გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნების გადიღებული დეკორაციების ფონზე, რეალობაში არც ისე შთამბეჭდავი აღმოჩნდა. რომ არა ალვარესის ლამაზი გემბრი, გაბედული მალღები და ზოგიერთი სხვა მომღერლის კარგად შესრულებული პარტიები (იგალიელი ანა ბონიგატიბუსი სტეფანოს და მაურიციო მურარო მამა ლაურენცის როლში), დადგმა არ დაგოვებდა დაღებით შთაბეჭდილებას. უნდა აღვნიშნო, რომ 2004 წლიდან სპექტაკლებს უძღვებოდა სახელგანთქმული მარჩელო ვიოგი, ფრანგული რომანტიული ოპერეტების უბადლო ინტერპრეტატორი, მაგრამ მისი გრაფიკული გარდაცვალების გამო, სპექტაკლებს წლევანდელ ფესტივალზე დირიჟორობდა ფრანგი ფრედერიკ შასლინი.

„კალისტო/ La Calisto“-ში, რომელიც ბავარიის სახელმწიფო ოპერის 2004-2005 წლის სეზონის პრემიერა იყო, მოიყარა თავი ბაროკო ოპერის მრავალმა ცნობილმა შემსრულებელმა: ფრანგებმა ვერონიკა ქენსმა და ღომინიკ ვისემ, იგალიელებმა მონიკა ბაჩელიმ და უმბერტო კუმომ, ამერიკელმა კონგრტენორმა ლორენს ბაზომ და სხვებმა. მთავარ პარტიაში მოგვევლინა ბრიტანელი მომღერალი სალი მეთი-



უმი. ჩემთვის მოულოდნელი იყო მისი გამოკვეთილი შარმისა და კარგი ვოკალური მონაცემების სინთეზი უბაღლო გეჟნიკასთან ურთიერთობაში, რაც ასე აუცილებელია ძველებური მუსიკის შესრულებისას. XVII საუკუნის მეორე ნახევრის იტალიელი კომპოზიტორის ფრანჩესკო კავალის ოპერების (როგორც საერთოდ ადრეულ მუსიკის) მოსმენა ჩანაწერების სახით ითხოვს გარკვეულ მომზადებას და მოთმინებასაც კი. ამიგომ, როდესაც დარბაზში განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით ახალგაზრდა მაყურებელი ვნახე, გამიკვირდა კიდევაც. მაგრამ სპექტაკლის მსვლელობამ გახსნა ამ მოვლენის მიზეზი. დევიდ ალდენის რეჟისურამ, ბუკი შიფის კოსტიუმებთან ერთად შექმნა ისეთი თვალწარმგაცი დადგმა, რომ მაყურებელი უკვე აღვილად აღიქვამდა კავალის მუსიკას. ასეთი გაბედული სინთეზი თეატრალიზაციისა და მუსიკისა წაადგა ოპერას – ყველა სცენა იყო სავსე მოქმედებითა და ირონიით. დაგვირთული სიუჟეტი, რასაც საფუძვლად დაედო ძველბერძნული მითი კალისტომე, კარგი ნიადაგი აღმოჩნდა ეროტიკული ელემენტების შემოტანისთვის, რამაც ყველა თაობის მაყურებელი მოიზიდა ოპერაში. მიუნხენის ნაციონალური ოპერის ძველებური მუსიკის ორკესტრს ხელმძღვანელობდა აივორ ბოლგონი, ბაროკო მუსიკის ცნობილი ინტერპრეტატორი. გასაოცა-

რი იყო ოპერის მოსმენა ძველებური ინსტრუმენტების თანხლებით (ვიოლა, გამბა, ლუთნა) – მათმა ქრებალობამ განსხვავებული აურა შექმნა დარბაზში, რამაც მეტი პიკანტობა შემაგა გმირების მოქმედებას.

„ჯადოსნური ფლეიგა/ Die Zauberflöte“ წარმოადგენდა 1978 წლის დადგმის ოდნავ განახლებულ ვერსიას. ამიგომაც დანარჩენი სამი სპექტაკლისაგან განსხვავებით, იგი გრადიციულ სტი-

ლში იყო გადაწყვეტილი – ბავარიის საოპერო თეატრი კოსტიუმებზე, განათებაზე და დეკორაციებზე ეკონომიას ნამდვილად არ აკეთებდა. ეფექტური იყო რამის დელოფლის გამოსვლები – დიანა დამრაუს დრამატული ხმა და უმცლომო შესრულება წარუშლელ შთაბეჭდილებას ქმნიდა. ამისათვის მან მაყურებლის გულუხვი ოვაციები დაიმსახურა. რაინერ გროსის (გამონო) ლამაზი ხმის მიუხედავად, მას ინტერპრეტაციაში ის ემოციურობა აკლდა, რაც ასე ამშვენებს მომღერალს. პაპაგენოს შემსრულებელ ჰანო მიულერ-ბრახმანს დიდი და მჭიდრო ხმა ჰქონდა, ამიგომაც უნებლიედ სულ მიჩნდებოდა წარმოსახვა, თუ რამდენად კარგი იქნებოდა იგი გრაფის როლში „ფიგაროს ქორწინებაში“. ძალზე იუმორისტული და სითბოთი სავსე იყო ოპერის ფინალში პაპაგენოსა და პაპაგენას მიზანსცენა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ორკესტრის როლი – მისი სწრაფვა და აქცენტებით სავსე შესრულება, ჩემი აზრით, არა მხოლოდ აივორ ბოლგონის, არამედ იმ დირიჟორთა მთელი პლეადის წარმომადგენელთა დამსახურებაა, რომლებიც 1979 წლიდან იდგნენ მოცარტის ამ შედევრის სადირიჟორო პულტთან.

„ალცინა/Alcina“ – ფესტივალის ერთ-ერთი პრემიერა, არა მხოლოდ უშუალო მსმენელის ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა, არამედ იგი გრანსლირებული იყო ბავარიის გელევიზიით. მი-

უნხენში სამი საოპერო თეატრია. ყველაზე დიდი გრადიციების მქონე – ჯომბუფ-მაქსის მოედანზე განლაგებული ნაციონალური თეატრი – სიძველით მეორე თეატრია. მის შემდეგ, 1901 წელს გაიხსნა მესამე საოპერო თეატრი – პრინცრეგენტთეატრი. მასში წლევანდელი ფესტივალის მსვლელობისას სრულდებოდა ორი პრემიერა – ჰარგმანისა და ჰენდელის ოპერები. დარბაზს ჰქონდა კარგი აკუსტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოუვარდებოდა ნაციონალურ თეატრის დარბაზს. „ალცინა“ ჰენდელის შემოქმედების მწვერვალია. და როგორც ბაროკო ეპოქის საუკეთესო ნიმუშებს შეეფერება, მასში უთვლელი რაოდენობის ულამაზესი არიაა, რომელსაც ძველებური მუსიკის გამოცდილი შემსრულებლები სჭირდება. მე მოუთმენლად ველოდი სპექტაკლს, რადგან მასში, გემოსხენებულ შემსრულებლებთან ერთად, პროგრამის მიხედვით, უნდა ემდერათ ვერონიკა კანგემის, სონია პრინას, ლებორა იორკს და ჯონ მარკ ეინსლის. რიოშმანის ნაცვლად ალცინას პარტიას ასრულებდა ჩემთვის საერთოდ უცნობი გერმანელი სოპრანო ანია ჰარგეროსი. მისი თხელი, მაღალი და სიმპათიური ფიგურა სრული პალიტრით ხატავდა ალცინას პერსონაჟს. მაგრამ ვოკალურად მისი დიდი დრამატული ხმა, ჩემი ამრით, ვერისგული ოპერებისათვის იყო ზედგამოჭრილი. იგი არ იყო უფერული ალცინას როლში, პირიქით, მაგრამ სხვა შემსრულებლები ამ ფონზე დაიჩრდილა, რადგან მისი ხმა არა მარტო ავსებდა, არამედ ამანბარებდა პრინცრეგენტის თეატრის დარბაზს. კაბაროვას ლამაზი ხმა ამ ფონზე პაგარა გამოჩნდა და სონია

პრინა ძლივს ისმოდა, მარტო ვერონიკა კანგემი – ძლიერი და მოქნილი სოპრანოთი (ალცინას და მორგანა) კიდე უწევდა მეტოქეობას პარტნიორს, რითაც ჩემი დიდი სიმპათია დაიმსახურა. მიზანსცენები ოსტატურად იყო დადგმული, რათა დინამიზმი შეეგანა ამ კამერულ დადგმაში. მოქმედებაში თანამედროვე მილიტარისტული ელემენტების ჩართვამ, განსაკუთრებით ბოლო აქტში, სადაც უკვე ძველი ეპოქის ყველა დეტალი გაქრა (კოსტიუმებში და დეკორაციებში), დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დარბაზში, თუმცა, მგონი, ეს ჰენდელის მუსიკას არ მიესადაგება. ორკესტრი იყო ბრწყინვალე – აქ უკვე აივორ ბოლგონმა სრულად გამოავლინა თავისი ნიჭი და გემოვნება: ტემპი ბრწყინვალე, დეტალები ფილიგრანულად გამოყოფილი, სოლო ინსტრუმენტების პარტია შესრულებულ იქნა უმაღლეს დონეზე.

თუ შევაჯამებთ ყველაფერს, შეიძლება ითქვას, რომ ვოკალის მოსასმენად მისულს, დამხვდა ღირიქორული და რეჟისორული ინტერპრეტაციები, სადაც მომღერლები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ამოცანას და არაფერს მეგს. ოპერა უკვე სანახაობაა, სადაც ერთიანი გენერალური ხაზი და ჩანაფიქრი დომინირებს. ამის მაგალითია კავალის „კალისკო“, რასაც ამგვარმა მიდგომამ მეორე სუნთქვა შთაბერა, და „რომეო და ჯულიეტა“, რამაც ამგვარი მიდგომის სისუსტე გამოავლინა. ორივე დანარჩენი სპექტაკლი გარკვეული კომპრომისი იყო ვოკალსა და სცენოგრაფიას შორის და იკავებდა შუალედურ პოზიციას აშკარა წარმატებასა და წარუმატებლობას შორის.



## დაუპიწყარი

(ქ. ფოფხაძე)



ქეთევან სპირიდონის ასულ ფოფხაძის გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისი აუნაზღაურებელია მისი ნაცნობების, მეგობრების, კოლეგების და ყოფილი სტუდენტებისთვის. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ემსახურა საქართველოში საბიბლიოთეკო დარგის განვითარების საქმეს. ჯერ კიდევ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას დაიწყო მუშაობა ბიბლიოთეკაში წიგნსაცავის გამგედ და ამ დროიდან სიცოცხლის ბოლო წლებამდე დაუღალავად ემსახურებოდა ამ დარგს.

პროფ. ანგია ბოჭორიშვილის რჩევით, ჯერ სულ ახალგაზრდა, ამთავრებს ლენინგრადის სალგიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ასპირანტურას წიგნმცოდნეობისა და წიგნის ისტორიის განხრით და მუშაობას იწყებს საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში სწავლულ მდივნად. 1954 წლიდან შეთავსებით, ხოლო 1957 წლიდან სრულ საშტაგო ერთეულზე სამუშაოდ გადადის თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე პედაგოგად. ქალბატონი ქეთევანი ლექციებს კითხულობდა წიგნის ისტორიასა და ბი-

ბლიოგრაფიაში. თითქმის ნახევარი საუკუნე იმუშავა ინსტიტუტში და ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფთა მრავალი თაობა გამოზარდა. პროფესიული, ღრმა შინაარსიანი ლექციებით, დიდი ერუდიციით, შინაგანი კულტურით და ფენომენალური მეხსიერებით სტუდენტებში განსაკუთრებულ პატივისცემასა და სიყვარულს იმსხურებდა. ყველა ყოფილი სტუდენტი, როცა სწავლის პერიოდს იგონებს, უპირველეს ყოვლისა, მას მოიხსენიებს ხოლმე.

იმ კურსს, რომელშიაც მე მომიხდა სწავლა, დიდი ბედნიერება ხვდა წილად, რომ ჩვენი ჯგუფის დამრიგებელ-ხელმძღვანელი ის იყო. დაუეწყარია თითოეული ჩვენგანისათვის პრინციპული, კეთილსინდისიერი, დედობრივად მზრუნველი, ყველასათვის მახლობელი ადამიანი. ჩვენც არ ვუცრუებდით იმედებს. მისი თავგამოდებული მეცადინეობით მხოლოდ ჩვენ ჯგუფს ხვდა ბედნიერება, მისი ხელმძღვანელობით მოსკოვსა და ლენინგრადის უდიდეს ბიბლიოთეკებში გაგვევლო პრაქტიკა. ასეთი რამ ინსტიტუტის არსებობის განმავლობაში პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა. ეს ქ-ნ ქეთოს პირადი დამსახურება იყო. უბადლო პედაგოგი, მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა და სახელმძღვანელოების ავტორი იყო. მან არ იცოდა, რა არის დასვენება, სირთულისათვის თავის აცილება, მუდამ მზად იყო, დახმარების ხელი გაეწვდინა ადამიანისთვის. იგი იყო ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიონალი, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, მრავალი სიგელისა თუ ჯილდოს



მფლობელი, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ის არის, რაც მან დაიმკვიდრა ადამიანთა გულე-ბში, მათ მეხსიერებაში – დიდი სიყვარული და სითბო, რომლითაც მუდამ საზრდოობდა.

ქელს ვიხრით მისი ხსოვნის წინაშე. წარუხო-ცელია მისი კვალი, რომელიც მან თავისი ღვა-წლით დაგოვა.

მზია გოგონიძე

## შოთა ანდრიას ძე აფაქიძე

(1937-2005)

2005 წლის 16 ივლისი მეგად მძიმე იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის – გარდაიცვალა ბიბლიოთეკის დირექტორი შოთა აფაქიძე. მისი სახით ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა.

იგი დაიბადა 1937 წლის 18 დეკემბერს, ქართველ ინგელიგენგ მშობლების ოჯახში. 1945 წელს შევიდა ქ. თბილისის ვაჟთა 1 სკოლაში, ხოლო შემდეგ დაამთავრა ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა.

1956 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაამთავრა. იმავე წლიდან სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიგერაგურის ფაკულტეტის გერმანულ განყოფილებაზე და 1968 წელს დაამთავრა წარჩინებით. იმთავითვე მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოეთთან სამეცნიერო ურთიერთობის განყოფილებაში უფროსის მოადგილედ. იმავე დროს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიგერაგურის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1970 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილების გამგედ, ხოლო 1974 წელს დაინიშნა თბილისის სახელმწიფო



უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად და 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას. ბიბლიოთეკაში მუშაობის პერიოდში ბაგონი შოთა არჩეულ იქნა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამინისტროს ცენტრალურ-მეთოდურ საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარედ.

იენისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის არსებულ სამეცნიერო-კულტურულ ხელშეკრულების საფუძველზე, იგი მოკლე ვადით სამუშაოდ მივლინებულ იქნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1987 წელი მნიშვნელოვანი თარიღი იყო სამეცნიერო ბიბლიოთეკის ცხოვრებაში. ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის I კორპუსიდან უნდა გადასულიყო საბურთალოზე, მაღლივი კორპუსის მიმდებარე გერიგორიაზე, ახალ 8 სართულიან შენობაში. 4 მილიონამდე წიგნადი ფო-

ნდის გადაგანა არც ისე ადვილი საქმე იყო, მაგრამ ბაგონმა შოთამ მობილიზაცია გაუკეთა ბიბლიოთეკის მრავალრიცხოვან კოლექტივს და მასთან ერთად თვითონაც აქტიურად ჩაება მუშაობაში.

ბაგონი შოთა ნიჭიერი, ერუდირებული და განათლებული პიროვნება იყო. იგი ქართულ და რუსულ ენებთან ერთად, შესანიშნავად ფლობდა დასავლურ ენებსაც, განსაკუთრებით გერმანულს. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები გერმანული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე: „ხელოვანის დანიშნულება, ლ. ფოიჰგვანგერის „გოიას“ მიხედვით“; „გერმანული სასაუბრო ენის ზოგიერთი „თავისებურებანი“, „ბიურგერული“ ინდივიდუალიზმის კრიტიკა თომას მანის „ფაუსტში“, თომას მანის „ჯადოსნური მთა“, როგორც პიროვნების განვითარების რომანი“. პრესაში მას მრავლად აქვს გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი მეთოდური ხასიათის სტატია საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ.

ბაგონი შოთა გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოვებული იყო როგორც საკავშირო, ისე

ადგილობრივი უმაღლესი სკოლის სამინისტროს რამდენიმე საპაგიო სიგელით; სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის მიერ 1978 წელს დაჯილდოვდა ივ. ჯავახიშვილის მედლით, ხოლო სასწავლო პროცესების სრულყოფაში შეგანილი პირადი ღვაწლისათვის 1998 წელს მიენიჭა „ღირსების ორდენი“.

შოთა აფაქიძემ ღირსეულად იცხოვრა, უნივერსიტეტისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებში, აგრეთვე მეგობრებში დიდი სიყვარული ღაღაღადა.

ის იყო ღირსეული ქართველი ინტელიგენტი, უაღრესად განათლებული, მაღალი ერუდიციის მქონე, სპეგაკი, უანგარო, უპრეგენზიო ადამიანი.

მართალია, ის ჩვენგან ადრე წავიდა, მაგრამ წარუხოცელი კვალი დატოვა. მისი უკეთილშობილესი სახე არ წაიშლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლების ხსოვნიდან.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრ. წერეთლის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები**



# საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტთა საყურადღებოდ!



დიდი ხანია, საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები თავისი შრომის აბსოლუტურად შეუსაბამო ანაზღაურებას ღებულობენ. ყოვლად გაუმართლებელია, როცა პროფესიული თვალსაზრისით თანაბარი შრომითი პროცესების შეფასება არაპროპორციულად ხდება. ბიბლიოთეკარი მეტ ლაფასებას საჭიროებს. ღღეს ეს სპეციალობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ხედავენ ისინი, ვისაც ამის ცოდნა ევალება. ხელისუფლების მხრიდან საბიბლიოთეკო საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

მიზნად ვისახავთ, წამოვიწყოთ კამპანია ბიბლიოთეკარის შრომის ანაზღაურების გაზრდისათვის. მოგიწოდებთ, აქტიურად ჩაებათ მასში. მოგვაწოდეთ ინფორმაციები ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, თქვენი წინადადებები, მოსაზრებები. გამოვიჩინოთ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის უნარი.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია


## საყურადღებო გამოცემები

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების  
ცენტრი

**ინოვაციური პროცესების მართვა  
ბიბლიოთეკაში**

მეთოდურ - ინსტრუქციული წერილი  
ბიბლიოთეკების დასახმარებლად

თბილისი 2005



**უმაღლესი განათლების  
ეროვნული სივრცისკენ**

**ბოლონიის პროცესის  
ძირითადი დოკუმენტები**

თბილისი 2005

ქურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“  
ინგერნეტ-ვერსია

2-00  
საქართველოს  
ბიბლიოთეკა

Journal „Sakartvelos Biblioteka“ (Georgian Library)  
Web version

[Http://www.library.ge](http://www.library.ge)



პროექტის მხარდაჭერა – ინგერნეტზე დაშვების სწავლების პროგრამა

Project supported by Internet Access and Training Program – IREX

<http://www.iatp.org.ge/>

ქურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ინგერნეტ-ვერსია მოიცავს

- განახლებად ინფორმაციას ქურნალის ახალი გამოსული ნომრის შესახებ
- წინა ნომრების არქივს
- ყოველი ნომრის სარჩევს
- საინტერესო სტატიების ასლებს (შერჩევით)
- საკონტაქტო და ხელმოწერის ცნობებს
- მკითხველთა მოსაზრებების გაცვლის მექანიზმს და რედაქციის მიერ მიღებულ საინტერესო წერილებსა და მოსაზრებებს